ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 4 თებერვალი, 2013 №28 (6029) ფასი: 30 თეთრი

## შსს-მ ლუკა კურტანიძე დაკითხა გვ.2

# კობა ბუჩუკური: „ქვანიას მკვლელობის გამოძიება ქვეყანაში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს“



სააკაშვილი ქვანიას ჯერ კიდევ მოქკავშირში ებრძოდა

გვ.3



## ვანო მერაბიშვილი გადატრიალებით იმუქრება გვ.2

„ამ მთავრობას 4 წელიწადს ვერ გაცლით!“



## რატომ ვერ გაერთიანდნენ „ეროვნული ფორუმი“ და „ქართული ოცნება“ გვ.5



## სოსო ცისკარიშვილი: „უგულავას ფანტაზია აღარ ჰყოფნის“ გვ.4



## რატომ სცემენ ერთმანეთს ქუთაისის მერიაში გვ.7



## ილია II: „წუთისოფელი ცდილობს, ადამიანი სხვადასხვა საშუალებით დაიჭიროს“ გვ.2

## გიგი უგულავა: „გამოძიებას 22.000-მდე სოციალური აგენტის დაკითხვა მოუწევს, რაც შეუძლებელია“ გვ.4





## სოციალურად დაუცველებს ბინებს ლოტოტრონით აღარ გაუნაწილებენ გვ.6

6 ძეხვეულისა და კარაქის შემოწმების შედეგები

7 პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას ავტომობილების სიგნალით გააპროტესტებენ

5 2013 წელი თამარ მეფის წლად გამოცხადდა

5 „ქართული ოცნების“ აქტივისტი შიმშილობას იწყებს

9 771987 938006

# ვანო მერაბიშვილი გადატრიალებით იმუქრება

## „ამ მთავრობას 4 წელიწადს ვერ ვაცლით!“

შორენა მარსაგიშვილი



არჩევნებზე განცდილი ფიასკოს შემდეგ ნაციონალები სულ იმას გვპირდებიან, მალე დაგიბრუნდებითო. ამბობენ, ჩვენ გარდა საქართველოს ვერავინ უპატრონებს და მტარვალი მეოცნებეების ხელში დიდხანს არ დაგტოვებთო. გვაიმედებენ, მალე ისევ ჩვენ ვიზრუნებთ თქვენზეო.

ნაციონალური ზრუნვა ქართველმა ხალხმა საკუთარ ტყავზე კარგად გამოცადა. მარტო 7 ნოემბრისა და 26 მაისის მოვლენები რად ღირს. ეს დღეები გვახსენებს, რომ ნაცმოძს ისე უყვარდა საქართველოს მოსახლეობა, როგორც დაუმარხავ ლენინს — ბავშვები.

სამართლიანობა იმის თქმასაც მოითხოვს, ვაღიაროთ, რომ ნაციონალებმა რაღაცები მართლაც გააკეთეს ქვეყნისთვის. ისიც მართალია, რომ ეს რაღაცები იმ კაცის ფულით გაკეთდა, რომელსაც ახლა მთელი ნაცმოძი ლანძღავს. საუბარია ბიძინა ივანიშვილზე.

ივანიშვილის მთავრობის დამხობის სურვილმა ამჯერად ყველაზე მეტად ვანო მერაბიშვილს შეუღიტინა. ასეთი განცხადებების გამო მისი შს მინისტრობის დროს ხალხს აპატიმრებდნენ, ივანე ხერხემალყოფილი კი თბილისის ფართო ქუჩაში ისევ ამაყად და თავისუფლად დადის, თანაც იძახის, თუ ბიჭები არიან, მოვიდნენ და დამკითხონო. აუცილებლად დაგკითხავენ, ბატონო ვანო. კბილაშვილის სმაილიკი კარგა ხანია ცუდად დაგტრიალებთ თავზე, თუ, რასაკვირველია, მანამდე ხუთნომრიანმა სმაილიკმა არ გაიმარჯვა.

„მთავრობას ჩვენ, პირდაპირ ვიძახი, 4 წელიწადს ვერ ვაცლით!“ — განაცხადა ნაციონალური მოძრაობის გენერალურმა მდივანმა და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა და იქვე განმარტა, რომ ეს არ ნიშნავს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას, თუმცა გულისხმობს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მათ შორის ქუჩის აქციების, სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებისა და გადაბირების გზით „ამ ხელისუფლების დასუსტებას“.

ვანო მერაბიშვილმა მისი პარტიის ხელისუფლებაში დაბრუნების სტრატეგიაზე ნაციონალური მოძრაობის ოფისში მხარდამჭერებთან შეხვედრისას 1 თებერვალს ისაუბრა, რაც ინტერნეტით პირდაპირ გადაიცემოდა.

— ეს მთავრობა ისეთია, რომ ჩვენ ვერ დაველოდებით 4 წელიწადს, პირდაპირ გეტყვით. ხელისუფლებაში შედარებით ნორმალური ძალა რომ მოსულიყო და მაგალითად მოიყვანა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის მთავარი კონკურენტი ოპოზიციიდან ლევან გაჩეჩილაძე, რომელზეც „კარგი აზრის არ ვარ, მაგრამ აი გაჩეჩილაძე რომ ყოფილიყო, ვთქვათ, შეიძლება ადამიანს გეთქვა, რომ რა ვქნათ ახლა, 4 წელიც დაველოდოთ. მაგრამ ამ მთავრობას ჩვენ, პირდაპირ ვიძახი, 4 წელიწადს ვერ ვაცლით. რას ნიშნავს? ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ მივუვარდებით ხვალ, გადატრიალებას მოვუწყობთ სახელმწიფოს და ჩამოვაგდებთ, მაგრამ ჩვენ არ უნდა მივცეთ მათ საშუალება, სრულფასოვნად ანუ ის გეგმები, რაც უკვე გამოჩნდა აქ, რომ საქართველოს, როგორც მინიმუმ, დასუსტება, მე აღარ გავაგრძელებ ახლა რუსეთთან და დსთ-თან ურთიერთობაზე, არ უნდა დავუშვათ, — განაცხადა მან.

ბევრი ეჭვობს, რომ სააკაშვილი პარლამენტს დაითხოვს. ვადამდელ არჩევნებზე სერიოზულად მიდის სჯა-ბაასი. ნაპრემიერალი ამას გამორიცხავს. მისი თქმით, ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აუცილებელი არ არის.

— ეს არ ნიშნავს, რომ, ვთქვათ, აუცილებელია, საპარლამენტო არჩევნების ჩატარდეს იმიტომ, რომ ხელისუფლებაში მოხვიდე. ხელისუფლებაში მოსვლის სხვადასხვა ფორმები არსებობს – რეალურად საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება; მისი ინსტიტუტების დასუსტება – სახელმწიფოს იმ ინსტიტუტების, რომელიც რეპრესიულია; გადაბირება ადამიანების. 2003 წლის ვარდების რევოლუციის წინ არსებული პოლიტიკური რეალობა მოიყვანა მაგალითად, როცა, ნაციონალური მოძრაობა „ნაწილობრივ“ იყო ხელისუფლებაში. მაშინდელი პერიოდის მსგავსად, ნაციონალური მოძრაობა ამჟამადაც არის წარმოდგენილი ხელისუფლებაში პრეზიდენტის ინსტიტუტით, ასევე აკონტროლებს ადგილობრივ ხელისუფლებას, მათ შორის თბილისის მერიას; ასევე ოქტომბერში ახალი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ უცვლელი დარჩა სასამართლო ხელისუფლება, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, ეროვნული ბანკი. იქ ვაკონტროლებდით მერიას, ინიციატივა გვქონდა ქუჩაში, გახსოვთ ხომ ანუ ჩვენ რაღაც ფორმით უკვე უნდა დავიწყოთ ხელისუფლების ეტაპობრივად დაბრუნება და ინიციატივის ხელში აღება. დღეს ამ მთავრობას და საზოგადოების დიდ ნაწილს აქვს განცდა, რომ ქუჩას ესენი („ქართული ოცნება“) აკონტროლებენ, — განაგრძო მან, — ქუჩას რას ვგულისხმობ – მიტინგებს დღეს ესენი ატარებენ ხომ, ანუ ხელისუფლება, რომელიც უკვე მიტინგებს ატარებს, ჯერ ეს ერთიც, სუსტია, განწირულია, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ შეტევაზე ვერ გადავედით, ანუ ჩვენი პირველი ამოცანა რა არის, რომ ჩვენ ინიციატივა ავიღოთ იგივე მიტინგებზე, პიკეტებზე და ა.შ. მერე შემდეგი ეტაპი იქნება უკვე აქტიური მონაწილეობა სხვა პროცესებში ან პარალელურად. ამიტომ ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა შევავიწროვოთ ეს ხელისუფლება და არ მივცეთ მას საშუალება, ან დავბლოკოთ მისი დესტრუქციული ქმედებები ან დავაჩქაროთ ამ ხელისუფლების ცვლილება. როგორი ფორმით, ამას აჩვენებს დრო და ის საშუალება, რომელიც ჩვენ გვექნება. დღეს ჩვენ ვართ, ასე ვთქვათ, დაკავებული შენარჩუნებით იმ რესურსების, რაც გვქონდა, გამხნევების ადამიანების. გარკვეული ბუნებრივი სეზონიც არის ახლა ანუ ზამთარია და, მოგეხსენებათ, ეს ქუჩის აქციები მასობრივი ჯერ ადრეა, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ჩვენ გვაქვს მთელი არსენალი ასე ვთქვათ, როგორც ვირტუალური, ისე პირდაპირი ქმედებების, რომელიც დაასუსტებს ამ ხელისუფლებას და თქვენ ამას ჩვენთან ერთად მალე დაინახავთ, — განაცხადა მან.

მერაბიშვილმა ისიც გვითხრა, რომ, ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევაში, ნაციონალურ მოძრაობას იმდენი ძალაუფლება მაინც აღარ ექნება, რამდენიც 9 წლის განმავლობაში ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჰქონდა, რადგან, მისი თქმით, საქართველო შეიცვალა.

ნაცმოძის გენმდივანი სასიამოვნოდ გაკვირვებულია იმ ფაქტით, რომ, ზეწოლების მიუხედავად, ნაციონალური მოძრაობა მაინც აკონტროლებს საკრებულოებსა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ქვეყნის მასშტაბით.

— მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ წააგოს აპრილში დაგეგმილი შუალედური არჩევნები და ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები, პარტიამ ყველა ამ არჩევნებში უნდა მიიღოს მონაწილეობა, ვინაიდან ეს პარტიული კონსოლიდაციისთვის კარგი შანსი იქნება.

მისი თქმით, „მთავარი ბრძოლა“ 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზეა მოსალოდნელი. ნახერხემლარის მოახლოებულ არჩევნებზე ნაციონალური მოძრაობის მცირე შანსებს განაპირობებს ის, რომ საზოგადოება კვლავ ეიფორიაშია.

მისი თქმით, საქართველომ გაუძლო ბევრ გამოცდას, მათ შორის ომს 2008 წლის აგვისტოში, მაგრამ ვერ შეძლო, გაეძლო ბოლო გამოცდისთვის, როდესაც, მისი თქმით, ამომრჩეველი ფულმა შეაცდინა, რადგან საქართველო ღარიბი ქვეყანაა და „დოლარებმა დააბნია“ საზოგადოება. მისივე თქმით, ამომრჩეველი „ფულით თვალებდაბნელებული მოვიდა“ 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე.

— ახალი მთავრობა ძირითადად დაკავებულია ნაციონალურ მოძრაობაზე და მთავრობის ყოფილ წევრებზე ზეწოლის მოხდენით, მათ შორის მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის გზით. იმედია, ისეთ დონემდე მივიყვანთ, იმ მდგომარეობამდე, რომ შეჩერდება ეს დაკითხვები და ჩვენ გადავალთ შეტევაზე, — აღნიშნა მან.

მერაბიშვილის განცხადებაზე ინტრიგანები, ალბათ, დაგვირეკავენ რედაქციაში და ქოქოლას დაგვაყრიან, ეს რა ქართულით დაწერეთო. ძვირფასო ინტრიგანებო, ჩვენ რა შუაში ვართ? თვით ვანო მერაბიშვილი ამბობს ასე და ჩვენც სტილი ზუსტად დავიცავით.

ისე, რა საინტერესო სანახავი იქნება ნაციონალების საპროტესტო აქცია. ნეტავი რამდენი გამოვა აწი ქუჩაში. ხელისუფლებას მათ დასარბევად ძალის გამოყენება ნამდვილად არ დასჭირდება. ნაციონალების მიერ დარბეული და ნაწამები ხალხი თავად დაშლის აქციას.

საოცნებო მთავრობა აღშფოთებულ ერს სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. ამ მოწოდებით ქვეყნის მთავარი მეოცნებე ბიძინა ივანიშვილიც გამოვიდა.

— სამი თვის განმავლობაში მერაბიშვილისგან სიცრუის გარდა არაფერი მსმენია, ნაციონალური მოძრაობის წევრები მათი მეთაურის, სააკაშვილის, ხელმძღვანელობით დღემდე ძირითადად სიცრუეს ავრცელებენ და მის ტირაჟირებას ახდენენ. მე მათზე სერიოზულ აქცენტებს აღარ ვაკეთებ. სამი თვე გავიდა არჩევნების შემდეგ და სიცრუის გარდა რაიმე გამოსვლას თუ შემახსენებთ მერაბიშვილისას. მერაბიშვილი ამბობდა, რომ კრიზისია ბიუჯეტის, რომ გადატრიალება ხდება, რომ პოლიციას აშანტაჟებენ. სააკაშვილი ამბობდა, რომ ქრთამების აღება დაიწყეს, არც ერთი მაგალითი, მხოლოდ სიცრუის ტირაჟირებას ახდენენ. ჩვენ გადავწყვიტეთ, მათ კომენტარებზე სერიოზული განცხადებები აღარ გავაკეთოთ და მათთან პინგ-პონგის თამაშს შევწყვეტთ. საზოგადოებას მოვუწოდებ, მათ სიცრუის ტირაჟირებაში ხელი არ შეუწყონ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ასე ამბობს, ვანო კი იძახის, შეტევაზე გადავალთო. ოცნებას კაცი არ მოუკლავს და იოცნებონ. ოცნება ნაციონალების დროსაც კი არ ყოფილა დასჯადი.

## დღეს უფრო დათბება

დღეს საქართველოში უნალექო ამინდია მოსალოდნელი. გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოში დროგამოშვებით მოიღრუბლება, თუმცა დღე უნალექოდ ჩაივლის. ქარი მოსალოდნელი არ არის. ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს და საშუალოდ 19 გრადუსი დაფიქსირდება.

სინოპტიკოსები აღმოსავლეთ საქართველოშიც უნალექო ამინდს პროგნოზირებენ. ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით აიწევს. იქროლებს სუსტი ქარი. აქ ჰაერის ტემპერატურა 14 გრადუსს მიაღწევს.

დღეს თბილისში დროგამოშვებით მოიღრუბლება, თუმცა დღე უნალექოდ ჩაივლის,. დაუბერავს სუსტი ქარი, ჰაერის ტემპერატურა 13 გრადუსამდე აიწევს.

მედიანიუსი

## ილია II: „წუთისოფელი ცდილობს, ადამიანი სხვადასხვა საშუალებით დაიჭიროს“



გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ ბედნიერების მნიშვნელობაზე იქადაგა. როგორც უწმინდესმა აღნიშნა, ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანი ბედნიერია, მაგრამ ვერ ხედავს ამას. ასევე ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანს გააჩნია მძიმე ჯვარი და ღვთის შეწევნითა და მადლით ადვილად ატარებს მას.

პატრიარქის თქმით, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ წუთისოფელი ცდილობს დაიჭიროს ადამიანი სხვადასხვა საშუალებით. მაგრამ ადამიანი უნდა ხედავდეს, სად არის კეთილი და ბოროტი, სად არის საფრთხე. ილია მეორემ ერთ-ერთი ფილოსოფოსი გაიხსენა, რომლის საფლავზეც არის წარწერა: „ცხოვრება ცდილობდა დავეჭირე მე, მაგრამ ვერ დამიჭირა“.

„ბედნიერი ადამიანი ის არის, ვინც არის მორწმუნე, მოსიყვარულე, ვინც ცხოვრობს მომავლისა და ღვთის იმედით, ვინც ენდობა ადამიანებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი წინასწარ ხედავს ჩვენს ცხოვრებას. უნდა ვაკეთოთ სიკეთე, ისეთი საქმე, რომელიც საჭიროა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ერისათვის“, — ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ ხშირია შემთხვევა, როცა ადამიანს ავიწყდება ერი და ფიქრობს თავის თანამდებობაზე.

მისივე თქმით, ხშირია შემთხვევ,ა როცა ადამიანი ერის კეთილდღეობაზე მაღლა საკუთარ კეთილდღეობას აყენებს.

„უნდა ვიყოთ მუდამ დაკვირვებულნი და გვახსოვდეს, რომ არის ვიწრო და ფართო გზა. ვისაც უნდა იაროს ფართო გზით, ის ვერ მივა სასუფეველში. ღმერთმა მისცეს საქართველოს განცდა თვისთა ცოდვათა“, — აღნიშნა უწმინდესმა.

ქადაგების დასრულების შემდეგ ილია მეორემ რამდენიმე ღვითისმსახური დააჯილდოვა და 19 გვარი დალოცა.

მედიანიუსი

## შსს-მ ლუკა კურტანიძე დაკითხა

შინაგან საქმეთა სამინისტროში ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი და პოლიციის აკადემიის პრორექტორი ლუკა კურტანიძე დაიკითხა.

როგორც „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში განუცხადეს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ თემურ ყაზარაშვილის ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა ასევე თემურ ყაზარაშვილი.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება მიმდინარეობს დ დამატებითი დეტალების მისი დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

შეგახსენებთ, რომ 30 იანვარს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ ყაზარაშვილმა ლუკა კურტანიძე მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში დაადანაშაულა. გავრცელებული ინფორმაციით, ფედერაციის შენობაში კურტანიძესა და მის თანამშრომლებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა და პოლიციის აკადემიის პრორექტორმა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ თემურ ყაზარაშვილისა და სხვა თანამშრომლების ცემის ფაქტი უარყო და განაცხადა, რომ თემურ ყაზარაშვილს თვალის ვირუსული პრობლემა აქვს და ის დაზიანებები, სავარაუდოდ, სიბნელეში კედელზე, ან სხვა რამეზე მიჯახების შედეგად მიიღო.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ქართული დელეგაცია ხვალ მოსკოვში მოლაპარაკებებს გამართავს

დღეს მოსკოვში ქართულ დელეგაციასა და რუსულ მხარეს შორის, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გაიმართება.

ქართულ დელეგაციაში შვიდი ადამიანია და მას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი ხელმძღვანელობს.

გარდა დავითაშვილისა, დელეგაციის შემადგენლობაში ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი დავით გრიგოლია, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსი ზურაბ ლიპარტია, ასოციაცია ,,ქართული ღვინის" აღმასრულებელი დირექტორი თინათინ კეზელი, ,,ქართული ღვინის" გამგეობის თავმჯდომარე გიორგი რამიშვილი და ,,ხილისა და ბოსტნეულის კომპანიის" დირექტორი გიორგი ჯახუტაშვილი შედიან.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის მთავარმა სანიტარმა, როსპოტრებნადზორის ხელმძღვანელმა გენადი ონიშჩენკომ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინის დაბრუნებისთვის, გარდა პოლიტიკურისა, სერიოზულ დაბრკოლებებს ვერ ხედავს.

,,რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მე აქ განსაკუთრებულ პრობლემებს ვერ ვხედავ. თუ ამ თემის პოლიტიზირება არ მოხდება ვერ ვხედავ დიდ პრობლემებს, იმიტომ რომ ქართულმა მეღვინეობამ ამ წლების განმავლობაში წინ დიდი ნაბიჯი გადადგა"-აღნიშნა ონიშჩენკომ.

ცნობისთვის: რუსეთში ქართული ღვინისა და მინერალური წყლის შეტანა 2006 წელს აიკრძალა. მაშინ ამის ოფიციალურ მიზეზად, პროდუქციის ხარისხთან არსებული პრობლემები დასახელდა.

**მედიანიუსი**

# კერძო იპოთეკარები გრძელვადიან და დაბალპროცენტიან სესხებს ითხოვენ

ბათუმში, მერიის წინ კერძო იპოთეკარებმა აქცია გამართეს. აქციის მონაწილეები გრძელვადიანი და დაბალპროცენტიან სესხებსა და საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერ მურმან დუმბაძესთან შეხვედრას მოითხოვდნენ, თუმცა მათი თხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან როგორც დუმბაძის წარმომადგენელმა მათ განუცხადა, მურმან დუმბაძე აშშ-ში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

კერძო იპოთეკარები, საკითხის მოუგვარებლობის შემთხვევაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილთან ჩასვლასაც გეგმავენ და პროტესტის გაგრძელებით იმუქრებიან.

აქციის მონაწილეებთან ერთად იმყოფებოდა უფლებადამცველი თამაზ ბაკურაძე, რომლის ინფორმაციით, კერძო იპოთეკარები აქციებს მანამ გააგრძელებენ, სანამ ხელისუფლება მათი პრობლემით არ დაინტერესდება.

**მედიანიუსი**

# ინტერნეტის თავისუფლების თემაზე თბილისში დისკუსია გაიმართება

არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" ინტერნეტის თავისუფლების თემაზე დისკუსიას გამართავს.

როგორც ,,მედიანიუსს" ორგანიზაციიდან შეატყობინეს, შეხვედრა 5 თებერვალს თბილისში, ევროპის სახლში მოეწყობა, სადაც ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" წარმოადგენს ახალ ანგარიშს: ,,ინტერნეტის თავისუფლება — ვინ აკონტროლებს საქართველოს სატელეკომუნიკაციო სექტორს?"

ანგარიში მოიცავს შემდეგ საკითხებს: ინტერნეტის მოხმარების სტატისტიკა საქართველოში; ინტერნეტში განხორციელებული საქმიანობის მეთვალყურეობა; სატელეკომუნიკაციო კომპანიების მფლობელობა და მათი ანგარიშვალდებულება მომხმარებლების წინაშე; ონლაინ მედია – მედიასაშუალებათა ფინანსური მდგრადობა.

**მედიანიუსი**

# ბაქო–თბილისი–ყარსის მშენებლობის დასრულება 2013 წლისთვის იგეგმება

აზერბაიჯანული მხარის ინფორმაციით, სარკინიგზო ხაზ ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებლობის დასრულება 2013 წლისთვის იგეგმება, თუმცა ამ ეტაპზე ქართული მხრიდან მისი მშენებლობა შეჩერებულია.

,,კავკასკი უზელის" ცნობით, ამის შესახებ ,,აზერბაიჯანის რკინიგზის" პრესსამსახურის უფროსმა ნადირ აზმამედოვმა განაცხადა.

მისი თქმით, ქართული მხრიდან სამუშაოების შეჩერება, საქართველოში არსებულმა უამინდობამ გამოიწვია.

აზმამედოვის განცხადებით, ახლა ძირითადი სამუშაოები გაზაფხულის მოსვლის შემდეგ, მარტის და აპრილის თვეში განახლდება.

აზმამედოვმა განმარტა, რომ აღნიშნული სარკინიგზო ხაზის მშენებლობით ,,აზერბაიჯანის რკინიგზაა" დაკავებული, ხოლო სამუშაოების დიდი ნაწილი აზერბაიჯანის მთავრობის ხარჯებით ხორციელდება. მისი თქმით, ამ ეტაპზე სამუშაოები მიდის ორ პუნქტზე: პირველ პუნქტზე ხდება 159 კილომეტრი გზის განახლება, მეორეზე – 29 კილომეტრი გზის და 4,2 კმ-იანი გვირაბის მშენებლობა. როგორც აზმამედოვი აცხადებს, პროექტის რეალიზაცია თანდათან დასასრულს უახლოვდება და მის განსახორციელებლად უკვე გამოყოფილია 430 მილიონი დოლარი.

ბაქო-თბილისის-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობა 2008 წლის ნოემბერში დაიწყო. 2009 წლის დეკემბერში კი შეჩერდა. სარკინიგზო ხაზის მშენებლობა 2010 წლის მაისში კვლავ განახლდა. მისი მშენებლობის დასრულების დროც იცვლებოდა. თავიდან მშენებლობის დასრულების თარიღად 2011 წელი სახელდებოდა, შემდეგ 2012 წელი, ახლა კი სარკინიგზო ხაზის დასრულების თარიღად 2013 წელი დასახელდა.

სარკინიგზო ხაზის დასრულების შემდეგ, მას ტვირთის გადატანა ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით შეეძლება. იგეგმება, თავიდან სარკინიგზო ხაზით წელიწადში ხუთი მილიონი ტონა ტვირთის გადატანა.

**მედიანიუსი**

# კობა ბუჩუკური: „ჟვანიას მკვლელობის გამოძიება ქვეყანაში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს"

შორენა მარსაგიშვილი





**გუშინ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან 8 წელი გავიდა. პრემიერის გარდაცვალება დღემდე ბურუსით არის მოცული. ახალი ხელისუფლება გვპირდება, რომ სულ მალე გავიგებთ სიმართლეს. ამას ელოდება ჟვანიას გუნდის წევრი კობა ბუჩუკურიც. მისი თქმით, ამ საქმის გახსნა ქვეყანაში დიდ ცვლილებებს გამოიწვევს.**

**რა შედეგებს გამოიღებს გამოძიების დასრულება, ვინ და რატომ უღალატა ყოფილ პრემიერს, ქმნიან თუ არა ახალ პარტიას ჟვანიას თანამებრძოლები ამის შესახებ მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი „ახალ თაობას" ესაუბრება.**

***– გავრცელებული ინფორმაციით ჟვანიას თანაგუნდელები ახალი პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბებას აპირებთ. ეს მართლა ასეა?***

– ჟვანიას თანამებრძოლები მართლაც ვაპირებთ გააქტიურებას. როგორი ფორმით მოხდება, ამას მომავალი გვიჩვენებს.

***– იქნებ ისიც დავაკონკრეტოთ, როცა ჟვანიას გუნდზე ვსაუბრობთ ვისზეა საუბარი. იმიტომ, რომ ექს-პრემიერის გუნდის წევრების ერთი ნაწილი დღეს ნაციონალური მოძრაობის ავანგარდში იმყოფება..***

– ისინი ჩვენ გვერდით ალბათ არ იქნებიან. მათ უკვე გააკეთეს თავიანთი არჩევანი. რაც შეეხება იმას, თუ ვინ ვიქნებით ახალ ძალაში გაერთიანებული. ძალიან ძნელია რიგითობით ან გვარების მიხედვით ჩამოვთვალო ის ხალხი, რომლებიც ჟვანიას გუნდში ვიყავით და ვართ. მე გავუმარტივებ მკითხველს საქმეს და ვთხოვ გაიხსენონ, ვინ წავიდა ჟვანიას გუნდიდან. საზოგადოებას და იმ ადამიანებსაც მინდა გავახსენო, რომ სწორედ ჟვანიამ გაზარდა ეს ხალხი პოლიტიკოსებად. დღეს ეს ხალხი ქვეყნის სათავეში იმყოფება. ზოგს იმის გახსენებაც კი არ სურს, რომ ზურას თანაგუნდელი იყო. სამაგიეროდ დღეს სულ სხვა ხალხი იძახის, რომ ისინი ზურას გუნდის წევრები არიან.

***– რატომ იძახიან?***

– იმიტომ, რომ ზურამ განსაკუთრებული კვალი დატოვა ქართულ პოლიტიკაში საბედნიეროდ ამ ქვეყანაში მრავლად არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გაერთიანებას აპირებენ. მათ ქვეყნის გადარჩენა სურთ. ასეთი გაერთიანება განსაკუთრებით ახლაა საჭირო. ქვეყნის პრემიერი გახდა ივანიშვილი. მან ოპოზიციური აზროვნებით გააერთიანა ხალხი და შეძლო საქართველოსთვის ყველაზე დიდი ალა მაჰმად ხანი დაემხო.

***– ალა მაჰმად ხანში ნაციონალური მოძრაობას გულისხმობთ, ალბათ?***

– ნაციონალურ მოძრაობაზე დიდი ალა მაჰმად ხანი საქართველოს არ შემოსევია. ამ ძალამ ქვეყანა საშინელ დღეში ჩააგდო. მათი საბოლოო გაძევება პოლიტიკიდან ძალიან ძნელი და რთული იქნება. არის ასეთი ქართული ანდაზა: „ხემ ხმამაღლა თქვა, იმ ცულში ჩემი ჯიშის, რომ არ იყოს, მე ვერავინ ვერაფერს დამაკლებდაო". ამ შემთხვევაშიც ასეა. ჟვანიას გუნდის წევრები რომ არ იყვნენ სააკაშვილთან, ქართველ ხალხს ვერავინ ვერაფერს დააკლებდა.

***– გამოდის, რომ ჟვანიაც ყოფილა დამნაშავე?***

– დამნაშავე იმაშია ზურა, რომ ეს ხალხი პოლიტიკოსებად აქცია. დამნაშავეა იმაში, რომ ქვეყნის მართვა ასწავლა. ეს მედროვეები ახლა სააკაშვილთან ერთად არიან და ქვეყნის წინააღმდეგ გამოდიან. მედროვეები გამორჩეულ თანამდებობებზე დანიშნეს, სპეციალისტები კი უმუშევრად დატოვეს. გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრს, ნინო ჩხობაძეს ყველა ვიცნობთ. ის არის თავისი საქმის უბადლო სპეციალისტი. სააკაშვილის ხელისუფლებამ ის სამსახურის გარეშე დატოვა. იმედი მაქვს, ახალი ხლისუფლება მის ცოდნას და გამოცდილებას აუცილებლად გამოიყენებს. ასეთი ადამიანები ჟვანიას გუნდში მრავლად არიან.

***– თვლით, რომ ჟვანიას გუნდი ხელისუფლებაში უნდა იყოს?***

– ამის პრეტენზია არა მაქვს. ჩვენ უნდა ვმქმედებდეთ იქ, სადაც აზროვნების გენერირება ხდება და შეიძლება ყველაზე პრობლემური საკითხების გადაწყვეტა. ეს ხალხი სახელმწიფო სტრუქტურებშიც თუ ჩაერთვებიან. ეს ქვეყნისთვის იქნება ძალიან კარგი.

***– მოდით, ჟვანიას გუნდის გაყოფაზე ვისაუბროთ. როდის წავიდა ეს ხალხი ნაციონალებისკენ. პრემიერის გარდაცვალებამდე თუ მანამდე?***

– ზურას წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან ადრე დაიწყეს. წლების წინ მოქალაქეთა კავშირის შიგნით ჩამოყალიბდა ძალიან ძლიერი ოპოზიციური გუნდი, რომელიც პროამერიკული მიმართულების იყო. ასეთმა ხალხმა ჟვანიას გარშემო მოიყარა თავი. იქ იყვნენ კონსერვატორებიც, ულტრარადიკალებიც და რადიკალებიც. ამ პერიოდისათვის ხდებოდა დუღილი და დამაჭრება იმ ყველაფრის, თუ როგორ უნდა განვითარებულიყო ეს ქვეყანა. ვსაუბრობდით, რომ ევროსტრუქტურებისკენ უნდა წავსულიყავით. მიდიოდა მსჯელობა, დსთ-დან როდის უნდა გამოვსულიყავით. მოქკავშირში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც ვერ წარმოედგინათ რუსეთის გარეშე არსებობა. ისინი ,ბუნებრივია, ებრძოდნენ ზურას. მაგრამ ჟვანიას გარშემოც იყვნენ ავანტიურისტები, რომლებიც მას ჩუმად ებრძოდნენ.

***– მაგალითად, ვინ ებრძოდა ჩუმად?***

– იგივე მიხეილ სააკაშვილი. ის მოქალაქეთა კავშირის გულშივე ებრძოდა ზურაბ ჟვანიას. მოქკავშირში იყო ხალხი, რომლებიც მასთანაც იყვნენ და ჟვანიასთანაც. ზურას გარდაცვალებამ საბოლოოდ გაარკვია, ვინ იყო ჟვანიას თანამებრძოლი და ვინ არა.

***– რატომ წავიდნენ ის ადამიანები ჟვანიას გუნდიდან?***

## სააკაშვილი ჟვანიას ჯერ კიდევ მოქკავშირში ებრძოდა

– იმიტომ, რომ მედროვეები იყვნენ. და კარგი თანამდებობებიც მიიღეს.

***– ჟვანია, რომ არ დაღუპულიყო, ეს ხალხი მაინც წავიდოდა იქით?***

– ალბათ, წავიდოდა, იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა იყო დაწყებული.

***– ამ მედროვეების გადაწყვეტილება გასაგებია. მაგრამ იგივე ნაციონალებს რაში სჭირდებოდა ეს ხალხი თავიანთ რიგებში?***

– ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო, რომ ჟვანია დაევიწყებინათ ხალხისათვის. სურდათ მიეფუჩეჩებინათ ის აზრი, რომ ჟვანია მოკლეს. ეს არ გამოუვიდათ. საქართველოში არავინ დაიჯერა, რომ 8 წლის წინ საქართველოს პრემიერი გაზით გაიგუდა.

***– ჟვანია, რომ მოკლეს, ამაში ეჭვი მართლაც არავის ეპარება. მაგრამ დღემდე არ არის ცნობილი, როგორ მოხდა ეს?***

– როგორ და ვინ მოკლა ჟვანია, ამას ის გამოძიება დაადგენს, რომელიც ახლა მიმდინარეობს.

***– თქვენ გჯერათ, რომ გამოძიება სიმართლეს დაადგენს? სხვა თუ არაფერი, დიდი დროა გასული და შესაძლოა სამხილებიც განადგურებულია.***

– მე უნდა მჯეროდეს, სხვა გზა უბრალოდ არა მაქვს. თავის დროზე იმისიც მჯეროდა, რომ ამას სააკაშვილი გააკეთებდა. ვერასდროს წარმოვიდგენდი იმას, რომ ტაბუ დაედებოდა ჟვანიას მკვლელობის საქმეს. გარწმუნებთ, თუ ზურაბ ჟვანიას მკვლელობა გაიხსნება, ეს იქნება ქართველი ერის დიდი გაერთიანება. ურთიერთღირსების მილოცვა იქნება ეს. მართლა მიხარია, რომ ახალი ხელისუფლება ამ საქმეს იძიებს. ჟვანიას ყოფილმა თანაგუნდელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს საქმე დაებლოკათ.

***– ზემოთ თქვით, რომ ამ საქმის გამოძიება ერის გაერთიანების წინაპირობა იქნებაო. ანუ ეს საქმე ძალიან ხმაურიანი იქნება.***

– ძალიან ხმაურიანი იქნება. დაფიქსირდება ძალიან სერიოზული ხალხის გვარები. ვინც უშუალოდ ახლოს იდგნენ ამ პროცესების გვერდით.

***– გვარებს არ დაასახელებთ?***

– ეს გამოძიების პრეროგატივაა. გარწმუნებთ, რომ ეს დიდ რეზონანსს და ცვლილებებს გამოიწვევს.

***– არიან ამ ხალხში ჟვანიას გუნდის ყოფილი წევრები?***

– ალბათ არიან. შესაძლოა ისეთი გვარებიც იყოს, რომლებზეც საზოგადოებას წარმოდგენაც კი არა აქვს. არავის არ სჯეროდა, რომ უკრაინაში გაიხსნებოდა ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობის საქმე. იქაც ძალიან მაღალი რანგის მოხელეები იქნენ ჩარეული, რომ ეს საქმე არ გახსნილიყო. მაგრამ დღეს ვიცით, თუ ვინ არის ამ მკვლელობის შემკვეთიც და შემსრულებელიც. ცოტა ხნის წინ ევროსაბჭოში გამოსვლა დეპუტატმა ირაკლი ჩიქოვანმა ზურას სიტყვებით დაიწყო: მე ვარ ქართველი და მაშასადამე – ევროპელი. ეს სიტყვები სამუდამოდ დარჩება საქართველოს ისტორიაში. იმიტომ, რომ საქართველოს მომავალი არის ევროპა.

***– საქართველოს მომავალი არის ევროპაო, ამბობთ. ნაციონალები კი ამტკიცებენ, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთისაკენ მიგვაქროლებს.***

– რუსეთისაკენ შეგვაბრუნა სააკაშვილის ხელისუფლებამ. სწორედ მან ჩაუგდო რუსეთს ხელში სამრეწველო ობიექტები. ახალი ხელისუფლება ნამდვილად არ იბრძვის ნატოსა და ევროპის წინააღმდეგ. საქართველოში დასავლური პოლიტიკა მკვიდრდება.

***– მოდით, ისევ ყოფილ პრემიერს დავუბრუნდეთ, საუბრები თუ გქონდათ იქით წასულებთან, რას ფიქრობდნენ ჟვანიას გარდაცვალებაზე?***

– როგორ არ გვქონდა. ზურას სიკვდილმა ყველას თავზარი დაგვცა. დღე და ღამე იქ ვიყავით. განადგურებულები ვიყავით ყველანი. ის ადამიანები კი, რომლებიც ახლა ნაციონალებში არიან, თავს მხნედ გრძნობდნენ. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ სხვისი მკვდრის სატირლად იყვნენ მოსული. სხვანაირად იქცეოდნენ.

***– რას გულისხმობთ?***

– თავიდანვე დაიწყეს საუბარი, რომ ამ საქმის დეტალების გამჟღავნება არ შეიძლებაო. იგონებდნენ ათასგვარ მიზეზებს. არგუმენტად მოჰყავდათ რაღაც სურათები.

***– რა სურათებზეა საუბარი?***

– რაღაც სიბინძურეზე და ამაზე არც მინდა ლაპარაკი. ვითომ ეს სურათები შემთხვევის ადგილზე იყო გადაღებული.

***– მართლა არსებობს ასეთი სურათები?***

– როცა სურათებზე დაიწყეს საუბარი, ვუთხარით, მოიტანეთ სურათები, მაგრამ ვერ მოიტანეს. ეს იმას ნიშნავს, რომ არანაირი სურათები არ არსებობს. ჩვენ სწორედ მაშინ გავიყავით ორად. ჟვანიას გუნდის უმრავლესობა დარჩა აქეთ, უმცირესობა კი წავიდა ნაციონალებში. დღეს ისინი საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე არიან.

***– არადა, რა უცნაურია, გარდაცვლილ პრემიერს იმ ხალხმა უღალატა, ვისზეც ყველაზე დიდი ამაგი ჰქონდა.***

– სამწუხაროდ, მათზე მართლაც დიდი ამაგი ჰქონდა. ეტყობა ძნელი გასაზრდელები იყვნენ.

***– და რადგან ასე იოლად გაყიდეს, ეტყობა ვერ გაზარდა***

– შესაძლოა ასეც არის. დრო ყველას მიუჩენს საკადრის ადგილს.

# სოსო ცისკარიშვილი: „უგულავას ფანტაზია აღარ ჰყოფნის“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტ სოსო ცისკარიშვილთან



***— ბატონო სოსო, ორიოდე დღის წინ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბს პრემიერი ივანიშვილი გსტუმრობდათ, ძირითადად რა საკითხებზე გაიმართა საუბარი?***

— ამ შეხვედრის ინიციატორი გახლდათ თავად ბატონი პრემიერ-მინისტრი. მისთვის უცნობი არ გახლდათ, რასაკვირველია, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის არსებობა. ამ კლუბის მიმართ მისი დამოკიდებულება, ალბათ, ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული იმ ფაქტში, რომ ექვსი წევრი ჩვენი კლუბისა, გახდა რა სახელმწიფო მოხელე, იძულებული იყო, წესების მიხედვით დაეტოვებინა ჩვენი კლუბის წევრობა. მათი ნაწილი პარლამენტის წამყვან თანამდებობებზე საქმიანობს და უკანასკნელი კლუბის დანაკარგი იყო სახალხო დამცველი, რომელიც ასევე იძულებული იყო, განშორებოდა კლუბს. რასაკვირველია, ყველაფერი ეს სიმბოლურია. ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენს ყოფილ თანაკლუბელებთან არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ წმინდა ადამიანურ ურთიერთობებსაც. გუშინდელ ფორმატში ბატონი პრემიერის ინიციატივით მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ჩვენი კლუბის წევრები, ასევე მოწვეული ოთხი-ხუთი ექსპერტიც. როგორც შეხვედრისას ბრძანა ბატონმა ბიძინამ, მისთვის, როგორც წესი, მისაღებია, რომ შეხვედრაზე იყოს სერიოზული ოპონირება. ამიტომ, არა მხოლოდ ერთი გუნდის წარმომადგენლების, არამედ განსხვავებული აზრის მქონე ექსპერტების მონაწილეობაც გახდა შესაძლებელი.

***— თუ იყო კრიტიკა?***

— რასაკვირველია. უპირველესად ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ დრო არავის დაუკარგავს დითირამბებზე. იყო საქმიანი, გულახდილი მსჯელობა რეალობასა და პერსპექტივებზე. წინასწარ იყო შეთანხმებული სამი თემა დისკუსიისთვის. ეს გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობები, ქვეყნის საგარეო ვექტორის შესახებ მსჯელობა. მეორე საკითხი გახლდათ შიდაპოლიტიკური ვითარება და კოაბიტაციის სირთულეები, ხოლო მესამე თემა — კონსტიტუციური რეფორმა. როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრაზე, რომელსაც 15 ექსპერტი ესწრებოდა, ვერ მოხერხდა შემოფარგვლა მხოლოდ ამ თემებით და, ცხადია, უფრო ფართო საკითხებზე მოხდა მსჯელობა. საკმაოდ ინფორმატიული იყო ექსპერტებისთვის ინფორმაცია, რომელიც გაჟღერებულ იქნა პრემიერის მიერ მთავრობაში მიმდინარე და დაგეგმილ მოვლენებსა და საკუთარ შთაბეჭდილებებზე განვლილი თვეების მანძილზე როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში, ასევე საქართველოში წარმოებული შეხვედრებიდან და კომუნიკაციებიდან. წამოწეული იყო არა ერთი კონკრეტული საკითხი. ცხადია, ნატოსა და ევროკავშირთან დაკავშირებით არანაირი აზრთა სხვაობა არ არსებობდა და ამაზე კითხვებიც არ ისმებოდა, რადგან აქ მყოფთ ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ გარკვეული პანიკა, რისი დათესვაც სურს ოპონენტ პოლიტიკურ ძალას, იყო სწორედ პოლიტიკური პიარის კატეგორიიდან და არა რაიმე ანალიტიკური თემის საფუძველი. შევეხეთ ქართულ-რუსულ ურთიერთობათა პერსპექტივას. არ ყოფილა რაიმე დიდი ოპტიმიზმი ამ მიმართულებით გამოთქმული, თუმცა აუცილებლობა არ დამდგარა საკითხის ქვეშ იმისა, რომ უნდა ვეცადოთ მეტ-ნაკლებად ადეკვატური და მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარება და ეს ამ ეტაპზე ძირითადად შესაძლებელი ჩაითვალა საზოგადოებრივი, სამოქალაქო რესურსების გამოყენებით.

***— რაც შეეხება შიდაპოლიტიკურ ვითარებას?***

— აქ, რასაკვირველია, უფრო მეტი იყო საუბარი პრობლემებსა და საფრთხეებზე.

***— რას ფიქრობს პრემიერი იმ დაძაბულობაზე, რაც დღეს კოალიციაშია?***

— უპირველესად ყოვლისა, მისი პოზიცია გახლავთ, რომ იმაზე მეტი ყურადღება არ უნდა მიექცეს პრობლემას, ვიდრე ის შეიძლება წარმოადგენდეს რაიმე სერიოზულ მნიშვნელობას. საუბარი იყო იმაზე, რომ თემები, რომლებიც მედიის მიერ ატაცებულია, აშკარად არის გამოწვეული ნაციონალური მოძრაობის აქტივობით. რასაკვირველია, ინტერესი არის საზოგადოებისთვის, მაგრამ მაინცდამაინც ექსპერტული ანალიზის გაცვეთა, ალბათ, არ ღირს, რადგან ყველაფერი ცხადია საქმეში ოდნავ ჩახედული ადამიანისთვის, თუ რა არის მიზნები ასეთი პერმანენტული, ცილისმწამებლური თემებისა და პროვოკაციული განცხადებებისა. რასაკვირველია, ცალკე სფეროებზეც იყო საუბარი, კონკრეტული წინადადებების მოთხოვნა ჰქონდა ბატონ პრემიერს, სხვადასხვა თემაზე ასეთები გაჟღერდა, იყო კონკრეტული საუბრები იმავე პროკურატურაში, სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე. არაერთი ნეგატიური ფაქტი იყო წამოწეული წინ და, ცხადია, მზაობაც ბატონი პრემიერისა სრულიად გულწრფელი იყო, რომ ის მოსაზრებები, რომლებიც აქ გამოითქვა, ყოფილიყო რეალიზებული სამომავლოდ. საუბარი იყო იმაზეც, რომ, მაგალითად, ჩემი წინადადება გახლდათ, რომ არ დამდგარიყო ეფექტი საყოველთაო დაზღვევის თემის მიმართ ისეთივე ნეგატიური, როგორიც ეს თანხების დარიგების პროცესში კახეთში ხდება, ამისთვის უფრო მომზადებული ყოფილიყო ჯანდაცვის სისტემა და აუცილებლობა იმისა, რომ ქვეყანაში უნდა იყოს მუნიციპალური საავადმყოფოები, სადაც შესაძლებელი იქნება ამ სადაზღვევო შესაძლებლობების რეალიზაცია. სხვაგვარად ისევ შესაძლებელია, აღმოვჩენილიყავით იმ საბოტაჟის მსხვერპლნი, რომელსაც არცთუ საკუთარი ნებით შეიძლება არსებული სადაზღვევო კომპანიები მიმართავენ, საერთოდ გაჭირდება უფასო მშობიარობაზე საუბარი თუ მხოლოდ კერძო სექტორს ექნა საშუალება ამ მშობიარობის მიღებისა. ასევე წინადადება იქნა დაყენებული, რომ გათავისუფლდეს ჯანმრთელობის სამინისტრო ორი სხვა ვალდებულებისგან, რასაც შეიცავს სახელწოდება თავისთავად ამ სამინისტროსი, ანუ შრომისგან და სოციალური უზრუნველყოფისგან. ჯანდაცვა იმდენად სერიოზული და მგრძნობიარე თემაა, რომ მისი დატვირთვა შრომითა და სოციალური დაცვით მხოლოდ აკნინებს როგორც ჯანმრთელობის დაცვის, ისე, ზოგადად, სამამულო მედიცინის შესაძლებლობას.

***— რამდენად გაიზიარა პრემიერმა თქვენი წინადადება?***

— ამ წინადადებაზე გაგრძელდა მსჯელობა და უკვე დაიწყო საუბარი იმაზე, თუ სად შეიძლება განთავსდეს შრომა და სოციალური დაცვა. დასახელებულ იქნა კონკრეტული პირიც მის მიერ, რომელიც პოტენციურად, გამომდინარე თავისი პროფესიონალიზმიდან, შეიძლება დაკავდეს ამ საკითხებით. ინსტიტუციონალური კუთხით ამ ორი ვალდებულების დაბინავების სხვადასხვა მოსაზრება იყო და მივიღეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისში მალე იქნება ჯერ ერთი და შემდეგ მეორე მუნიციპალური საავადმყოფო. იყო შეთავსება და ინტერესიც ბატონი პრემიერის მხრიდანაც, რომ შეიქმნას საზოგადოებასთან ურთიერთობის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუცია, მეცნიერული კვლევები ჩატარდეს ამ მიმართულებით და ეს იყოს სტრუქტურიზებული და რაღაც მაკოორდინირებელი შესაძლებლობა იმ ინტელექტუალური პოტენციალისა, რომელიც ამ საკითხებით არის დაკავებული. იყო წამოჭრილი საკითხები იმ პრობლემების ირგვლივ, რომლებიც დღეს დგას იმავე გარემოს დაცვის სამინისტროს წინაშე. საინტერესო იყო მოსაზრებები ბატონ ნოდარ ხარშილაძისა, რომელიც სამი წელი გახლდათ ბაჩო ახალაიას მოადგილე და წარმოგვიდგა, როგორც გიგა ბოკერიას ახლო მეგობარი. სრული კოაბიტაციის პირობებში მიმდინარეობდა ეს საუბრები და სხვადასხვა აზრის მქონე ექსპერტებისთვისაც საინტერესო იყო ერთმანეთის მოსმენა.

***— ბატონო სოსო, თუ ითქვა რამე პრეზიდენტობის კანდიდატზე და ამ საკითხთან დაკავშირებით თუ აქვს თავისი ჩამოყალიბებული პოზიცია პრემიერს?***

— ჩვენთვის უფრო საინტერესო იყო სისტემა როგორც საკონსტიტუციო მოწყობასთან, ასევე პრეზიდენტის არჩევის მოდელთან დაკავშირებით. ამაზე მივიღეთ პასუხი, რომ როგორც არჩევნების თემასთან დაკავშირებით პრეზიდენტისა უფრო მოგვიანებით იქნებოდა ჩამოყალიბებული პოზიცია ხელისუფლებისა და, ალბათ, ეს შემდეგ შეხვედრებზე განიხილება. ბატონი პრემიერის ინიციატივით, სულ ცოტა, თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიმართოს ასეთი შეხვედრები. ვინაიდან ფორმატი არ იძლეოდა საშუალებას, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის ყველა წევრს მიეღო მონაწილეობა ამ შეხვედრაში, ცხადია, ექსპერტების როტაცია მოხდება ასეთ შეხვედრებში და ასე უფრო ფართო მსჯელობის სახე მიეცემა ასეთ ფორმატს. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ, ვისაც ჰქონდა სურვილი ინფორმაციის გადაცემისა ბატონი პრემიერისთვის, ვერ მოახერხა დასწრება და აზრის გამოთქმა, ჩვენ დაახლოებით ხუთი-ექვსი თემა, შემოთავაზებული სხვადასხვა ექსპერტის მიერ, რომლებიც არ გახლავთ ჩვენი კლუბის წევრები, მათი დოკუმენტაციის აღწერილობა გადავეცით ბატონ პრემიერს. ეს გახლდათ ტარიფების თემა გაზმომარაგებაში. საკმაოდ სოლიდური კვლევაა ამ მხრივ გაკეთებული, ასევე — ქალაქის დაგეგმარებასთან დაკავშირებით. ასევე ქალბატონი ლია მუხაშავრიას მოსაზრებები კონსტიტუციასთან დაკავშირებით გადაეცა ბატონ პრემიერს. შეიძლება ითქვას, რომ ორივე მხარე ამ შეხვედრით კმაყოფილი დარჩა, რადგან, უპირველესად ყოვლისა, იყო ინფორმატიული და შემდგომ — კმაყოფილება იმით, რომ მაქსიმალურად იყო მცდელობა, ყველა ყოფილიყო ჩართული ამ პროცესში. მივიღეთ პირობა, რომ თებერვლის ბოლოს ან მარტის პირველ ნახევარში ასეთი შეხვედრა ისევ შედგება.

***— ბატონო სოსო, რაც შეეხება პირადად თქვენს შეფასებებს პროცესებთან დაკავშირებით, სხვადასხვა მოსაზრება მოვისმინეთ ექსპერტებისგან, ზოგი ამბობს, რომ კარგი და დადებითი პროცესია, თუკი დაიწყება კოალიციის დაშლა, ზოგიც უარყოფითად აფასებს ამ პროცესს. თქვენ რას ფიქრობთ, ამ ეტაპზე ეს რამდენად სასურველია?***

— მე გავიმეორებ იმას, რაც შეხვედრაზე ვთქვი ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ „ქართული ოცნება“, როგორც კოალიცია, სრულიად კონკრეტული მიზნებითა და ვალდებულებებით მოდიოდა ხელისუფლებაში და, ვიდრე სოლიდური ნაწილი ამ ვალდებულებისა არ იქნება შესრულებული, მათი დაშლა მხოლოდ ნეგატიური მოვლენების ხელშემწყობი იქნება. ამიტომ ვისურვებდი, კოალიციის წევრი პოლიტიკური სუბიექტები არა მხოლოდ საკუთარი პარტიის პერსპექტივაზე ფიქრობდნენ, რომელიც ძალიან ძნელი იქნება კოალიციის უდროოდ დაშლის პირობებში და, ამავე დროს, შეიძლება, საქმეც გაუკეთებელი დარჩეს და მათი რეიტინგიც ჩქარი ტემპით დაიწყებს უკუსვლას. არსებობს მოსაზრებები, რომ დაშლის ასეთი საფრთხე არ არსებობს. კი ბატონო, მაგრამ რა ქნან რიგითმა მოქალაქეებმა, ექსპერტებმა, როდესაც პოლიტიკოსები თავს ვერ იკავებენ, თითქოს ეკლესიაში მიდიან აღსარებაზე, ისე იქცევიან ტელეკამერების წინ. არ შეიძლება, ტელევიზიის საშუალებით პარტნიორები ერთმანეთთან საუბრობდნენ. მიუღებელია ეს, ყოველ შემთხვევაში — ჩემთვის. ეს არ არის საქმიანი ფორმა და, თუ ასეთი თავდასხმების აუცილებლობა არსებობს, ამას საზოგადოებაც კარგად გაიგებს და შედეგიც დადგება უფრო პოზიტიური. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს მობეზრდა კოალიციის წევრობა, რასაკვირველია, მისთვის გზა ხსნილი უნდა იყოს და ეს არ უნდა ნიშნავდეს რაიმე იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი რღვევის დასაწყისს.

***— რაც შეეხება გიგი უგულავასთან დაკავშირებულ საკითხებს და იმ აფიორას, რომელსაც თურმე ის ახორციელებდა ამ წლების განმავლობაში...***

— როგორც ჩანს, ბატონი უგულავა გადაიღალა, რადგან ადრე მას უკეთესი ფანტაზია ჰქონდა. აღარ ყოფნის ფანტაზიის მარაგი და საუბარი იმაზე, რომ 700 ქალბატონი დაქირავებული იყო იმისთვის, რომ დავერწმუნებინეთ ნაგვის ყუთების უპირატესობაში ბუნკერებთან შედარებით, ახლა თუ ვინმე ამას დაიჯერებს, რომ ამას ორი წლის მანძილზე ასეულობით ქალბატონის დასაქმება სჭირდებოდა, კი ბატონო, დაუჯეროს და მოიძიოს თანამოაზრენიც. თუ ვინმეს თავის მოტყუება სურს, ნება მისია. ეს ყველას ინდივიდუალური უფლებაა. ჩემთვის ეს მით უფრო არადამაჯერებელი გახდა, რაც გიგი უგულავას ყოფილმა მოადგილემ განაცხადა, რომ მომღერალი ვაჟკაცების კვარტეტი სადღაც მეეზოვეებად იყო გაფორმებული და სიმღერის გარეშე თურმე ვერ აგებინებდნენ თბილისელებს, რომ ბუნკერები უნდა ავიღოთ. სადარბაზოში, რომელშიც ვცხოვრობდი, ასევე ალიკვეთა ბუნკერები, მაგრამ, არავინ მახსოვს, აქეთ დავერწმუნებინე ამ საკითხში. სადაც მიმიწვდებოდა ხმა, მეც იმავეს ვქადაგებდი, რომ ბუნკერები უნდა გაუქმდეს. იქნებ მოწმეები რომ მოვიყვანო, მეც ორი წლის ხელფასი მომცენ.

# გიგი უგულავა: „გამოძიებას 22.000-მდე სოციალური აგენტის დაკითხვა მოუწევს, რაც შეუძლებელია“



თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, არც ის და არც საზოგადოების დიდი ნაწილი ჩახუთულ ოთახებში დაკითხვას არ ენდობა.

როგორც გუშინწინ თბილისის მერიაში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლების მიერ, „თბილსერვის ჯგუფთან“ დაკავშირებით, გიგი უგულავას დაკითხვის შემდეგ თბილისის მერმა განაცხადა, გამოძიება ჩიხშია შესული, რადგან მათ ათეულ ათასობით ადამიანის დაკითხვა მოუწევთ.

მისი თქმით, აწუხებს ის, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მიდის. ამასთან, დედაქალაქის მერი მზადაა, თუ კი გამოძიებას სხვა კითხვები გაუჩნდება, „მსგავსი რეჟიმით გასცეს პასუხი“.

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა ჩიხშია და ჩქარობს. არც მე და არც საზოგადოების დიდი ნაწილი ჩახუთულ ოთახებში დაკითხვას არ ენდობა, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ადამიანის დაკითხვა, ღია და საჯარო სასამართლოს წესით მოხდეს. ბრალდება იკვეთება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ხალხი გვყავდა დასაქმებული და ვუხდიდით ხელფასს. თვითონვე აღიარებენ, რომ ეს ფული ხალხს ხელფასის სახით დაურიგდა. კიდევ უფრო აბსურდული გამოძიება ტარდება სოციალურ აგენტებთან მიმართებაში. აღნიშნული გამოძიების ფარგლებში დაახლოებით 20-22 ათასი ადამიანი ეყოლება პროკურატურას ქვეყნის მასშტაბით დასაკითხი. ეს იმხელა რაოდენობაა, რომ შესაძლოა, გაცილებით მეტი წელი დასჭირდეს ბოლომდე მიყვანას, ვიდრე შეიძლება ამ მთავრობამ ლეგიტიმურად დაჰყოს. ღიმილის მომგვრელი და სასაცილოა, როდესაც ამდენი პრობლემაა ქვეყანაში — ეკონომიკა, რომელიც თავზე გვექცევა და სამწუხაროდ, ეკონომიკური გუნდი ამის შესახებ არაფერს ეუბნება პრემიერ-მინისტრს. ფინანსთა სამინისტროს მთელი ჯგუფები კი დაკავებულები არიან ამ საქმიანობით“, — განაცხადა უგულავამ.

ცნობისთვის: თბილისის მერმა დატვირთული სამუშაო გარაფიკის მიზეზით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მისვლაზე უარი განაცხდა და გამომძიებლებს შესთავაზა დაკითხვა მერიაში, მის სამუშაო კაბინეტში შემდგარიყო, რაზეც საგამოძიებო სამსახურმა თანხმობა განაცხადა.

გიგი უგულავას დაკითხვა გუშინწინ მისსავე კაბინეტში, ადვოკატის გარეშე მიმდინარეობდა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, შპს „თბილსერვის ჯგუფი“ — ს საქმიანობას სწავლობს, რომელიც თბილისის მერიამ ქალაქის დასუფთავების მიზნით 2006 წელს დააფუძნა. საქმე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 5 245 945 ლარის გაფლანგვის ფაქტს ეხება.

„გამოძიებით ამ დროისთვის დადგენილია, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხუჭუამ, მერიის დასუფთავების სამსახურის იმჟამინდელი უფროსის, ტარიელ ხიზანეიშვილის დავალებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამსახურში ფორმალურად შექმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება“, სადაც, 2 წლის განმავლობაში, ფიქტიურად დასაქმდა აღნიშნული პოლიტიკური პარტიის 764 აქტივისტი — ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია, რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში და პარალელურად პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით 5 245 945 ლარი დაერიცხათ.

გამოძიებით ირკვევა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს, „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი დედაქალაქის მოქმედმა მერმა — გიგი უგულავამ დაამტკიცა. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურის ყოფილ უფროსს, ტარიელ ხიზანეიშვილს, იგი ამჟამად ვიცე-მერის თანამდებობას იკავებს.

გამოძიება ინტენსიურად მუშაობს 5 245 945 ლარის გაფლანგვის ფაქტზე და უახლოეს დღეეებში გადაწყვეტს ბრალეულ პირთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხს“, — ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

## საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები დღეს განცხადების გაკეთებას აპირებენ

დღეს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები განცხადების გაკეთებას აპირებენ. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისა და უმრავლესობის წევრების შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, რომელიც გუშინწინ გაიმართა. უმრავლესობის ლიდერები 2 თებერვლის შეხვედრის დეტალებზე, ასევე საკონსტიტუციო ცვლილებებზე დღეს „ქართული ოცნების“ ცენტრალურ ოფისში 12.00 საათისათვის დაგეგმილ ბრიფინგზე ისაუბრებენ.

**მედიანიუსი**

# რატომ ვერ გაერთიანდნენ „ეროვნული ფორუმი“ და „ქართული ოცნება“

## „ვრჩებით პარტნიორ ორგანიზაციებად, ვართ კოალიციის აქტიური წევრები და არ ვქმნით ე.წ. პოლიტიკურ მონსტრს“



თამარ ნინიძე

### ინტერვიუ კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრთან, დეპუტატანი მიროტაძესთან

***– ქართული ოცნების“ 100-დღიანი პოლიტიკური თაფლობის თვე დასრულდა, „ნაციონალური მოძრაობის“ პარალელურად, ბიძინა ივანიშვილს და მის გუნდს უკვე აკრიტიკებენ შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე. მალე ალბათ სხვებიც გამოჩნდებიან, რას დაუპირისპირებს მმართველი კოალიცია მათ კრიტიკას?***

– სიმართლეს!

***– და რა არის ეს სიმართლე?***

– სიმართლეს ყველაფერზე. მაგალითად, სიმართლე არის ის, რომ ჩვენი გუნდი მკაფიოდ და გააზრებულად ამბობს უარს „ნაციონალური მოძრაობის“ მახინჯ პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე – ქვეყნის ტყუილით და პროპაგანდით მართვაზე. სიმართლე არის ის, რომ ჩვენ სააკაშვილის რეჟიმთან ერთად დავამარცხეთ ის ტოტალური შიში, რომელიც ყოფილმა ხელისუფლებამ ყველა მოქალაქის ოჯახში მიიტანა და ეს ყველგან თვალშისაცემია. სიმართლე არის ის, რომ ჩვენ არ გვეშინია გამოწვევების და ვაღიარებთ, რომ ურთულესი მდგომარეობიდან ვიწყებთ ქვეყნის აღმშენებლობას; სიმართლე არის ის, რომ არ გვეშინია ჩვენი მოქალაქეების ნათქვამი სიმართლის, რომელი სიმართლეც 9 წლის განმავლობაში დაპატიმრებული ჰყავდა მიხეილ სააკაშვილს; სიმართლეა ისიც, რომ არ გვეშინია საკუთარი შეცდომების აღიარების და ყოველდღე ვცდილობთ უშეცდომოდ ფეხზე დადგომას და რაც მთავარია, სიმართლე არის ის, რომ ჩვენ დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენის რთული, მაგრამ ყველაზე აუცილებელი პროცესი, რომელიც სამართლიან საზოგადოებამდე მიგვიყვანს საბოლოოდ და ეს გზა რომ სწორია, ამაში ყოველდღიურად ვრწმუნდებით, თუნდაც იმით, რომ საზოგადოების ერთ-ერთი პირველი დაკვეთა იყო და არის სწორედ სამართლიანობის აღდგენა და ვრწმუნდები იმ რეაქციებით, რომელიც ამ პროცესის მიმართ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს აქვთ.

***– თუმცა, როგორც ამბობენ და ამას მარტო საქართველოში არ ამბობენ, ახალი ხელისუფლების მიერ ყოფილი მმართველი გუნდის წევრების დაკავება-დაპატიმრებას პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს.***

– ეს ელფერი, დარწმუნებული ვარ, იმ ღია სასამართლო პროცესებზე გაფერმკრთალდება, სადაც ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

***– თუმცა დღეს რეალობა ასეთია – მთავარი პროკურატურის მიერ დაპატიმრებულ პირებს სასამართლო გირაოს სანაცვლოდ ათავისუფლებს.***

– გირაოთი გათავისუფლება გამამართლებელ განაჩენს არ ნიშნავს.

***– მაგრამ არც იმას, რომ ის სასამართლო, რომელიც, თქვენი მტკიცებით, ახლა დანაშაულში ეჭვმიტანილთა მხარეზეა, უცებ შეიცვლება.***

– სიმართლე სასამართლოსაც შეცვლის. კუბლაშვილს არ შეუძლია ამ გარდაუვალ პროცესს წინ აღუდგეს.

***– ჩვენ და საზოგადოება მოთმინებით და დიდი ინტერესით ველოდებით ამ პროცესებს, თუმცა აქვე იმასაც გეტყვით, რომ ხალხში ამბობენ, პროკურატურის მტკიცებულებები ხშირ შემთხვევაში სუსტიაო.***

– თქვენ ალბათ იცით, რომ ცოტა ხნის წინ ჩვენ რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება შევიტანეთ სასამართლოების შესახებ კანონში, რომელიც სასამართლო დარბაზებში გადამღები ჯგუფების დაშვებას ითვალისწინებს. ასევე, გახმაურებულ საქმეებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს და იქ ყველაფერი კარგად გამოჩნდება. თუმცა, ის, რომ პროკურატურას მტკიცებულებები არ აქვს, ცოტა სასაცილოა, რადგან მთელმა ქვეყანამ იცის სააკაშვილის და მისი გარემოცვის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

***– თეა წულუკიანი აცხადებს, წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც ჩავატარებ სასამართლო რეფორმასო.***

– დამოუკიდებელი სასამართლო დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. ხალხმა სასამართლოს ეფექტურობა თუ ვერ დაინახა, თუ ხელისუფლების სამართლიანობაში ვერ დარწმუნდა, ჯერ იმედი გაუქრება და მერე ზურგს აქცევს ხელისუფლებას. ამდენად, სასამართლო რეფორმა არც წულუკიანის ახირებაა და არც სააკაშვილი-კუბლაშვილთან ბრძოლის იარაღი. სამართლიანი სასამართლო საკუთარ ხალხთან ახლოს ყოფნის საშუალებაა. სასამართლო რეფორმის გარეშე ქვეყნის დემოკრატიული მშენებლობა გაგვიჭირდება.

***– დემოკრატიაზე გამახსენდა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დასკვნაში „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებული შენიშვნებიც მოხვდა, ახალ მმართველ გუნდს ევროპელი მეგობრები მედიის ზეწოლაში ადანაშაულებენ.***

– ეს ჩანაწერი ორმა გარემოებამ გამოიწვია – ერთი, რომ ჩვენ არ გვაქვს სათანადო კომუნიკაცია ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან, რაც მოგვარებადია და ვფიქრობ, უახლოეს მომავალში მოგვარდება და მეორე – ქართველი პოლიტიკოსების, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების უპასუხისმგებლო ქმედებებმა, რითაც მათ ჩვენი დასავლელი პარტნიორები შეცდომაში შეიყვანეს. „საზოგადოებრივ მაუწყებელთან“ დაკავშირებით ჩვენი პოზიცია ცალსახაა – გამჭვირვალობა, ბიუჯეტის ფულის მიზნობრივად ხარჯვა და არა სანაცნობო-სამეგობროს ან შოუბიზნესის წარმომადგენლების უზრუნველად ცხოვრება საქართველოს მოქალაქეებისგან ამოღებული გადასახადების ხარჯზე. არ მესმის, ტელევიზიამ 23 მილიონი დავალიანება რატომ უნდა დააგროვოს და სახელმწიფომ ეს ვალი რატომ უნდა აპატიოს?!

***– გასაგებია, რომ „საზოგადიებრივი მაუწყებლის“ შესახებ საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებულ კანონპროექტზე პარლამენტი იმსჯელებს. ხომ არ იგეგმება ბეჭდური მედიისთვის რაიმე შეღავათების დაწესება?***

– არ ვიცი შემოსულია თუ არა ასეთი ინიციატივა განსახილველად, მაგრამ თუ ბეჭდური მედიის წარმომადგენლები დასაბუთებული წინადადებით მოგვმართავენ, ჩვენ მათთან სიამოვნებით ვითანამშრომლებთ.

***– რამდენიმე დღეში ყველაზე ცხელი პოლიტიკური ადგილი ქუთაისის პარლამენტი იქნება, სადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პირველად წარდგება ყოველწლიური ანგარიშით იმ პარლამენტის წინაშე, სადაც მისი გუნდი ოპოზიციაშია. მაგრამ მე ჯერ სხვა კითხვა მინდა დაგისვათ, ბოლო დღეების განმავლობაში „ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციებში დაფუძნებაც ხმაურით და დაპირისპირებებით მიმდინარეობს, „ოცნებელები“ ებრძვიან „ოცნებელებს“, რა ხდება? ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, ჩვენს გუნდში შემოგზავნილი „ნაციონალები“ გვირევენო.***

– გარდამავალი ეტაპია და ეს ვნებათაღელვა გასაგებია, თუმცა მიუღებელია, რა თქმა უნდა. სხვათა შორის, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ არასწორ პოლიტიკურ წესსზე თუ კურსზე, რომელიც წლების განმავლობაში იყო დამკვიდრებული ამ ქვეყანაში. შევარდნაძის დროს ყველა „მოქალაქეთა კავშირში“ გარბოდა, მერე უმეტესობამ „ნაციონალურ მოძრაობაში“ გადაირბინა, ახლა სააკაშვილის პოლიტიკური ხომალდი იძირება და ყველა თავის გადარჩენაზე ფიქრობს.

***– სააკაშვილი ალბათ არ ფიქრობს, რომ მისი პოლიტიკური გემი იძირება....***

– შეუძლია არ იფიქროს. მისი პოლიტიკური გუნდის ჩაძირვის პროცესი ისეთი სისწრაფით მიმდინარეობს, რომ შესაძლოა, გააზრებასაც ვერ ასწრებენ.

***– არ ეტყობათ, რომ ისტორიის სანაგვეზე მათთვისაც გამოყოფილია ადგილი....***

– ალბათ ვანო მერაბიშვილიც ამიტომ აცხადებდა ორი დღის წინ, ჩვენ ამ ხელისუფლებას 4 წელი ვერ დაველოდებით, ბრძოლას ვიწყებთო.....

***– და არ ფიქრობთ, რომ ეს დამაფიქრებელია?***

– არა, ვფიქრობ, რომ ეს არასერიოზულია.

***– რატომ არის არასერიოზულია?***

– იმიტომ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ახლა პოლიტიკურ აგონიაშია და თუ ყოფილი მმართველი გუნდის შედარებით პროგრესულ ნაწილს გადარჩენა უნდა, მაშინ ყველაზე გამართლებული და სწორი ნაბიჯი მათი მხრიდან არის „მოძრაობა მომავლისკენ სააკაშვილის გარეშე“, მაგარამ რომელიმე მათგანი ამის თქმას მაინც გაბედავს? – მე მგონია, რომ ვერა!

***– რატომ არის ყველაზე გამართლებული გზა „მოძრაობა მომავლისკენ სააკაშვილის გარეშე?“***

– იმიტომ, რომ სააკაშვილი წარსულის პოლიტიკოსია. ის არის ავტორი და შემოქმედი 7 ნოემბრის, იმედის დარბევის, რიყის დარბევის, 26 მაისის სისხლიანი ღამის, ტელევიზიების დახურვის, საშუალო ფენის დასამარების, უკანონო დაჭერა-დაპატიმრებების, ქვეყანაში შიშის გაბატონების, ხელისუფლების უზურპაციის, ციხის სკანდალის, 2008 წლის აგვისტოს ომში, ანუ მოწყობილ პროვოკაციაში ჩართვის და კარგად გვახსოვს, რაც მოგვიტანა ამ ყველაფერმა, საზოგადოების ჩვენიანებად და ჩარეცხილებად დაყოფის, რომელმაც საზოგადოებრივი ერთობის უსერიოზულესი პრობლემა გააჩინა და ა.შ. ეს ყველაფერი შეუძლებელია, რომ ახალ რეალობაში მოხდეს? – ამას არავინ დაუშვებს. და რაც ყველაზე მთავარია, სააკაშვილი არის საქართველოს ერთადერთი ლიდერი, რომელმაც საკუთარი სამშობლოს ისტორია არ იცის. ამიტომაც იწყებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ათვლას 2003 წლის „ვარდების რევოლუციიდან“. როგორ შეიძლება ასეთი პოლიტიკური ლიდერი მომავლის პოლიტიკოსი იყოს, როდესაც ის და მისი ერის ბიოგრაფია დროში და სივრცეში აცდენილია.

***– თუმცა ის საქართველოს პრეზიდენტია და 8 თებერვალს თქვენ მას პარლამენტში ელოდებით.....***

– ის მოდის საქართველოს პარლამენტში პირველად, ასეთ შემადგენლობასთან და უკანასკნელადაც, საქართველოს პრეზიდენტის რანგში.....

***– მის დასახვედრად საპარლამენტო უმრავლესობა მართლა საგანგებოდ ემზადება?***

– მე ვფიქრობ, ეს დღე მისთვის ძალიან რთული და დაძაბული იქნება.

***– თქვენ რა გინდათ, რომ უთხრათ?***

– არაფერი, გარდა იმისა, რომ აღარასოდეს აჩვენოს საკუთარ ხალხს რა მძიმე სანახავია მიწაზე გართხმული, შეშინებული, აკანკალებული და უთავმოყვარეო მხედართმთავარი, რომელიც ამ სამარცხვინო გაქცევის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ატყუებდა საკუთარ ხალხს, მათ შორის მათ, ვინც სიკვდილის ზონაში დატოვა, რომ ომი მოიგო.

***– კულუარებში ხშირად საუბრობენ, რომ ის აპირებს მთავრობის დათხოვნას, რომ ის და მისი პოლიტიკური გუნდი მიდის ვაბანკზე და არც პროვოკაციებია გამორიცხული...***

– მისი მხრიდან ყველაზე ჭკვიანური მშვიდობიანად წასვლა იქნება. ამოეწურება საპრეზიდენტო ვადა და ექნება შანსი, ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება დაიტოვოს. სხვა შემთხვევაში მე მის მომავალს ვერ ვხედავ, პოლიტიკურ მომავალს, მით უმეტეს....

***– მისი მხრიდან მთავრობის დათხოვნას და პოლიტიკურ კრიზისს გამორიცხავთ?***

– არაფერს არ გამოვრიცხავ. თუმცა მინდა შევახსენო, რომ ხალხის მიერ არჩეული მთავრობა მისი დასათხოვნი არ არის. ხალხმა ქვეყნის მართვის მანდატი „ქართულ ოცნებას“ მისცა.

***– როგორც ეტყობა, საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის მმართველი გუნდი უმრავლესობას ვერ მოაგროვებს...***

– მმართველი გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ წარმოიშვას. დანარჩენს დრო აჩვენებს, როგორ განვითარდება მოვლენები. დასკვნების გაკეთებას ნუ იჩქარებთ, მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება.

***– კოალიციას ერთიანობის პრობლემა არ აქვს?***

– ჩვენი „კეთილისმოსურნენი“ ამბობენ დიდი არეულობაა კოალიციაშიო?

***– ჯერ არა, მაგრამ პროგნოზირებენ.***

– უსაფუძვლოა ეს პროგნოზი.

***– ხომ შეიძლება საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით პოზიციები გაიყოს. მით უმეტეს, რომ სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ირაკლი ალასანიას პრეზიდენტობაზე ფიქრიც კი გადააფიქრებინა.***

– ჩემი აზრით, საპრეზიდენტო კანდიდატზე საუბარი ჯერ ძალიან ნაადრევია. წინ დიდი დროა იმისათვის, რომ გუნდი საპრეზიდენტო კანდიდატზე ჩამოყალიბდეს.

***– კულუარებში გვარებიც სახელდება....***

– ძალიან არასერიოზულია ახლა საპრეზიდენტო კანდიდატურებთან დაკავშირებით საუბარი, რადგან წინ უმნიშვნელოვანესი პროცესებია. თუნდაც პარლამენტს, ძალიან ბევრ სერიოზულ თემაზე მოუწევს მუშაობა.

***– „ეროვნული ფორუმის“ და „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ გაერთიანება რატომ არ მოხდა?***

– კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ ამ ეტაპზე ეს გაერთიანება არ შედგება. თუმცა გამორიცხული არ არის, ეს საკითხი დღის წესრიგში კვლავ დაბრუნდეს მომავალში. დღევანდელი რეალობა კი ასეთია – ვრჩებით პარტნიორ ორგანიზაციებად, ვართ კოალიციის აქტიური წევრები და არ ვქმნით ე.წ. „პოლიტიკურ მონსტრს“, რომელიც სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს აშკარად არათანაბარ პირობებში ჩააყენებდა. მხარეებმა ამაზე ბევრი იფიქრეს და მოხდა ამ გადაწყვეტილების მიღება. ჩემი აზრით, ეს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილებაა.

## „ქართული ოცნების“ აქტივისტი შიმშილობას იწყებს

კოალიცია „ქართული ოცნების“ რუსთავის რეგიონალური ორგანიზაციის აქტივისტი ალექსანდრე ბერიძე, კოალიციის ცენტრალურ ოფისთან შიმშილობის აქციას იწყებს.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ინფორმაციით, შიმშილობის დაწყების ინიციატორი დღეს პარტიის პოლიტსაბჭოს წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვს.

„ჩემი მოთხოვნაა, კიდევ ერთხელ გავერკვეთ იმ პროცესებში, რაც მიმდინარეობს. იმ ცილისწამებაში და დეზინფორმაციაში, რაც ვრცელდება. აქამდე ყველა სხვა ფორმით ვეცადე, ექვს საათიანი მსვლელობაც მოვაწყვე, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. ამას ისევ ცილისწამება მოჰყვა. მზად ვარ ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ ფორმატში დავუჯდე და გავარკვიო ყველა კითხვის ნიშანი, რაც ჩემი პიროვნების და რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის მიმართ არსებობს,“-აცხადებს ალექსანდრე ბერიძე.

მისი თქმით, შიმშილობის დაწყების გადაწყვეტილება მან გუშინ განვითარებული მოვლენების გამო მიიღო.

„ქართული ოცნების“ რეგიონალური ორგანიიზაციის წევრებმა გუშინ დავით საგანელიძის განცხადება, რომლის თანახმადაც, „ქართული ოცნების“ რეგიონალური ორგანიზაციების ზოგიერთი წარმომადგენელი ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობს, ჯერ რუსთავში გააპროტესტეს, შემდეგ კი თბილისამდე მსვლელოიბაც მოაწყვეს. ისინი საგანელიძისგან შეხვედრას და იმის განმარტებას ითხოვდნენ, თუ რატომ დაადანაშაულა რუსთავის ორგანიზაციის ზოგიერთი წარმომადგენელი ნაციონალიური მოძრაობასთან თანამშრომლობაში.

შეხვედრა საგანელიძესთან არ შედგა.

**მედიანიუსი**

## 2013 წელი თამარ მეფის წლად გამოცხადდა

2013 წელი თამარ მეფის წლად გამოცხადდა. ამის შესახებ საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა.

მისი თქმით, მეცნიერები ფიქრობენ, რომ წელს სხვა საიუბილეო თარიღებიც არის, მაგრამ უმეტესობას მაინც მიაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ თამარ მეფის გარდაცვალებიდან, სავარაუდოდ, 800 წელი სრულდება.

„წმინდა მეფე შეგეწიოთ თქვენ და სრულიად საქართველოს! მისი ლოცვით დაიცვას ღმერთმა, გაამთლიანოს და გაახაროს სრულიად საქართველო და ქართველი ადამიანი“, –– ბრძანა უწმინდესმა.

მისივე თქმით, სამი რამ რყვნის ადამიანს: დიდება, სიმდიდრე და სილამაზე. ივანე ჯავახიშვილი ამბობს, რომ თამარ მეფეს სამივე ჰქონდა, მაგრამ ის მაინც გახდა წმინდანი.

**მედიანიუსი**

# სოციალურად დაუცველებს ბინებს ლოტოტრონით აღარ გაუნაწილებენ

მერი ნამორაძე

სოციალურად დაუცველები თუ დევნილები ხელისუფლების შეცვლისთანავე საკუთარი უფლებების დასაცავად შესაშურად გააქტიურდნენ. პირდაპირ, რკინის ქალამნები ჩაიცვეს და ხან მერიასთან მართავენ აქციებს, ხან სოციალური დაცვის სამინისტროსთან, არც ეკონომიკის სამინისტრო რჩებათ ყურადღების მიღმა და არც პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია. არასამთავრობოთა ერთი ნაწილი შუამავლის როლს კისრულობს ხელისუფლებასა და სოციალურად დაუცველთა თუ დევნილთა შორის და ცდილობს, უმტკივნეულოდ, დაპირისპირების გარეშე მოგვარდეს პრობლემები.

საზოგადოების ნაწილი სოციალურად დაუცველთა ერთობ გააქტიურებაში საბოტაჟის ნიშნებსაც ხედავდა. მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მცდელობა მართლაც იყო მავანისგან, თუმცა, თავად არასამთავრობო სექტორი შეეცადა, გაეკონტროლებინა, ვინ იყო რეალურად დაუცველი და ვინ არა. რა დაპირებები მიიღეს დაუცველებმა ხელისუფლებისაგან, ან როდის დაადგება საშველი დევნილთა განსახლების დასრულებას?

ამასთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ „დევნილი სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის“ ხელმძღვანელს, **ლელა გულედანს** ესაუბრა. კოალიციას დასახმარებლად მიმართეს სოციალურად დაუცველებმა, რომლებიც დიდ დიღომში არიან შეჭრილები, ასევე ბამბის ნართში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველებმა, რომლებსაც ჩამოენგრათ სახლი და ითხოვენ თავშესაფარს. ამ შენობას მესაკუთრეც ჰყავს და შეთანხმებით შეჭრილებს პირველ თებერვალს უნდა დაეცალათ შენობა.

***— რაიმე შეთავაზება ჰქონდათ ხელისუფლებისგან ამ ადამიანებს?***

— პასუხისმგებლობას იცილებს ორივე ინსტანცია — შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროც და მერიაც. ზეპირსიტყვიერად მოხდა შეთანხმება ჯანდაცვასთან, რომ ქირას გადაუხდიდა, სულ რვა ოჯახია ბამბის ნართში. მერიამ კიდევ უშუამდგომლა მესაკუთრესთან, გარკვეული ვადით დარჩენილიყვნენ შენობაში პირველ თებერვლამდე. შემდეგ ეს შეთანხმება დაირღვა, ჯანდაცვამ კანონები ამოქექა, რომ ასეთი კატეგორიის ხალხს მერიამ უნდა უპატრონოს, უქირაოს ბინები და გამოიყვანოს დანგრეული შენობებიდან. მერია კი საპირისპიროს იძახის — რადგან ისინი სხვის ბინაში იყვნენ და არა საკუთარ შენობებში, თავად არ ფლობდნენ ამ ქონებას, მერია არ არის ვალდებული.. მოკლედ, ასეთი გადამისამართებები და პასუხისმგებლობის თავიდან აცილება დაიწყო. შეხვედრები გვქონდა ქაცარავასთან, კაკაჩიასთან, დავყვებოდით ამ ხალხს და საბოლოოდ მათ მიმართეს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას, ეკონომიკის სამინისტროც ჩართული იყო ამ საკითხებში, რათა რაიმე შენობა გამოყოფილიყო მათთვის. საბოლოოდ მერიამ უარი თქვა დახმარებაზე და პასუხისმგებლობა ახალმა მთავრობამ აიღო, ასე გამოდის.



***— დიღომში შეჭრილებს რა პერსპექტივა აქვთ?***

— დიღომში რამდენიმე ოჯახი დარჩა, რადგან ბევრმა ვერ გაუძლო იქაურ პირობებს — არც გაზი იყო, არც დენი, მხოლოდ სამი ოჯახი დარჩა. დანარჩენები გამოვიდნენ თავისით. ის სამი ოჯახი კი არ აპირებს გამოსვლას. მოგეხსენებათ, ეს არის სოციალური საცხოვრისი, რომელსაც აშენებს მერია და შვეიცარიის თანამშრომლობის სააგენტო ერთად. იქ უნდა შევიდნენ სოციალურად დაუცველი კატეგორიის ოჯახები. რამდენიმე კრიტერიუმია კანონმდებლობით გათვალისწინებული, თუ ვის უნდა შეხვდეს ეს ბინები. — სამი ძირითადია და 4 ჩამონათვალია დამატებით. იქიდან უნდა აკმაყოფილებდნენ პირობებს. 700 განაცხადია მერიაში შესული, ვისაც უნდა ამ საცხოვრისში შესვლა, ანუ პრეტენზია აქვს, რომ უსახლკაროა. 300 განცხადებაა შერჩეული კომისიის მიერ და აქამდე ასე იყო, რომ ლოტოტრონით ხდებოდა მობინადრეთა შერჩევა.

***— თქვენ სოციალურად დაუცველებთან ერთად აპროტესტებდით ლოტოტრონს. ხომ არ შეიცვალა შერჩევის სისტემა?***

— მამუკა ქაცარავა შეგვპირდა, რომ ლოტოტრონით განაწილება შეიცვლებოდა. სოციალურად დაუცველებს ამასთან პრეტენზია აქვთ და არ სჯერათ ამ გადანაწილების. თავად მერიაშიც აღიარეს, რომ ვერ გამოიკვლიეს ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი სათანადოდ და ისეთ ოჯახს მისცეს ბინა, რომელსაც მანქანაც ჰყოლია, ბინაც ჰქონია, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ მოუვიდათ ასე და უკვე ნდობა დაკარგა ხალხმა. აღარც კომისიას ენდობიან და აღარც ლოტოტრონს. ლოტოტრონი, საერთოდ, დამამცირებლად მიაჩნიათ. თუ კრიტერიუმში ჯდება ეს 300 ოჯახი, მაშინ ბინა ყველას ეკუთვნის, ამიტომ არ მოსწონთ ლოტოტრონის პროცესი.

მივიღეთ ზეპირსიტყვიერი დაპირება, რომ ლოტოტრონი არ იქნება. თებერვლის ბოლოს უნდა მოხდეს პროცესის დამთავრება. კომისია დადის ამ 300 ოჯახის მისამართზე ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ხდება კითხვარების შევსება. სხვათა შორის, ამ კითხვარებთან დაკავშირებითაც არის პრეტენზიები. ერთ-ერთი სოციალურად დაუცველი ამბობს, რომ კითხვარში არის ასეთი შეკითხვა — რა გქონდა ახალ წელს სუფრაზე, ან მეზობელი ხომ არ შემოვიდა. სასაცილო კითხვებია. შეიძლება სუფრაზე ინდაური თუ გიდევს, ფუფუნებად მიიჩნევა. ინდაური მართლა ფუფუნებაა დღეს. ამით ხდება დადგენა, აქვს თუ არა ოჯახს შემოსავალი. ალბათ, რაღაც ლოგიკაც არის ამ კითხვარში, მაგრამ თავად რესპონდენტები შეურაცხყოფილად თვლიან თავს.

***— დევნილებთან დაკავშირებით რას გვეტყვით, რა დაპირებები მიიღეს 2013 წლისთვის დევნილებმა?***

— დევნილთა სამინისტროს ბიუჯეტი გაორმაგდა. თუმცა გასამმაგდა ის თანხები, რაც განსახლებაზე მიდიოდა —ბატონმა დარახველიძემ ასე განგვიცხადა — არასამთავრობო ორგანიზაციებს. გარდა ამისა, არის კიდევ დონორი ორგანიზაციებისგან ფინანსური რესურსების გადმოსროლა განსახლების პროცესში. ამ წელს 100 მილიონი დაიხარჯება განსახლებისთვის. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, სულ 90 ათასი დევნილი ოჯახი გვყავს. აქედან დაკმაყოფილებულია მხოლოდ 25 ათასი. დარჩენილია კიდევ ძალიან ბევრი. ბატონი დავით დარახველიძე ამბობს, რომ ყველა წელს ვერ დაკმაყოფილდება და ოთხ წელზე უნდა გადანაწილდეს დარჩენილი 65 ათასი ოჯახის განსახლება. ამ ტემპით წელს 20 ათასი ოჯახის დაკმაყოფილება უნდა მოხდეს. ეს მაინც გამოიწვევს უკმაყოფილებას დევნილებში, რადგან მოლოდინი კიდევ უფრო მეტია. უნდათ, რომ წელს ყველა დაკმაყოფილდეს, მაგრამ ეს ასე ვერ იქნება.

თუ კოლექტიური განსახლების ცენტრების დაკანონება მოხდა თბილისში, მაშინ შეიძლება კარგი სურათი მივიღოთ. წინა ხელისუფლების პირობებში დაკანონების პროცესში შეჩერებული იყო და საერთოდ არ ჰქონდათ გეგმაში დაეკანონებინათ, რადგან აქედან უნდა წაეყვანათ ხალხი რეგიონებში. ამით ზარალდებოდა ისევ კერძო სექტორში მცხოვრები დევნილი, რადგან უპირატესობა ისევ კოლექტიურ ცენტრში მაცხოვრებელ დევნილებს ენიჭებოდათ. ახლა პრიორიტეტები სხვაგვარად ნაწილდება და კერძო სექტორში მაცხოვრებელ დევნილებსაც დააკმაყოფილებენ, როგორც თვითონ ჩაგვაბარეს ანგარიში. გაზაფხულიდან უნდა დაიწყოს ეს პროცესები აქტიურად. მოლოდინის რეჟიმში ვართ. შეჭრილების გამოყვანაც ჯერჯერობით არ ხდება შენობებიდან. ზოგს მაისამდე ტოვებენ, გამოსახლებები არ ყოფილა და ჯერჯერობით არ იქნება. სამინისტროშიც მიმდინარეობს რეორგანიზაცია, კადრების გადაადგილებას, საქმეების შესწავლას აქვს ადგილი და ეს მუშაობის ტემპსაც აგდებს. ვნახოთ, რა იქნება გაზაფხულზე. ყოველ შემთხვევაში, ნდობის ფაქტორი დევნილების მხრიდან სამინისტროს მიმართ გაიზარდა. კომუნიკაცია ნორმალურია. ზოგს მაშინვე უწყვეტენ პრობლემას, მყისიერი რეაქციაა, ვისაც რეგიონში უნდა განსახლება, მაშინვე მიჰყავთ, აჩვენებენ და თუ მოსწონთ, აძლევენ ამ ბინას. რამდენს გასწვდება წელს ბიუჯეტი და რამდენს დააკმაყოფილებს, ვნახავთ. უბრალოდ, მოლოდინი იმიტომ იყო სხვა, რომ წინა მთავრობა ატყუებდა მათ და პოლიტიკური დაპირებები იყო უფრო, ვიდრე რეალური. ამიტომ გამოიწვია ასეთი ტალღა და დიდი მოთხოვნები სამინისტროს მიმართ.

# ძეხვეულისა და კარაქის შემოწმების შედეგები

**სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა 2011 — 2013 წლებში სხვადასხვა ტიპის ძეხვეულის, შებოლილი ხორცპროდუქტებისა და კარაქების შემოწმების შედეგები გამოაქვეყნა. მასალაში გაეცნობით, ხორცის რომელი პროდუქტებია კოლიბაქტერიებით დაბინძურებული.**

### ძეხვეულის შემოწმების შედეგები

2013 წლის 16 იანვარი — ნიკორას მოხარშულ შებოლილი ძეხვი სალიამი — მიკრობიოლოგიური მახასიათებლები ნორმაშია;

2012 წლის 10 დეკემბერი — „კორიდას“ სოსისი დიდ დიღომში — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 22 ნოემბერი — „ვაკის“ სოსისი იოლი-გასტრონომიიდან – — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 22 ნოემბერი — გუდვილის სოსისი ივერია საქონლის (ვაკის გუდვილიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 22 ნოემბერი — გუდვილის სოსისი ივერია შერეული (ვაკის გუდვილიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 19 ნოემბერი — ნიკორას სოსისი ივერია (მაღაზია „პიზა“-დან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 19 ნოემბერი — ნიკორას სოსისი რძიანი სასკოლო (ნიკორას საფირმო მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 19 ნოემბერი — ნიკორას სოსისი რძიანი (ნიკორას საფირმო მაღაზიიდან)—მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 19 ნოემბერი — ვაკის სოსისი საბავშვო (ვაკის ხორცპროდუქტების საფირმო მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 2 ნოემბერი — ვაკის მოხარშული ძეხვი საექიმო (ვაკის ხორცპროდუქტების საფირმო მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 2 ნოემბერი — ვაკის სოსისი ფრანკფურტერი (ვაკის ხორცპროდუქტების საფირმო მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 24 ოქტომბერი — გუდვილის სოსისი საბავშვო — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 22 ოქტომბერი — ლიდერფუდის სოსისი სასკოლო (გორის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 10 ოქტომბერი — სოსისი თბილისური (ვარკეთილი-3-ის პირველი მიკრორაიონის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით

2012 წლის 26 სექტემბერი — კორიდას რძიანი სოსისი (თემქის „ახალი უნივერსამიდან“) — კოლიბაქტერიული დაბინძურება არ აღმოჩნდა;

2012 წლის 20 სექტემბერი — ზეიკიძის სერვილადი (ფონიჭალის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია; ნიტრიტების შემცველობა დაშვებულის ზედა ზღვარზეა;

2012 წლის 10 ივლისი — შინჰოფერის სოსისი ფრანკფურტერი (შინჰოფერის საფირმო მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 10 ივლისი — შინჰოფერის ძეხვი ალმო ექსტრა (შინჰოფერის საფირმო მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 13 ივნისი — ვაკის ივერია სოსისი სპეცი (დიღმის მასივის მე-4 კვარტლის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 13 ივნისი — ვაკის სოსისი ივერია (ვაკის ხორცპროდუქტების საფირმო მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 13 ივნისი — ვაკის სოსისი საბავშვო (ვაკის ხორცპროდუქტების საფირმო მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 7 მაისი — ნიკორას ასაწონი შებოლილი ნეკნები (ხომლელის №1-ში მდებარე ნიკორას მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 22 მარტი — ვაკის ივერია სოსისი სპეცი (დიღმის მასივის მე-4 კვარტლის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 31 იანვარი — ნიკორას შებოლილი სკუმბრია ვაკუუმ-შეფუთვაში (გლდანში მდებარე „ნიკორას“ მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2012 წლის 25 იანვარი — ლიდერფუდის ბავარიული სოსისი (ვარკეთილი-3-ის პირველი მიკრორაიონის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 25 იანვარი — ნიკორას სარდელი (თემქის „ახალი უნივერსამიდან“) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 25 იანვარი — მითანას ივერია სოსისი (თემქის „ახალი უნივერსამიდან“) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2012 წლის 9 იანვარი — შებოლილი „სიომგა“ (ვაშლიჯვარში მდებარე მაღაზია „ვაკიდან“) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2011 წლის 12 დეკემბერი — ცივად შებოლილი სკუმბრია (მაღაზია „აკვარიუმიდან“) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2011 წლის 12 დეკემბერი — ცხლად შებოლილი ორაგულის ხერხემალი (მაღაზია „აკვარიუმიდან“) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით და სტაფილოკოკით;

2011 წლის 12 დეკემბერი — ცივად შებოლილი სათალი „მასლიანკა“ (მაღაზია „აკვარიუმიდან“) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2011 წლის 16 ნოემბერი — მითანას ივერია სოსისი (მაღაზია „სმარტიდან“) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2011 წლის 21 ოქტომბერი — ლიდერფუდის ლორი ვაკუუმ-შეფუთვაში (თემქის მე-11 მიკრორაიონის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2011 წლის 21 ოქტომბერი — ავსტრიული წარმოების შებოლილი ძეხვი „კაბანოსი“ (გოგებაშვილის ქუჩაზე არსებული პოპულის მაღაზიიდან) — მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია;

2011 წლის 21 ოქტომბერი — იტალიური წარმოების მოხარშული ძეხვი „მორტადელა“, მაღაზიის მიერ დაფასოებული (გოგებაშვილის ქუჩაზე არსებული „პოპულის“ მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2011 წლის 20 ოქტომბერი — „ლიდერფუდის“ ბავარიული სოსისი (ვარკეთილი-3-ის პირველი მიკრორაიონის ერთ-ერთი მაღაზიიდან) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2011 წლის 20 ოქტომბერი — ნიკორას სარდელი (თემქის „ახალი უნივერსამიდან“) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით;

2011 წლის 20 ოქტომბერი — „მითანას“ ივერია სოსისი (თემქის „ახალი უნივერსამიდან“) — დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით.

### კარაქის შემოწმების შედეგები, 2011-2013

2012 წლის 25 დეკემბერი, სოფლის კარაქი „შირაქის ეკოპროდუქტების“ ჯიხურში, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 98,8%, მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები ნორმაშია.

2012 წლის 12 სექტემბერი, კარაქი „ანკორი“, პროდუქტი ამძაღებული აღმოჩნდა. მაღაზიამ ამოიღო პროდუქტი გაყიდვიდან.

2012 წლის 2 მაისი, გერმანული ასაწონი კარაქი ე.წ „დიდუბის მაცივარში“, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 91,7%;

2012 წლის 2 მაისი, კარაქი „ვალიო“ 82%, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 95,8%;

2012 წლის 2 მაისი, კარაქი „პრეზიდენტი 82%“, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 97%;

2012 წლის 20 აპრილი, ასაწონი კარაქები ბათუმის ერთ-ერთ მაღაზიაში, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 11,2%. მაღაზიას გაეგზავნა თხოვნა, არ გაყიდოს პროდუქტი „კარაქის“ დასახელებით. მაღაზიამ გვაცნობა, რომ გამოცვალა პროდუქტი;

2012 წლის 27 მარტი, სამგორის „ნაღების კარაქი 82,5%“ (ერთობლივი შესყიდვა-შემოწმება მეწარმის მოთხოვნის საფუძველზე) რძის ცხიმის შემცველობა საერთო ცხიმებში 91,3%;

2012 წლის 26 მარტი, სანტეს „კარაქი ექსტრა 82,5%“, რძის ცხიმის შემცველობა საერთო ცხიმებში 27,1%, მეწარმეს გაეგზავნა თხოვნა შეცვალოს პროდუქტის დასახელება;

2012 წლის 26 მარტი, „ნაღების კარაქი 82% შატილი“, რძის ცხიმის შემცველობა საერთო ცხიმებში 99,3%;

2012 წლის 21 თებერვალი, სამგორის „ნაღების კარაქი 82,5%“, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 50,8%, მეწარმეს გაეგზავნა თხოვნა, შეცვალოს პროდუქტის დასახელება. მეწარმემ შეცვალა პროდუქტის შემცველობა;

2012 წლის 21 თებერვალი, „ნაღების კარაქი სანტინო 72,1%“, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 99,3%;

2012 წლის 21 თებერვალი, „სპრედი ნაღების ქობულეთური 82,5%“, რძის ცხიმის შემცველობა ცხიმოვან ფაზაში 0,6%, მეწარმეს გაეგზავნა თხოვნა, შეცვალოს პროდუქტის დასახელება;

2012 წლის 26 იანვარი, „კარაქი სამგორი 72,5%“, რძის ცხიმის შემცველობა საერთო ცხიმებში 0%, მეწარმეს გაეგზავნა თხოვნა, შეცვალოს პროდუქტის დასახელება;

2012 წლის 26 იანვარი, „კარაქი სამგორი 60%“, რძის ცხიმის შემცველობა საერთო ცხიმებში 0%, მეწარმეს გაეგზავნა თხოვნა შეცვალოს პროდუქტის დასახელება;

2012 წლის 26 იანვარი, „ნაღების კარაქი შატილი 82%“, რძის ცხიმის შემცველობა პროდუქტში 83%;

2011 წლის 10 ნოემბერი, ეკოფუდის „კარაქი“, ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით არ შეესაბამება კარაქის მაჩვენებლებს, გაეგზავნა მეწარმეს თხოვნა შეცვალოს პროდუქტის დასახელება. მეწარმემ შეცვალა ეტიკეტი და პროდუქტს „კარაქი“ აღარ ჰქვია;

2011 წლის 13 ოქტომბერი, „ნაღების კარაქი სანტინო 72,5%“, რძის ცხიმის შემცველობა პროდუქტში 72,5%;

2011 წლის 13 ოქტომბერი, „კარაქი შატილი“, რძის ცხიმის შემცველობა პროდუქტში 40%, მეწარმეს გაეგზავნა თხოვნა შეცვალოს პროდუქტის დასახელება. მეწარმემ შეცვალა ეტიკეტი და პროდუქტს „კარაქი“ აღარ ჰქვია.

**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

## პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლას ავტომობილების სიგნალით გააპროტესტებენ

გუშინ თბილისში, რუსთაველის ძეგლთან არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება „ერთსულოვნების“ ინიციატივით, მეცნიერებმა, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა გამოხატეს პროტესტი „თვითმარქვია პრეზიდენტის“ პარალმენტში მიწვევის გამო... მკრეხელობა უწოდეს სააკაშვილის მოთხოვნას – დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს პარლამენტში გამოსვლის თაობაზე და მოუწოდეს საქართველოს მოქალაქეებს, 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, 12:00 საათზე, „ღირსების შეკრებაში“ მიიღონ მონაწილეობა. „დავდგეთ ერთად მომავლის საქართველოსათვის! დავიცვათ საკუთარი და ქვეყნის ღირსება! გავაპროტესტოთ ვადაგასული და თვითმარქვია პრეზიდენტის პარალმენტში გამოსვლა!“, – აცხადებენ „ერთსულოვნებაში“.

რუსთაველის ძეგლთან გამართული შეკრების მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, რომ კარგი იქნება, რომ ამ დღეს, ზუსტად 12:00 საათზე მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოხატონ ერთსულოვანი პროტესტი ავტომობილების სიგნალებით.

მედიანიუსი

## სახელმწიფო დაცვის სამსახურის რეორგანიზაციისათვის სპეციალური კომისია შეიქმნა

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რეორგანიზაციის მიზნით სპეციალური კომისია შეიქმნა. უწყების რეორგანიზაცია და კომისიის შექმნა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია. მათ საფუძველზე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური პრეზიდენტის დაქვემდებარებიდან მთავრობის დაქვემდებარებაში გადავიდა. მოქმედი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების დასაცავად პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახური ცალკე იქმნება. მას უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი გააკონტროლებს. კომისია შემდეგი შემადგენლობით დაკომპლექტდა: ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია, მთავარი პროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი, მთავრობის საპარლამენტო მდივანი შალვა თადუმაძე, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი დიმიტრი ძაგნიძე, პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ირაკლი ნადირაძე და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თეიმურაზ ჯანაშია. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვათ დეპუტატებს: პავლე კუბლაშვილს და ირინე იმერლიშვილს, პრემიერ-მინისტრის პირადი დაცვის უფროს ანზორ ჩუბინიძეს და ექსპერტებს: კახა ჯაფარიძესა და ნუკრი ლოლაძეს. კომისიამ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება უნდა უზრუნველყოს. მათ შორის, პრემიერის განკარგულებით, კომისიამ 15 დღის ვადაში უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის დაცვის სპეციალური სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსის გამოყოფის შესახებ და შესაბამისი წინადადებები ფინანსთა სამინისტროს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სათანადო ცვლილების შეტანის მიზნით წარუდგინოს.

მედიანიუსი

# რატომ სცემენ ერთმანეთს ქუთაისის მერიაში

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

გასული კვირის ბოლოს ქუთაისის მერია მედიის ყურადღების ქვეშ მოექცა. თენგიზ თოფურიძეს, რომელიც ქალაქის ადმინისტრაციის უფროსია, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები დაუპირისპირდნენ. თოფურიძე სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობს 1998 წლიდან, 2008 წლის 2 ივნისიდან ქუთაისის მერიის აპარატის უფროსი იყო, ხოლო 2012 წლიდან კი–ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. ბატონ თენგიზს დაპირისპირების შესახებ „ახალი თაობა“ ესაუბრა.

***– როცა თქვენ დაიწყეთ მერიის ზოგიერთი „ბნელი საკითხის“ წამოწევა, ამის შემდეგ დაიწყო თქვენთან დაპირისპირება, რატომ გადაწყვიტეთ ამ ბოლო პერიოდში კრიტიკული მიდგომა მერიის საქმიანობისადმი?***

– ქუთაისის მერიაში ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე არ დავნიშნულვარ ჩემი უმუშევრობის გამო. პირიქით, 2008 წელშიც, როგორც გასული 4 წლის განმავლობაში, ვმუშაობდი გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტ-კონსულტანტად. მქონდა მაღალი ანაზღაურება და ჩემი ამ ორგანიზაციიდან დაბალანაზღაურებად საჯარო სამსახურში წამოსვლის მოტივაცია გახლდათ ერთადერთი – ჩაგვეტარებინა რეფორმები, რომელიც გულისხმობდა ორგანიზაციის რესტრუქტურიზაციას, კადრების ოპტიმიზებას, მერიის მუშაობის მაორგანიზებელი დოკუმენტების შექმნას (დებულებები, სამუშაოთა აღწერები, შინაგანაწესი, საქმისწარმოების წესი და ა.შ.) და მთელი რიგი კორუფციული სქემების დაშლას. რაც, ნაწილობრივ, იმ ხელისუფლების პერიოდში განვახორციელეთ კიდეც. შემდგომ შეიცვალა როგორც მხარის, ისე ქალაქის ხელისუფლება და ბუნებრივია, შეიცვალა ზოგადი მიდგომები და პრიორიტეტები. ვერ ვიტყვი, რომ რადიკალურად, მაგრამ საგრძნობლად – კი!

დაპირისპირება დაიწყო 2010 წელს, მას შემდეგ, როცა მხარისა და ქალაქის ხელმძღვანელობასთან ღიად ვისაუბრე მერიაში არსებული შრომითი დისციპლინის, თანამშრომელთა კვალიფიკაციის, საქმიანობის არაეფექტურობის, სტრუქტურული ნაკლოვანებებისა და იმ აქტივობების თაობაზე, რაც წმინდა წყლის პოლიტიკური დაკვეთა გახლდათ და არა ორგანიზაციის განვითარებისკენ მიმართული ცვლილებები. ამის გამო იძულებით შვებულებაშიც გამიშვეს. შემდეგ მოხდა რაღაც შეთანხმება პრობლემების გადაჭრის თაობაზე და მეც დავბრუნდი.



***– თქვენ აუცილებლად გეცოდინებათ ისეთი ფაქტები, რომლის გამჟღავნებაც ქუთაისის ხელისუფლებას ძალიან აღელვებს, შეგიძლიათ „ახალ თაობის“ მკითხველს რომელიმეზე მოუთხროთ?***

– პირველი ის, რომ ქუთაისის თვითმმართველობაში ადგილი ჰქონდა და ახლაც გრძელდება უპრეცენდენტო საშტატო მატება. თვითმმართველობის თანამშრომელთა საერთო რიცხოვნობამ შეადგინა 668. ამ ციფრებს თუ დავამატებთ საქალაქო პროგრამების მომსახურე თანამშრომლებს (მხედველობაში მაქვს ქუთაისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ლტოლვილთა სამსახურის პროგრამები, პროგრამა „კორპუსი“, ეკონომიკის პროგრამები, დაახლოებით 150 თანამშრომელი დეკემბრის დასაწყისისთვის, ახლა უკვე მოახდინეს რეაგირება და 73 თანამშრომლით შეამცირეს ეს პროგრამა). ჯამში ქუთაისის თვითმმართველობის სტუქტურულ ერთეულებში (და აქ არ იგულისხმება თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოები) დასაქმებულია 800-მდე თანამშრომელი. მათი ჩათვლით კი 3500-მდე.

აქედან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის სახელფასო თანხამ ჯამში წლის განმავლობაში შეადგინა 7 190 000 ლარი, რაც ქუთაისის საკუთარი შემოსავლების (11 113 000 ლარი) 65%-ია. ტენდენცია საგანგაშოა და კვლავ გრძელდება.

განვიხილოთ ზოგიერთი პრობლემური საკითხი: სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად, 3 სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით, 2013 წელში იმატებს ადმინისტრაციული ხარჯები. სულ ადგილობრივი თვითმმართველობის სახელფასო ფონდი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები ჯამში შეადგენს ადგილობრივი შემოსავლების 85%-ს, ხოლო საერთო ბიუჯეტის დაახლოებით 25%-ს. არ არის დაცული თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. მათ შორის, საჯარო სამსახურის უპარტიობა და საერო ხასიათი, საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი მოქალაქისათვის, მათი უნარებისა და პროფესიული მზაობის შესაბამისად. თანამდებობებზე დღემდე კონკურსის გარეშე ინიშნებიან არაკვალიფიციური ან კონკრეტულ პოზიციასთან კვალიფიკაციით შეუსაბამო ადამიანები. ზოგადად, ძალიან დაბალია მოხელეთა პროფესიონალიზმის დონე; აშკარაა უპასუხისმგებლობა, უკონტროლობა, უდისციპლინობა, შრომის დაბალი კულტურა. როგორც გლობალურად, ისე ცალკეულ სფეროებში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული კონკრეტული მიზნები, განვითარების პრიორიტეტები, სტრატეგია, პროგრამები; მათი შესრულებისთვის საჭირო ფინანსური, ადამიანური და სხვა რესურსები. არ არსებობს არანაირი ინიციატივა (ან სუსტი ინიციატივებია) – ადგილობრივი თვითმმართველობა წავიდეს თანამშრომლობაზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან, რაც, ცხადია, უარყოფითად აისახება ქალაქისა და ქვეყნის სამომავლო განვითარებაზე.

***– ამბობენ, რომ ქუთაისის თვითმმართველობას ყავს უზარმაზარი ავტოპარკი...***

– ძალიან მტკივნეულია ავტოპარკის საკითხი. ბოლო პერიოდში ქუთაისის თვითმმართველობაში შეინიშნება სამსახურებრივი ავტომანქანების როგორც რაოდენობის, ისე მათ შესანახად გაწეული ხარჯების ზრდის ტენდენცია. ამჟამად ბალანსზე ირიცხება 40-მდე ავტომანქანა, პლუს მერიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში თანამშომლების ხელშეკრულებით აყვანილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, სულ 126 ავტომანქანა, რომელთა მხოლოდ ლიმიტით განსაზღვრული საწვავით უზრუნველყოფა ქუთაისის ბიუჯეტს წლიურად, საშუალოდ, 150 000 ლარი უჯდება. ამას დამატებული სამივლინებოდ გამოყოფილი საწვავის ხარჯი და ექსპლოატაციის ხარჯი, რაც ჯამში მაგალითად 2013 წელში 650 000-მდე ლარს შეადგენს. რაც, წლის ბოლომდე, როგორც წესი, 20-30%-ით მაინც მატულობს. ხსენებულ 126 ავტომობილში იგულისხმება სპეცმანქანები: სახანძრო, ნარჩენების შემკრები, ქუჩების სარწყავი და სხვა დაახლოებით 20 მანქანა. გაგაცნობთ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა პატრონობის ხარჯების დინამიკას:

2007 წელი – ხარჯები – 83 000 ლარი; 2008 წელი – 116 300 ლარი; 2009 წელი – 202 300 ლარი; 2010 წელი – 339 300 ლარი; 2011 წელი –612 100 ლარი;2012 წელი – 836 900 ლარი; 2013 წელი – 623 000 ლარი.

გარდა იმისა, რომ 100-ზე მეტი ავტომობილისაგან შემდგარი ავტოპარკის შენახვა მნიშვნელოვნად ზრდის ადმინისტრაციულ ხარჯებს, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს ბრძანებულების „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ მეორე მუხლის მეორე აბზაცში ვკითხულობთ „მუშაკთა რიცხოვნობის 50 საშტატო ერთეულამდე 1 ავტომანქანა, 50-100-მდე 2 ავტომანქანა, 100-150-მდე 3 ავტომანქანა... 300 და მეტი (საშტატო ერთეული – 6 ავტომანქანა.)“

ბოლო წლებში ავტომობილების რიცხვი 5-6 ავტომობილიდან 100 ერთეულზე მეტ ავტომობილამდე გაიზარდა, რაც საგანგაშო გრადაციაა.

ცნობისათვის მინდა აღვნიშნო, რომ ბერლინის მერიასა და ბუნდესტაგში არავის ემსახურება პერსონალური სახელმწიფო ავტომობილი. არსებობს რამდენიმე ავტომობილისგან შემდგარი ავტოპარკი, რომელიც, განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო დაკვეთით (გამოძახებით) რიგითობით ემსახურება ნებისმიერ საჯარო პირს.

***– თქვენს წინააღმდეგ, ფაქტია, მთელი ქუთაისური „ნაცმოძრაობა“ ჩაერთო, ანუ ისინი თქვენ საშიშ პერსონად გთვლიან. სახელდობრ, რა მიზეზით გიპირისპირდებიან?***

– ამ ორი თვის განმავლობაში დავაყენე არაერთი მტკივნეული საკითხი, რაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან აღშფოთებას იწვევს. არაერთგზის გავაკეთე შედარებითი ანალიზი ქუთაისსა და ევროპის ქალაქებს შორის. მაგალითად ავიღოთ ქუთაისთან დაძმობილებული პოლონეთის ქალაქი პოზნანი, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ქალაქი არა მხოლოდ პოლონეთში; ძალიან საინტერესო შედარებებია: 195 ათასიან ქუთაისს ემსახურება 800-მდე საჯარო მოხელე, 1 000 000-იან პოლონეთის ქალაქ პოზნანს 1200 თანამშრომელი, მუნიციპალური პოლიციის ჩათვლით; პოზნანისა და ქუთაისის მოსახლეობის რიცხობრიობის გათვალისწინებით (ამ რიცხვში პოზნანის მუნიციპალური პოლიციის თანამშრომლებიც ჩავთვალოთ), თანაფარდობის პრინციპით, ქუთაისში 400-მდე საჯარო მოხელე უნდა მუშაობდეს, მაგრამ სულ მოსახლესთან თანაფარდობას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ქალაქის განვითარების მასშტაბები და პრიორიტეტებია. უდავოა, პოზნანის სოციალ-ეკონომიკური, ტურისტული თუ სხვა მიმართულებებით განვითარება სულ სხვა ტემპით მიმდინარეობს, მით უფრო, დღევანდელ ქუთაისთან შედარებით. პოზნანის მერიასა და ქალაქის საკრებულოში 37 დეპუტატია და ემსახურებათ არის 8 ავტომობილი. აქედან 1 მერის, 3 მერის მოადგილეების, 1 აპარატის უფროსის, 1 საბჭოს (საკრებულოს) თავმჯდომარის და 2 სპეცავტომობილი სამეურნეო დანიშნულებისთვის; ქუთაისის მერიაში 126 ავტომობილია. აქიდან 40-მდე ბალანსზე რიცხული, დანარჩენი ხელშეკრულებით გაფორმებული; მოსარგებლეებია მართვის ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები და თანამშრომლები, სამსახურების უფროსები, მოადგილეები, განყოფილებების უფროსები და რიგითი თანამშრომლებიც კი; პოზნანის ადმინისტრაციული ხარჯი შეადგენს საერთო ბიუჯეტის 15%-ს, ჩვენთან ადგილობრივი შემოსავლების 85%-ს და საერთო ბიუჯეტის 25%-ს; პოზნანის 2 საპატიო მოქალაქე, მათ არც ადრე, სიცოცხლეში და მით უფრო მათ შვილებს და შვილიშვილებს წელიწადში ორჯერად ფულად დახმარებას და ჯილდოს არავინ აძლევს. საერთოდ, ეს ისედაც პატივია, იყო საპატიო მოქალაქე. შინაარსი ამ სიტყვის არის საპატიოობა და არა წოდების ანაზღაურება. ქუთაისში ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხები იყოფა 41 ცოცხალ საპატიო მოქალაქეზე და 7 გარდაცვლილი საპატიო მოქალაქის ოჯახზე. ქუთაისის მერის 2012 წლის №1485 25 დეკემბრის ბრძანების თანახმად გაცემულმა თანხამ შეადგინა 18 000 ლარი; თითოეულზე 375 ლარის ოდენობით.

რახან ამ თემას შევეხეთ, განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ქუთაისის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი და მატერიალური დახმარებები (ე.წ. ქ. ქუთაისის მერიის სარეზერვო ფონდი) 2012 წელს მხოლოდ ქუთაისის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან (არ ვგულისხმობ ქუთაისის მერიის ჯანდაცვის, სოციალურ და ლტოლვილთა სამსახურის ერთჯერადი მატერიალური დახმარებების პროგრამას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 492 ადამიანს. აქედან საპარლამენტო არჩევნებამდე 384-ს, ხოლო არჩევნების შემდეგ 108 ადამიანს. სულ ჯამური თანხა წლის განმავლობაში შეადგენს 231 800 ლარს. აქიდან, არჩევნების შემდგომ გაცემული თანხა დაახლოებით 45 000 ლარს შეადგენს. ანალოგიურად გრძელდება 2013 წელსაც. 1 იანვრიდან დღემდე 72 მოქალაქეზე გაცემულია დაახლოებით 38 000 ლარი. აქვე მე ხელთ მაქვს ქ. ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსის ბატონი გელა გაბადაძის 31.12.2012 წლის 01/03-159 მომართვა, ქ. ქუთაისის მერიასა და შესაბამისი სამსახურებისადმი, სადაც ვკითხულობთ, რომ დეპუტატის ბიუროდან ქუთაისის მერიას რეაგირებისთვის გადმოეგზავნა 218 მოქალაქის განცხადება (მათ შორის, ერთჯერად მატერიალურ დახმარებას, დასაქმებასა და სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით). დღესდღეობით, ვადების დარღვევით, პასუხი არ არის გაცემული 45 განცხადებაზე, ხოლო დანარჩენ 173 მოქალაქეს უარი ეთქვა დახმარებაზე.ეს ფაქტები კიდევ ერთხელ გვიდასტურებს იმას, რომ ქუთაისის მერიაში საქმე გვაქვს შერჩევით სამართალთან – ანუ მოქალაქეთა დახმარება განისაზღვრება პოლიტიკური ნიშნით და ასევე სარეზერვო ფონდი კი არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. ცხადია, რომ ეს და სხვა ფაქტები, რაც ჩემს ხელთაა, სასიამოვნო ნამდვილად არაა ამ ინიციატივების ავტორებისთვის.

***– საზოგადოების თვალში საქართველოს პრეზიდენტი ცდილობს, რომ ქუთაისის მაჟორიტარი სანიკიძე ძილისგუდად წარმოადგინოს. ჩაერია როდესმე თქვენ მიერ წამოყენებული პრობლემების გადაჭრაში, თუნდაც დელიკატურად, ბატონი გუბაზი?***

– არა, ბატონ გუბაზთან პირადად შეხება არ მქონია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ჩემს აქტივობებს და საზოგადოების წინაშე წარმოდგენილ ფაქტებს ადევნებს თვალს და რეაგირებასაც გააკეთებს, ვინაიდან ეს თემები მაჟორიტარი დეპუტატის ყურადღების საგანი უნდა გახდეს.

***– ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის ამირან ძოწენიძის არცთუ კარგ ტონალობაში საუბარს თქვენზე როგორ შეაფასებდით?***

– ეს წმინდად მისი ღირსებისა და აღზრდილობის საკითხებია. თუმცა, როცა ეს ქალაქის და ქვეყნის პრობლემა ხდება, ჩვენ უნდა აღვკვეთოთ ან როგორც მინიმუმ, შევაფერხოთ. მას შემდეგ, რაც მერის მოვალეობის შემსრულებელმა, ამირან ძოწენიძემ, სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა და სცადა ფიზიკური ანგარიშსწორება საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტში გამართულ სამსახურების თათბირზე, ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა და განაცხადა: „არაფერი შეურაცხყოფა მისთვის მე არ მიმიყენებია და ფიზიკურად რომ გავწეულიყავი მისკენ, ცოტა სხვა მდგომარეობაში ნახავდით მას, გარწმუნებთ!“ ანუ, რომ დამცლოდა, მაგას ენახა, როგორ ვცემდიო. ამას ამბობს 3500 წლის ქალაქის პირველი პირი საჯაროდ. ამ ყველაფერს იქ დამსწრე ადამიანები ან უარყოფენ, ან მსუბუქ ფორმებში ჰყვებიან. აშკარაა, საქმე გვაქვს სუსტ სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან და ქუჩური მენტალიტეტის გადმონაშთებთან.

მან გამომძიებელთან ჩვენების მიცემის შემდეგ ჟურნალისტებთან ინტერვიუში აღნიშნა: „გუშინდელ ინციდენტთან დაკავშირებით დავიკითხე. სერიოზულად არ შემიძლია ამ თემაზე ლაპარაკი, ერთის გარდა, რომ ცოტა სირცხვილია, როცა კაცები ასე არკვევენ ერთმანეთში ურთიერთობას, ნებისმიერ ხმამაღალ საუბარზე თუ ზემოთ-ქვემოთ ვირბინეთ, არ ვიცი, აქედან რა გამოვა!“

არ მესმის როგორ უნდა არკვევდნენ კაცები, საჯარო მოხელეები, ურთიერთობებს სამსახურის აღსრულების პირობებში, მუშტიკრივით?!

***– მოსალოდნელია კიდევ თქვენზე ფიზიკური და სიტყვიერი ანგარიშსწორება?***

– მოსალოდნელია როგორც სიტყვიერი და ფიზიკური ანგარიშსწორება, ისე ჩემი სამსახურიდან გათავისუფლება ან სამსახურებრივი უფლებამოსილებების შემცირება, როგორც ეს მერის მოვალეობის შემსრულებელმა ამირან ძოწენიძემ საჯაროდ განაცხადა. ძალიან კარგად მაქვს გააზრებული იმ ქმედებების აუცილებლობა, რასაც დღეს ვასრულებ და უკან დახევას არ ვაპირებ. ან ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდება ან ქუთაისის განვითარება კიდევ რამდენიმე თვით გადაიწევს. არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „გამჭვირვალე თვითმმართველობისთვის“ ბატონი ზურაბ ხურციძის ხელმძღვანელობით და რამდენიმე ათეული ადამიანისგან შემდგარი საზოგადოებრივი ჯგუფები უჭერენ მხარს ჩვენს ინიციატივებს და დღითიდღე გვემატებიან საღად მოაზროვნე ადამიანები. მოვუწოდებ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომელს, მხარი დაუჭირონ ობიექტურობას და სიმართლეს. ამ ბოლო დღეებში ვხვდებოდი იმ კეთილსინდისიერ თანამშრომლებს, რომლებიც ემიჯნებიან თვითმმართველობაში მიმდინარე არაჯანსაღ პროცესებს, თუმცა გასაგები მიზეზების გამო თავს იკავებენ საჯარო გამოსვლებისგან.

შიშიანობა საქართველოში დამთავრდა და დარწმუნებული ვარ, უახლოეს დღეებში ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას, საჯაროდ განაცხადონ თავიანთი ობიექტური მოსაზრებები. აქვე დავძენ, რომ პროტესტი არ გულისხმობს სამუშაო პროცესის შეფერხებას. ყველაფერი გაგრძელდება ჩვეულ სამუშაო რეჟიმში.

# ნოდარ ანდღულაძე დიდუბის პანთეონში დაკრძალეს

ეკა ირემაშვილი

გამოჩენილი ქართველი ტენორი ნოდარ ანდღულაძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. საქართველოს სახალხო არტისტი 86 წლის ასაკში 30 იანვარს გარდაიცვალა. ლეგენდარული ქართველი საოპერო მომღერლის დავით ანდღულაძის შვილი თბილისის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი საოპერო ხელოვნების სამსახურში იდგა. ის წლების განმავლობაში თბილისის ოპერის თეატრის სოლისტი იყო და პარალელურად, კონსერვატორიის ვოკალურ კათედრას და საოპერო სტუდიას ხელმძღვანელობდა. ნოდარ ანდღულაძე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიიდან გადაასვენეს. სამოქალაქო პანაშვიდზე ხალხის ნაკადი არ წყდებოდა, ნოდარ ანდღულაძესთან გამოსამშვიდობებლად მიდიოდნენ მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, კოლეგები, რიგითი ადამიანები. პანაშვიდის დროს კი ნოდარ ანდღულაძის მიერ შესრულებული საოპერო პარტიები ჟღერდნენ.



ტენორის 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, კონსერვატორიის დიდ დარბაზში საიუბილეო ღონისძიება გაიმართა. მასში მონაწილეობა ცნობილმა ქართველმა საოპერო შემსრულებლებმა მიიღეს მონაწილეობას, მათ შორის ზურაბ სოტკილავამ, ლადო ათანელმა, მაყვალა ქასრაშვილმა, ნინო სურგულაძემ, ბადრი მაისურაძემ და სხვა გამოჩენილმა საოპერო შემსრულებლებმა, ასევე ნოდარ ანდღულაძის მოსწავლეებმა. საიუბილეო საღამო ლადო ათანელის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „თანადგომა“ მოაწყო და მას მხარდაჭერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გამოუცხადა.

დრამატული ტენორის ნოდარ ანდღულაძის მიერ შესრულებული პარტიებიდან არაერთი არიაა დაუვიწყარი და დასამახსოვრებელი. იგი ცნობილი იყო ასევე როგორც კამერული მომღერალი და ასრულებდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს. მან რეჟისურაშიც სცადა ბედი და ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე დადგა დონიცეტის ოპერა „ლუჩია და ლამერმური“. ნოდარ ანღულაძემ პედაგოგობას მიჰყო ხელი და არაერთი სახელოვანი საოპერო მომღერალი აღუზარდა ქართულ საოპერო სამყაროს. ცნობილია, რომ იგი მეცნიერებითაც აქტიურად იყო დაინტერესებული და ავტორია მეცნიერული გამოკვლევებისა ვოკალური ხელოვნების თეორიის, ისტორიისა და მეთოდიკის დარგში. ახალგაზრდობისა. სხვადასხვა პრემიებსა და ჯილდოებს შორის მისთვის ყველაზე ძვირფასი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია იყო.

მაესტროს ერთ-ერთი მოწაფე ნუგზარ ვალერიანო გამგებელი გამოვიდა ინიციატივით, რომ დაფუძნდეს „საქართველოს დიდი მაესტროს, ნოდარ ანდღულაძის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი“. დაფუძნდება თუ არა „საქართველოს დიდი მაესტროს, ნოდარ ანდღულაძის სახელობის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი“, ამას მომავალი გვიჩვენებს.

მაესტროს გარდაცვალებასთან დაკავშირებით წუხილს გამოთქვამს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და სამძიმარს უცხადებს ნოდარ ანდღულაძის ოჯახს, კოლეგებსა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლებს.

ნოდარ ანდღულაძის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა:

— დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ცნობილი მაესტროს, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ნოდარ ანდღულაძის გარდაცვალების გამო. თბილისის ოპერისა და ბალეტის სცენაზე ბატონი ნოდარის მიერ შესრულებული ყოველი პარტია აღაფრთოვანებდა მსმენელს. ფასდაუდებელია მისი ღვაწლი ქართული ვოკალური კულტურის განვითარებასა და ახალგაზრდა თაობის აღზრდაში. იგი არაერთი კვლევის ავტორია ვოკალისა და ხელოვნების დარგში. თანაგრძნობას ვუცხადებ ნოდარ ანდღულაძის ოჯახსა და ახლობლებს, სრულიად საქართველოსთან ერთად ვიზიარებ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას, — ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

სპეციალური განცხადება გაავრცელა საქართველოს პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ნოდარ ანდღულაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით:

— საქართველოს სახალხო არტისტის, პედაგოგის, მეცნიერის, ნოდარ ანდღულაძის ცხოვრება და შემოქმედება ნათელ მაგალითად დარჩება მომავალ თაობებს. ნოდარ ანდღულაძე იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, იყო ვოკალური ხელოვნების თეორიის, ისტორიისა და მეთოდიკის დარგში გამოკვლევების ავტორი, იკვლევდა იბერიულ-კავკასიური ენების შედარებითი გრამატიკის საკითხებს. საქართველოს მთავრობის სახელით, მინდა სამძიმარი გამოვუცხადო ცნობილი ქართველი საოპერო მომღერლისა და პედაგოგის ნოდარ ანდღულაძის ოჯახს, მის კოლეგებსა და სრულიად საქართველოს, — ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის სამძიმრის წერილში.

**ზურაბ სოტკილავა:**

— ძალიან დიდი დანაკარგია ბატონი ნოდარის გარდაცვალება მთელი საქართველოსთვის. ქართულმა საოპერო ხელოვნებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. ის ჩემთვის იყო მეგობარი, ძმა, თუკი რამე კარგი გამიკეთებია, გამაჩნია და ახლაც ვაკეთებ, ეს მისი უდიდესი დამსახურებაა. ახალგაზრდებმა დაკარგეს უდიდესი პედაგოგი, რომელიც მთელ თავის სულს, გულს ტოვებდა კონსერვატორიაში, მაქსიმალურად მუშაობდა სტუდენტებთან, რომ ყველაფერი ესწავლებინა და ისინი გამოჩენილი საოპერო მომღერლები გამოსულიყვნენ.

**მედეა ამირანაშვილი:**

— ჩემთვის ნოდარის გარდაცვალება უდიდესი ტრაგედიაა. ის იყო ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი ქართული საოპერო ხელოვნებისა, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ქართულ საოპერო სკოლას. ჩვენი კონსერვატორია დაობლდა, ჩვენი საზოგადოება, მუსიკალური სამყარო დარჩა პატრონის გარეშე. მჯერა, რომ მისი სახელი უდავოდ დაუვიწყარი იქნება ჩვენთვის და მთელი საქართველოსთვის.

**ცისანა ტატიშვილი:**

— მეწყინა ნოდარის გარდაცვალება. ის არაჩვეულებრივი მომღერალი იყო, პედაგოგობაშიც მაქსიმალურად დაიხარჯა და არაერთი ცნობილი საოპერო მომღერალი გაუზარდა ჩვენს ქვეყანას. პედაგოგობის გარდა, მან სამეცნიერო საქმიანობასაც მიჰყო ხელი და არაერთი უმნიშვნელოვანესი კვლევა ჩაატარა და გამოსცა ძალიან საინტერესო ნაშრომები. გული მტკივა, არაჩვეულებრივად კარგი ადამიანი წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა სრული სიცარიელე.

# ეროვნულ ბიბლიოთეკაში ლიტერატურული საღამო გაიმართება

ეკა ირემაშვილი

4 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ლიტერატურული საღამო „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო“ გაიმართება. საღამოზე გაჟღერდება ლალი აბშილავას, მირან და ოთარ ფალიანების ლექსები. ლიტერატურული საღამოს ორგანიზატორია საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე.

ღონისძიებაში მონაწილეობენ სასახლის ღვაწლმოსილი პედაგოგის ინესა აბესაძის აღსაზრდელები. ღვაწლმოსილი პედაგოგი ამ დღეს დაბადების დღესაც აღნიშნავს. ინესა აბესაძე იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი, განათლების წარჩინებული მუშაკი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის მეცნიერებისა და კულტურის ფაზისის აკადემიის წევრი და საქართველოში კულტურის განვითარებისთვის ოქროს მედლის მფლობელია. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ცნობილი ხელოვანი აღზარდა, ის დღემდე გუჯი ბურდულის მეუღლედ არის ცნობილი, თუმცა არანაკლებად ცნობილი და პოპულარული შვილები ჰყავს — ლადო ბურდული, მაია ბურდული და ბაკურ ბურდული. ამჟამად ქალბატონი ინესა შვიდი შვილიშვილის — თეჯის, აკაკის, დარიას, ბარბარეს, გუჯა უმცროსის, ნანას და ნიკოლოზის ბებიაა.

საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოვლენ ლადო ბურდულის შვილები 2 და 3 წლის დარია და ბარბარე, რომლებიც ღვაწლმოსილ ხელოვანს დაბადების დღეს თავისი მოსაფერებელი სიტყვებით მიულოცავენ. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობას მიიღებენ სასახლის ნორჩი დეკლამატორები და სასახლის აღზრდილი მსახიობები ნინა გუკასოვა, ლია ომიაძის საბალეტო დასი, ქეთი კანდელაკი, ლილე ხომასურიძე, თიკა სამსონიძე, მარიამ მირიანაშვილი, მომავლის პრიმაბალერინა ლიზი ბედოშვილი, მისი დედა ჟურნალისტი ლიკა გელენიძე, მარიამ ონიანი, თამარ ჭანტურია, თაკო გიორგაძე, ნინო ტორიაშვილი, მარიამ გაგნიძე, ლიზი კვაჭაძე, ელენე ძნელაძე, ნიკოლოზ თათრიშვილი, გიგი გელოვანი, მარიამ გუმბარიძე, მარიამ სანებლიძე, დათო ლაღაძე, თეკლა ხარაზიშვილი, ანა ბოკერია, ნატალია გელოვანი, ნინო ხეცურიანი, ილია ქიტოშვილი, ნუცა კვერნაძე, თორნიკე თოდრია, ოთარ სამსონიძე, ნინო კეკელიძე, სალო ხეიძე, დავით კვაჭანტირაძე, ელენე დაგვილავა, მარამ თათულიშვილი, ნინო აიდარაშვილი, ყველაზე პატარა მსახიობები ძმები ჭეიშვილები, ნინი კობიაშვილი და ნია ლაშხი, გლდანის საჯარო სკოლის მოსწავლეები ელენე მაისურაძე, ნინო ასანაშვილი, ბარბარე ბასილაშვილი, ნინი ქანთარია, ვახტანგ რაქვიაშვილი, მსახიობი და ქორეოგრაფი თამუნა ქორიძე კი წარმოადგენს ლიტერატურულ ქორეოგრაფიულ ნომერს, ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს თექაზე მომუშავე დიზაინერი ნინო ხუჭუა ჩააცმევს. მთელი ღონისძიების განმავლობაში სასახლის აღსაზრდელები წაიკითხავენ ინესა აბესაძის ნამოწაფარის მსახიობისა და პოეტის ლალი აბშილავას პოეზიას ასევე მისი მეუღლის, ანჩისხატის ეკლესიის მღვდელმსახურის პოეტისა და მხატვრის მირან ფალიანის შემოქმედებას და მათი უმცროსი ვაჟის, სასულიერო აკადემიის მესამე კურსის სტუდენტის პოეტის ოთარ ფალიანის ლექსებს. საღამოს გახსნის მირან ფალიანის ლექსი „საგალობელი“, ასევე წაკითხული იქნება ლექსები მიძღვნილი სოფიკო ჭიაურელისადმი, რეზო ადამიასადმი, შავნაბადას ტაძარში მოღვაწე მამა შიოსადმი, ვიეტა აბშილავასადმი, ნინო სიხარულიძისადმი, მამა პეტრესადმი (კვარაცხელია), იმედო ჯახუასადმი, მაყვალა ლიპარტელიანისადმი, მზია ხეთაგურისადმი. ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მიწვეული არიან საპატიო სტუმრები ნიკუშა შენგელაია, მამა პეტრე კვარაცხელია, რეზო ადამია, მამა შიო, საქართველოს და რუსეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, ევრაზიის ტელერადიო აკადემიის წევრი, ბულგარეთის საერთაშორისო კინოფესტივალის „არტ ამფორას“ გრანპრის მფლობელი, ჩინეთის საერთაშორისო ტელეფესტივალის გრანპრის „ოქროს პანდას“ მფლობელი, მსახიობი ტელეჟურნალისტი და რეჟისორი მაია ბურდული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი დავით სოლომნიშვილი, მწერალთა კავშირის წევრი პოეტი ნინო სიხარულიძე, პოეტი და ჟურნალისტი მარინა თექთურმანიძე, პოეტი და ჟურნალისტი თამარ შაიშმელაშვილი, პოეტი და დრამატურგი მზია ხეთაგური. ღონისძიებას დაასრულებს ლალი აბშალავას შემოქმედებაზე გადაღებული სპეციალური კლიპი.

**ინესა აბესაძე:**

— ჩვენ ამ ღონისძიებას ყოველწლიურად ვატარებთ. მას წაიყვანს სასახლის დამსახურებული არტისტი და რაგბის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ბექა იაშალაშვილი. ძალიან კარგი სპორტსმენია, მაგრამ არტისტობა უნდა. ამ ღონისძიებით ჩემს დაბადების დღესაც აღვნიშნავ და საჩუქარს ვუკეთებ საკუთარ თავს, თან ხომ გაგიგიათ ძველი გამოთქმა თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჰოდა, ჩვენს ვესალმებით გაზაფხულის შემობრძანებას და სხვადასხვა სტუმრების მოწვევით ვატარებთ საინტერესო ღონისძიებებს. მთავარი ღირსება ამ ღონისძიების ის არის, რომ მასში მონაწილეობენ ჩვენი აღზრდილი მსახიობები, პოეტები და ჟურნალისტები. ყველანი ხელოვნებას ემსახურებიან, ვინაიდან ხელოვნებას და სასცენო მეტყველებას ვემსახურები, მგონია, რომ მათი სამომავლო არჩევანი ჩემმა მუშაობამაც განაპირობა.


**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)**



## განცხადებები

● ძლიერ დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, ოტიტის, ოსტეოქონდროზის, პროსტატიტის, ცისტიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება უმოკლეს დროში ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა — ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

# თამაში, რომელმაც კითხვები დატოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თი აუტში გადაქონდათ, დერეფანში ბურთს ახალი კაპიტანი, გიორგი ჩხაიძე იგებდა და ბეგასთან ამისამართებდა, რომელიც საქმეში ხაზის ჩართვას ცდილობდა, მაგრამ ტექნიკური წუნის გამო მეტოქეს ვერაფერს ვუხერხებდით.

მერე ბელგიამაც გადმოინაცვლა საქართველოს ნაკრების ნახევარზე და ჰოი, საოცრებავ – ჯარიმა არც მათ დაარტყეს კარში! საქართველოს ნაკრებს ამას ერთა თასზე უფრო მაღალი დონის გუნდები ვერ უბედავენ.

23-ე წუთზე ბელგიამ თავისი 22-ის ხაზიდან ხელით წამოიწყო კონტრშეტევა და ჩვენი ჩათვლის მოედნამდე ძალიან თავისუფლად მიაღწიეს. გარდასახვაც ზუსტი აღმოჩნდა და მასპინძლები დაწინაურდნენ – 7:0.

27-ე წუთზე, როდესაც ბელგიელები საკუთარ 22-თან კიდევ ერთხელ დაჯარიმდნენ, კვირიკაშვილმა ამჯერად ჯარიმა კარში დაარტყა და ჩამორჩენაც შეამცირა – 3:7.

დარჩენილ დროში, ქართველ მორაგბეებს არაფერი გამოსდიოდათ. „ბორჯღალოსნები" რამდენჯერმე დაჯარიმდნენ და გათავხედებულმა ბელგიელებმა კი, ბურთის კარში დარტყმას ლელოზე თამაში ამჯობინეს. ისინი მიზანთან ახლოს იყვნენ, მაგრამ დიდი ძალისხმევის ხარჯზე, იერიშის მოგერიება მოხერხდა. თუმცა, კოლელიშვილი ხშირი დაჯარიმების გამო, ტაიმის ბოლოს სინბინით დაისაჯა – ბელგიელებმა ამჯერად მარტივი გადაწყვეტილება მიიღეს, ჯარიმა კარში დაარტყეს და ტაიმი 10:3 მოიგეს.

მეორე ტაიმი „ბორჯღალოსნებმა" კვლავ აქტიურად დაიწყეს, თუმცა 44-ე წუთზე მასპინძლებმა სხვაობა ისევ ჯარიმიდან – 3 ქულით გაზარდეს.

სწორედ ამ მომენტიდან გამოიფხიზლა ქართველთა ნაკრებმა და ზუსტად ორ წუთში მამუკა გორგოძემ ლელო დადო, რასაც კვირიკაშვილის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა – 13:10. ორიოდ წუთში მსაჯმა სინბინში ამჯერად ბელგიელი მორაგბე გაუშვა. თუმცა ამ მონაკვეთში ქართველებმა რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება და ანგარიშში დაწინაურება ვერ შეძლეს.

მატჩის 72-ე წუთზე მასპინძელთა ჩათვლის მოედანთან დერეფნის მოგებით ლევან ჩილიჩავამ ლელოს დადება შეძლო. „მეკოს" გარდასახვა კი ამჯერადაც ზუსტი გამოდგა, რითაც ქართველები 4 ქულით დაწინაურდნენ – 13:17.

გაჩნდა იმის რეალური შანსი, რომ „ბორჯღალოსნებს" მეტოქე საბოლოოდ გაეტეხათ, კიდევ ორი ლელო გაეტანათ და ბრიუსელიდან პრემიალური ქულა წამოეღოთ. თუმცა, მეტოქე თავს კარგად იცავდა და მატჩიც 17:13 დასრულდა.

საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ პორტუგალიამ, რუმინეთს უმასპინძლა და 13:19 დამარცხდა. რუმინელთა ადრეულ ჯარიმას, მასპინძლებმა 24-ე წუთზე უპასუხეს, მაგრამ შესვენებამდე კიდევ ორი მიიღეს, მეორე ტაიმის დასაწყისში კი, ანგარიში 3:12 გახდა. მასპინძლებმა 63-ე წუთზე ლელო გაიტანეს, გარდასახვა გამოიყენეს, ხოლო 69-ე წუთზე ჯარიმით დაწინაურდნენ – 13:12. სტუმრებმა დასკვნითი წუთები შეტევებში გაატარეს, 75-ე წუთზე ლელო გაიტანეს, მათი გარდასახვაც ზუსტი იყო და რუმინეთმა 19:13 იმარჯვა, პორტუგალია კი, მხოლოდ ერთ პრემიალურ ქულას დასჯერდა.

იგებდა, მაგრამ მხოლოდ პრემიალურ ქულას დასჯერდა ესპანეთიც. ტაიმის 3:7 დათმობის შემდეგ, სტუმრები 9:7 დაწინაურდნენ. ესპანელებმა, ლელო-გარადასხვის წილ, ერთი ჯარიმა და ორი არეკნი გაიტანეს, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, დასკვნით წუთებში ორი ჯარიმა მიიღეს და 9:13 დამარცხდნენ.

**რუსეთი – ესპანეთი 13:9 (7:3)**
**პორტუგალია – რუმინეთი 13:19 (3:9)**

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 19:13 | 4 |
| 2.საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 17:13 | 4 |
| 3.რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 13:9 | 4 |
| 4.ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 9:13 | 1 |
| 5.ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 13:17 | 1 |
| 6.პორტუგალია | 1 | 0 | 0 | 1 | 13:19 | 1 |

**დარჩენილი თამაშები:**

**9 თებერვალი:** საქართველო-პორტუგალია; რუმინეთი-რუსეთი; ბელგია-ესპანეთი;
**23 თებერვალი:** რუსეთი-საქართველო; ესპანეთი-რუმინეთი; პორტუგალია-ბელგია;
**9 მარტი:** საქართველო-ესპანეთი; პორტუგალია-რუსეთი; ბელგია-რუმინეთი;
**16 მარტი:** რუმინეთი-საქართველო; ესპანეთი-პორტუგალია; რუსეთი-ბელგია.

# ახალგაზრდულის კალენდარი ცნობილია

ჟენევიდან დაბრუნდნენ სფფ-ის ტექნიკური დირექტორი – ნიკოლოზ ჩხეიძე და სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი, 21-წლამდე ნაკრების მთავარი მწვრთნელი – ალექსანდრე ჩივაძე.

მოგეხსენებათ, ნიკოლოზ ჩხეიძე და ალექსანდრე ჩივაძე ნიონში გამართულ წილისყრას ესწრებოდნენ, სადაც ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები გაირკვა. შეგახსენებთ, რომ მე-3 შესარჩევ ქვეჯგუფში ჩივაძის გუნდი ჰოლანდიის, შოტლანდიის, სლოვაკეთისა და ლუქსემბურგის ნაკრებებთან ერთად მოხვდა.

წილისყრის შემდეგ, გუნდების წარმომადგენლები კალენდრის შესადგენად სამუშაო შეხვედრაზე შეიკრიბნენ. როგორც ალექსანდრე ჩივაძემ განაცხადა, სამუშაო პროცესი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და კამათი და დისკუსიაც იყო, ვინაიდან ჰოლანდიური მხარე ყველანაირად ცდილობდა თავისთვის სასურველი ვარიანტის გატანას.

**ალექსანდრე ჩივაძე:**

– ჩვენ ჩვენი გეგმა და გათვლები გვაქვს და ცხადია, ადვილად ვერ შევთანხმდებოდით. ვფიქრობ, მაქსიმალურად კარგ ვარიანტზე შევჯერდით. რაც შეეხება წილისყრას, შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

უახლოეს დღეებში, 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟურნალისტებთან შეხვედრას და საგანგებო პრესკონფერენციასაც გეგმავს, რათა მედიისთვის საინტერესო ყველა შეკითხვას გასცეს პასუხი და ნაკრების სამომავლო გეგმებზეც ისაუბროს.

**ჩვენი ჯგუფის კალენდარი ასეთია:**

**2013 წელი**

25 მარტი: შოტლანდია-ლუქსემბურგი;
11 ივნისი: ლუქსემბურგი-სლოვაკეთი;
5 სექტემბერი: ჰოლანდია-შოტლანდია; ლუქსემბურგი-საქართველო
9 სექტემბერი: სლოვაკეთი-საქართველო; ლუქსემბურგი-ჰოლანდია;
10 ოქტომბერი: საქართველო-ჰოლანდია; შოტლანდია-სლოვაკეთი;
14 ოქტომბერი: სლოვაკეთი-ლუქსემბურგი; საქართველო-შოტლანდია;
14 ნოემბერი: სლოვაკეთი-ჰოლანდია; შოტლანდია-საქართველო;
18 ნოემბერი: საქართველო-სლოვაკეთი;

**2014 წელი**

5 მარტი: საქართველო-ლუქსემბურგი;
28 მაისი: შოტლანდია-ჰოლანდია;
3 ივნისი: ჰოლანდია-ლუქსემბურგი;
4 სექტემბერი: სლოვაკეთი-შოტლანდია; ჰოლანდია-საქართველო;
8 სექტემბერი: ჰოლანდია-სლოვაკეთი; ლუქსემბურგი-შოტლანდია;

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ზესტაფონმა ალჟირელი გაიფორმა და გვატემალელს აკვირდება

საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" ახალი ფეხბურთელი შეემატა. იმერულ კლუბსა და 19 წლის ფორვარდ მოჰამედ რეკრუკს შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლის პირობების თანახმად ალჟირელი თავდამსხმელი მარგველთა ღირსებას მომდევნო სამი წლის განმავლობაში დაიცავს.

შეგახსენებთ, რომ „ზესტაფონში" მოსვლამდე, ახალგაზრდა ფეხბურთელი სახელგანთქმული ესპანური საფეხბურთო კლუბის „სარაგოსას" მეორე გუნდის შემადგენლობაში ასპარეზობდა.

მოჰამედ რეკრუკმა, რომელიც „ზესტაფონში" მიმდინარე წლის 16 იანვარს სინჯებზე გამოჩნდა, გუნდის ხელმძღვანელობაზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ბათუმის „დინამოსთან" 2013 წლის 25 იანვარს გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში ალჟირელმა ფეხბურთელმა თავი დუბლითაც გამოიჩინა.

„ზესტაფონსა" და მოჰამედ რეკრუკს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლამდე. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ზესტაფონელთა ალჟირელი ახალწვეული გუნდის ღირსებას 10-ნომრიანი მაისურით დაიცავს.

ამასობაში, თურქულ შეკრებაზე მყოფმა საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა" პირველი საკონტროლო მატჩი გამართა. ზემოიმერელთა მეტოქე აზერბაიჯანული „ყარაბახი" იყო და 0:2 დამარცხდა.

ზესტაფონელთა შორის გამოჩნდა „ახალი სახე" – მეორე ტაიმში მარგველთა რიგებში გვატემალელმა ფორვარდმა ჰენრი ლოპესმა იასპარეზა.

პირველი ტაიმი ზესტაფონელთა უპირატესობით კი წარიმართა, თუმცა გოლის გატანის რამდენიმე კარგი შანსი ვერ იქნა სათანადოდ გამოყენებული – თავის გუნდის დაწინაურების შესაძლებლობები ხელიდან რატი წინამძღვრიშვილმა და ესპანელმა ორიოლ ლოსანომ გაუშვეს.

ანგარიში მეორე ტაიმის დებიუტში გაიხსნა – 50-ე წუთზე, აზერბაიჯანული კლუბის ესპანელმა ლეგიონერმა მანუელ ბლედამ, რომელიც კახა მეშველიანთან პირისპირ აღმოჩნდა, თავის შანსი ცივსისხლიანად გამოიყენა. ამის შემდეგ ზესტაფონელებმა გასათანაბრებლად გაიწიეს თუმცა, 75-ე წუთზე კი ქართველები მომენტების გაფლანგვის გამო დაისაჯნენ – აზერბაიჯანული კლუბის მაკედონიელმა ლეგიონერმა მუარემ მუარემმა კახა მეშველიანს მეორე გაუტანა.

ზესტაფონელთა შემადგენლობა აგდამელთა წინააღმდეგ ასეთი იყო: მეშველიანი, ღონღაძე (ჭანტურიშვილი 55), ლოსანო, კაჭკაჭიშვილი, გაგოშიძე, იელიჩი (ჭანკოტაძე 65), ბენაშვილი, გორგიაშვილი (კუტალია 46), ბაბუნაშვილი (ენდელაძე 46), აფციაური (შარიქაძე 46), წინამძღვრიშვილი (ლოპესი 46).

# სლოვენიელებმა ბენო უდრიჰი ნაკრებში თამაშზე დაიყოლიეს



შვიდწლიანი განშორების შემდეგ სლოვენიის ეროვნულ ნაკრებს ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი ბენო უდრიჰი უბრუნდება. ევროპის 2013 წლის ჩემპიონატზე საქართველოს მეტოქე სლოვენიამ უდრიჰისგან უკვე მიიღო სიტყვიერი თანხმობა, რომ ეს უკანასკნელი ევრობასკეტზე საკუთარი ქვეყნის ღირსება დაიცავს.

სპეციალურად ამ საქმის მოსაგვარებლად ამერიკაში სპეციალურად იყო ჩასული სლოვენიის ეროვნული ნაკრებების მენეჯერი მაცეი ავანზო, რომელიც უდრიჰს მილუოკიში შეხვდა. ამ შეხვედრის შემდეგ სლოვენიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ბოჟიდარ მალკოვიჩმა განაცხადა:

– მოხარული ვარ, რომ ჩვენს მენეჯერთან შეხვედრისას ბენომ ის სიტყვები დაადასტურა, რაც ჩვენ 2 კვირის წინ სატელეფონო საუბრისას გვითხრა. ვფიქრობ, ის იქნება ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, რომელზეც თამაში აეწყობა. უდრიჰის დიდი გამოცდილება აქვს და ახალგაზრდებს გაუზიარებს.

ნბა-ში თამაშის 9-წლიანი სტაჟის მქონე ბენო უდრიჰი მიმდინარე სეზონში საშუალოდ 20 წუთს თამაშობს. ის „მილუოკიში" ბრენდონ ჯენინგსის შემცვლელია და მატჩში საშუალოდ 7,6 ქულასა და 4,1 პასს აგროვებს. სლოვენიის ნაკრების მენეჯერის განცხადებით, ეროვნული გუნდის გაფართოებული შემადგენლობა თებერვლის შუა პერიოდში გამოქვეყნდება.

შეგახსენებთ, რომ სლოვენიასთან ერთად საქართველოს ნაკრების მეტოქეები ევრობასკეტის ჯგუფში ესპანეთი, ხორვატია, პოლონეთი და ჩეხეთი იქნებიან.

# შედეგები

## ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

განა-კაბო ვერდე ..... 2:0
ს.აფრიკა-მალი ..... 1:1(1:3პ)

**ამხანაგური მატჩი**

პოლონეთი-რუმინეთი ..... 4:1

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ქპრ-ნორვიჩი ..... 0:0
არსენალი-სტოკ სიტი ..... 1:0
ვესტ ჰემი-სუონსი ..... 1:0
ნიუკასლი-ჩელსი ..... 3:2
რედინგი-სანდერლენდი ..... 2:1
უიგანი-საუთჰემპტონი ..... 2:2
ევერტონი-ასტონ ვილა ..... 3:3
ფულემი-მანჩესტერი ..... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 25 | 20 | 2 | 3 | 60:31 | 62 |
| 2.სიტი | 24 | 15 | 7 | 2 | 45:19 | 52 |
| 3.ჩელსი | 25 | 13 | 7 | 5 | 51:27 | 46 |
| 4.ტოტენჰემი | 24 | 12 | 6 | 6 | 41:29 | 42 |
| 5.ევერტონი | 25 | 10 | 12 | 3 | 40:30 | 42 |
| 6.არსენალი | 25 | 11 | 8 | 6 | 49:29 | 41 |
| 7.ლივერპული | 24 | 9 | 8 | 7 | 42:30 | 35 |
| 8.სუონსი | 25 | 8 | 10 | 7 | 34:28 | 34 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 10 | 4 | 10 | 34:34 | 34 |
| 10.სტოკი | 25 | 6 | 12 | 7 | 24:30 | 30 |
| 11.ვესტ ჰემი | 25 | 8 | 6 | 11 | 28:36 | 30 |
| 12.სანდერლენდი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:33 | 29 |
| 13.ფულემი | 25 | 7 | 7 | 11 | 36:42 | 28 |
| 14.ნორვიჩი | 25 | 6 | 10 | 9 | 25:40 | 28 |
| 15.ნიუკასლი | 25 | 7 | 6 | 12 | 33:44 | 27 |
| 16.საუთჰემპტონი | 25 | 5 | 9 | 11 | 33:44 | 24 |
| 17.რედინგი | 25 | 5 | 8 | 12 | 32:46 | 23 |
| 18.ასტონ ვილა | 25 | 4 | 9 | 12 | 23:49 | 21 |
| 19.უიგანი | 25 | 5 | 6 | 14 | 29:47 | 21 |
| 20.ქპრ | 25 | 2 | 11 | 12 | 18:37 | 17 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბირმინგემი-ნოტინგემი ..... 2:1
ბლექბერნი-ბრისტოლი ..... 2:0
ბლექპული-ბარნსლი ..... 1:2
დერბი-ჰადერსფილდი ..... 3:0
იფსვიჩი-მიდლსბრო ..... 4:0
კრ.პალასი-ჩარლტონი ..... 2:1
ლიდსი-კარდიფი ..... 0:1
მილუოლი-ჰალი ..... 0:1
პიტერბრო-ბარნლი ..... 2:2
უოტფორდი-ბოლტონი ..... 2:1
უენსდი-ბრაიტონი ..... 3:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ვალიადოლიდი-ბილბაო ..... 2:2
ოსასუნა-სელტა ..... 1:0
ხეტაფე-დეპორტივო ..... 3:1
ესპანიოლი-ლევანტე ..... 3:2
გრანადა-რეალი ..... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 21 | 19 | 1 | 1 | 71:24 | 58 |
| 2.ატლეტიკო | 21 | 15 | 2 | 4 | 42:21 | 47 |
| 3.რეალი | 22 | 13 | 4 | 5 | 54:21 | 43 |
| 4.მალაგა | 21 | 10 | 5 | 6 | 33:19 | 35 |
| 5.ბეტისი | 21 | 11 | 2 | 8 | 31:33 | 35 |
| 6.რაიო | 21 | 11 | 1 | 9 | 30:36 | 34 |
| 7.ვალენსია | 21 | 10 | 3 | 8 | 30:34 | 33 |
| 8.ლევანტე | 22 | 10 | 3 | 9 | 28:33 | 33 |
| 9.სოსიედადი | 21 | 8 | 6 | 7 | 32:28 | 30 |
| 10.ვალიადოლიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:29 | 29 |
| 11.ხეტაფე | 22 | 8 | 5 | 9 | 30:34 | 29 |
| 12.სევილია | 21 | 7 | 5 | 9 | 27:29 | 26 |
| 13.ბილბაო | 22 | 7 | 5 | 10 | 29:41 | 26 |
| 14.ესპანიოლი | 22 | 6 | 7 | 9 | 26:34 | 25 |
| 15.სარაგოსა | 21 | 7 | 2 | 12 | 20:30 | 23 |
| 16.გრანადა | 22 | 6 | 5 | 11 | 19:32 | 23 |
| 17.ოსასუნა | 22 | 5 | 6 | 11 | 18:26 | 21 |
| 18.სელტა | 22 | 5 | 5 | 12 | 21:27 | 20 |
| 19.მალიორკა | 21 | 4 | 5 | 12 | 22:39 | 17 |
| 20.დეპორტივო | 22 | 3 | 7 | 12 | 27:48 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

გავდალახარა-ვილიარეალი ..... 0:0
ლას პალმასი-ელჩე ..... 0:0
საბადელი-ბარსელონა ბ ..... 3:2
ხიხონი-რასინგი ..... 1:2
ერკულესი-ალკორკონი ..... 3:0

**იტალია. სერია ა**

ტორინო-სამპდორია ..... 0:0
ნაპოლი-კატანია ..... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 22 | 15 | 4 | 3 | 46:15 | 49 |
| 2.ნაპოლი | 23 | 15 | 4 | 4 | 45:20 | 49 |
| 3.ლაციო | 22 | 13 | 4 | 5 | 32:22 | 43 |
| 4.ინტერი | 22 | 12 | 4 | 6 | 35:25 | 40 |
| 5.მილანი | 22 | 11 | 4 | 7 | 39:28 | 37 |
| 6.ფიორენტინა | 22 | 10 | 6 | 6 | 39:27 | 36 |
| 7.კატანია | 23 | 10 | 5 | 8 | 31:30 | 35 |
| 8.რომა | 22 | 10 | 4 | 8 | 47:38 | 34 |
| 9.უდინეზე | 22 | 8 | 9 | 5 | 33:31 | 33 |
| 10.პარმა | 22 | 8 | 7 | 7 | 30:29 | 31 |
| 11.ტორინო | 23 | 6 | 11 | 6 | 27:26 | 28 |
| 12.კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 23:34 | 28 |
| 13.სამპდორია | 23 | 7 | 5 | 11 | 28:29 | 25 |
| 14.ატალანტა | 22 | 7 | 4 | 11 | 19:32 | 23 |
| 15.ბოლონია | 22 | 6 | 4 | 12 | 29:31 | 22 |
| 16.კალიარი | 22 | 5 | 6 | 11 | 21:38 | 21 |
| 17.პესკარა | 22 | 6 | 2 | 14 | 17:45 | 20 |
| 18.ჯენოა | 22 | 4 | 6 | 12 | 22:35 | 18 |
| 19.პალერმო | 22 | 3 | 8 | 11 | 19:35 | 16 |
| 20.სიენა | 22 | 5 | 5 | 12 | 20:32 | 14 |

**შენიშვნა:**
**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-სპეცია ..... 0:0
ვარეზე-მოდენა ..... 2:0
ვიჩენცა-იუვე სტაბია ..... 1:2
გროსეტო-პადოვა ..... 1:1
ლივერნო-პრო ვერჩელი ..... 2:0
ნოვარა-ჩეზენა ..... 0:1
სასუოლო-ემპოლი ..... 1:1
ტერნანა-ბარი ..... 0:0
ჩიტადელა-კროტონე ..... 2:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბურგი-აუგსბურგი ..... 1:1
მაინცი-ბაიერნი ..... 0:3
ფორტუნა-შტუტგარტი ..... 3:1
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი ..... 2:1
შალკე-ფიურტი ..... 1:2
ჰამბურგი-აინტრახტი ..... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 20 | 16 | 3 | 1 | 51:7 | 51 |
| 2.ლევერკუზენი | 19 | 11 | 4 | 4 | 36:23 | 37 |
| 3.დორტმუნდი | 19 | 10 | 6 | 3 | 43:20 | 36 |
| 4.აინტრახტი | 20 | 11 | 3 | 6 | 38:31 | 36 |
| 5.მაინცი | 20 | 9 | 3 | 8 | 27:24 | 30 |
| 6.შალკე | 20 | 8 | 5 | 7 | 33:31 | 29 |
| 7.გლადბახი | 19 | 7 | 8 | 4 | 27:27 | 29 |
| 8.ფრაიბურგი | 20 | 7 | 7 | 6 | 25:20 | 28 |
| 9.ჰამბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 22:26 | 28 |
| 10.ჰანოვერი | 20 | 8 | 2 | 10 | 38:39 | 26 |
| 11.ვერდერი | 20 | 7 | 4 | 9 | 32:37 | 25 |
| 12.შტუტგარტი | 20 | 7 | 4 | 9 | 22:35 | 25 |
| 13.ფორტუნა | 20 | 6 | 6 | 8 | 26:28 | 24 |
| 14.ვოლფსბურგი | 20 | 6 | 5 | 9 | 21:30 | 23 |
| 15.ნიურნბერგი | 19 | 5 | 6 | 8 | 18:26 | 21 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 20 | 4 | 4 | 12 | 26:44 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 20 | 2 | 8 | 10 | 16:32 | 14 |
| 18.ფიურტი | 20 | 2 | 6 | 12 | 13:34 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კიოლნი-აუე ..... 2:1
პადერბორნი-ბრაუნშვაიგი ..... 1:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლორიანი-რენი ..... 2:2
ბასტია-ევიანი ..... 0:0
ბორდო-ვალანსიენი ..... 2:0
ბრესტი-ნიცა ..... 0:2
ლილი-ტრუა ..... 1:1
სოშო-სენტ ეტიენი ..... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 23 | 14 | 6 | 3 | 42:12 | 48 |
| 2.ლიონი | 22 | 13 | 6 | 3 | 37:18 | 45 |
| 3.მარსელი | 22 | 13 | 3 | 6 | 30:27 | 42 |
| 4.ბორდო | 23 | 9 | 11 | 3 | 26:15 | 38 |
| 5.ნიცა | 23 | 10 | 8 | 5 | 35:27 | 38 |
| 6.სენტ ეტიენი | 23 | 10 | 7 | 6 | 32:17 | 37 |
| 7.რენი | 23 | 11 | 4 | 8 | 35:30 | 37 |
| 8.ლორიანი | 23 | 9 | 8 | 6 | 38:37 | 35 |
| 9.მონპელიე | 22 | 9 | 5 | 8 | 35:27 | 32 |
| 10.ტულუზა | 23 | 8 | 7 | 8 | 30:28 | 31 |
| 11.ლილი | 23 | 7 | 10 | 6 | 26:24 | 31 |
| 12.ვალანსიენი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:34 | 30 |
| 13.ბასტია | 23 | 7 | 5 | 11 | 28:47 | 26 |
| 14.ბრესტი | 23 | 7 | 3 | 13 | 23:33 | 24 |
| 15.აიაჩო | 22 | 5 | 9 | 8 | 23:31 | 22 |
| 16.სოშო | 23 | 6 | 4 | 13 | 22:34 | 22 |
| 17.ევიანი | 23 | 5 | 7 | 11 | 21:35 | 22 |
| 18.რეიმსი | 22 | 4 | 8 | 10 | 18:24 | 20 |
| 19.ტრუა | 23 | 3 | 8 | 12 | 26:44 | 17 |
| 20.ნანსი | 22 | 2 | 9 | 11 | 20:38 | 15 |

**შენიშვნა:**
**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლე მანი-ნანტი ..... 0:3

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ალკმაარი-გრონინგენი ..... 0:1
ბრედა-ზვოლე ..... 3:0
როდა-ერაკლესი ..... 3:3
პსვ-დენ ჰააგი ..... 7:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

რიუ ავე-სპორტინგი ..... 2:1
გიმარაეში-პორტუ ..... 0:4

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-ჰართსი ..... 2:2

**ბელგია. პროლიგა**

გენტი-ბეერსხოტი ..... 2:1
ლეუვენი-შარლერუა ..... 1:0
კორტრაიკი-მეჰელენი ..... 2:1
ლიერსი-ლოკერენი ..... 1:1
მონსი-ბევერენი ..... 3:0
სერკლი-ვარეგემი ..... 1:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-პანიონიოსი ..... 1:0
ქსანთი-პლატანიასი ..... 2:0
ასტერასი-პანათინაიკოსი ..... 2:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაშიმფაშა-ელაზიგი ..... 0:0
ანთალია-ისთანბული ..... 1:0
ბურსა-გალათასარაი ..... 1:1

## კალათბურთი

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ატლანტა-ჩიკაგო ..... 76:93
კლივლენდი-ოკლაჰომა ..... 115:110
ნიუ იორკი-საკრამენტო ..... 120:81
მინესოტა-ნიუ ორლეანი ..... 115:86
ჰიუსტონი-შარლოტი ..... 109:95
მილუოკი-ორლანდო ..... 107:98
სან ანტონიო-ვაშინგტონი ..... 96:86
გოლდენ სტეიტი-ფინიქსი ..... 113:93

## ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

კოლორადო-ედმონტონი ..... 3:1
კოლამბუსი-დეტროიტი ..... 4:2
ტამპა ბეი-რეინჯერსი ..... 2:3
ტორონტო-ბოსტონი ..... 0:1
ფილადელფია-კაროლინა ..... 5:3
ფინიქსი-დალასი ..... 2:2(0:1ბ)
ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი ..... 7:4
სან ხოსე-ნეშვილი ..... 1:1(0:1ბ)

# გივი მარგველაშვილი კულტურული მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა

ეკა ირემაშვილი

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში საქართველოს გოეთეს ინსტიტუტმა და „დივივი ინტერნეშენალ“ კავკასიის და თურქეთის რეგიონალურმა ოფისმა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გამართა. გოეთეს ინსტიტუტის წარმომადგენლის ნათია მიქელაძის თქმით, ამ ორმა ორგანიზაციამ ერთობლივად



დააწესა პრემია, რომელიც გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ყოველწლიურად გადაეცემა კულტურის ქართველ მოღვაწეებს.

– ამ პრიზს ყოველწლიურად გასცემს 5 კაციანი დამოუკიდებელი ჟიური „დივივი ინტერნეშენალის“ რეგიონალური ოფისისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის ხელმძღვანელობით. პირველი პრემია გადაეცა ქართველ-გერმანელ მწერალს, ფილოსოფოსსა და ენათმეცნიერს გივი მარგველაშვილს, რომლის სახელიც პრიზს მომავალში მიენიჭება, 2013 წელს ის თავად გახდა ამ ჯილდოს პირველი ლაურეატი. პირველ თებერვალს გივი მარგველაშვილის საზეიმო დაჯილდოება შედგა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში. დაჯილდოების ცერემონიალში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს მხრიდან კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, გერმანული მხრიდან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ორთვინ ჰენიგი, გაზეთის „დოიჩე ცაიტუნგის“ ლიტერატურული კრიტიკოსი ლოთარ მიულერი და დოქტორი ფრანკ ტრემელი. ამ უკანასკნელმა ისაუბრა გივი მარგველაშვილის ფილოსოფიურ მოღვაწეობაზე. ღონისძიება თეატრალურად გააფორმა ნინო ბურდულმა სცენებით მისივე დადგმული სპექტაკლიდან „მაყურებელთა დარბაზები“ გივი მარგველაშვილის ისტორიული ზღაპრის მიხედვით. საღამო დაასრულა მარიკა ლაფაური-ბურკის და ნიკო ტარიელაშვილის ექსპერიმენტულმა დოკუმენტურმა ფილმმა „მაყურებელთა დარბაზები“ პრემიერა გივი მარგველაშვილზე. გივი მარგველაშვილი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების სიმბოლოდ იქცა გასულ საუკუნეში. ის დაიბადა და აღიზარდა ბერლინში, XX საუკუნის 20-იან წლებში, ქართველი ემიგრანტის, ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ტიტე მარგველაშვილის ოჯახში, რომელიც საქართველოს საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ დასახლდა გერმანიაში. 1945 წელს გივი მარგველაშვილი მამასთან ერთად კაგებეს მიერ იქნა გატაცებული ბერლინის საბჭოთა სექტორში და შემდეგ საქართველოში, სადაც ტიტე მარგველაშვილი ციხეშივე იქნა დახვრეტილი. გივი მარგველაშვილმა მხოლოდ 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირში დაწყებული „პერესტროიკის“ შედეგად, შეძლო დაბრუნებულიყო ბერლინში, ხოლო 2011 წელს იგი კვლავ დაუბრუნდა საცხოვრებლად თბილისს. მიუხედავად იმისა, რომ გივი მარგველაშვილს საბჭოთა საქართველოში მოუწია მოღვაწეობა, შორს საერთაშორისო კულტურული მიმდინარეობებისაგან, მისი უაღრესად საინტერესო და უნიკალური ფილოსოფიურ-ლიტერატურული შემოქმედება გამოირჩევა ლიტერატურულ პოსტმოდერნიზმსა და ფილოსოფიურ ფენომელოგიას შორის მოქცეული ორიგინალური წიაღსვლებით. გივი მარგველაშვილის სახელობის პრემიის დაარსება და მისი პირველი ლაურეატობა პატივს მიაგებს მის სამაგალითო ცხოვრებასა და შემოქმედებას იმ ტოტალიტარულ და ძალადობრივ პირობებში, რომელშიც მას მოუწია ცხოვრება გასულ საუკუნეში, – განაცხადა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა დოქტორმა შტეფან ვაკვიცმ.

# კულტურის სამინისტროში კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საპრეზენტაციო დარბაზში კატალოგის პრეზენტაცია გაიმართა. „სომეხი მხატვრები საქართველოში– ჰაკობ ჰოვნათანიანიდან გაიანე ხაჩატურიანამდე“ – ასე ეწოდება გამოცემას, რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში დაცული ცნობილი სომეხი მხატვრების ბაიახჩევის, ფარაჯანოვის, ღარსლიანის, სარიანის და სხვათა როგორც ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ასევე თეატრისა და კინოს მხატვრობა.

კატალოგის გამოცემა განხორციელდა საქართველოში სომხეთის საელჩოს, სომხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელია ირენა ოგანჯანოვა. ღონისძიებას მიწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, სომხეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ჰოვანეს მანუკიანი, თბილისში მოღვაწე სომეხი წარმოშობის მხატვრები, სომხური ეკლესიის სასულიერო პირები.

– აღნიშნული კატალოგის გამოცემა კიდევ ერთი კულტურული ხიდია საქართველოსა და სომხეთს შორის, რომელიც ორ ერს და ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლურ და კულტურულ ურთიერთობებს უფრო განავითარებს, – აღნიშნა სომხეთის ელჩმა საქართველოში.

კულტურის მინისტრის მოადგილემ მარინა მიზანდარიმ კი შეკრებილ საზოგადოებას განუცხადა:

– საქართველოს კულტურის სამინისტროსთვის დიდი პატივია იმ ხელოვანების ნამუშევრების ერთ კატალოგად შეკვრა, რომლებიც წარმოშობით სომხური წარმომავლობის არიან და საქართველოს კულტურის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საქმე გააკეთეს. ქართული კულტურული ღონისძიებების განხორციელება სომხეთშიც იგეგმება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ეროვნულ ბიბლიოთეკაში პროექტის „წიგნის პლატფორმა“ პრეზენტაცია შედგა. პროექტის ეგიდით შეკრებილ საზოგადოებას წარედგინა მიღწეული შედეგები და სამომავლო გეგმები. ღინისძიება გახსნეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქართული წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის დირექტორმა მედეა მეტრეველმა და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლი საქართველოში ოლივერ რაისნერმა. პრეზენტაციას უძღვებოდა იანა გენოვა, ,,წიგნის პლატფორმის“ მენეჯერი ,,ნექსთ ფეიჯიდან“. პრეზენტაცია ორგანიზებულია ,,ნექსთ ფეიჯისა“ და ,,საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის“ მიერ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით.

– „წიგნის პლატფორმა“ წარმოადგენს ორგანიზაცია „ნექსთ ფეინჯ ფაუნდლეიშენის“ პროექტს, რომელიც თანამშრომლობს შემდეგ ორგანიზაციებთან – გამომცემელთა ეროვნული ასოციაცია (სომხეთი), საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია (საქართველო), გამომცემელთა ფორუმი (უკრაინა). პროექტის მხარდამჭერია ევროკავშირის „აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურული პროგრამა“. პროექტის იდეა „აღმოსავლეთის პარტნიორობის კულტურული პროგრამის“ საერთო მიზანს შეესატყვისება, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის მდგრად განვითარებაში კულტურის როლის ზრდას, აგრეთვე რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავებას აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონის საჯარო ინსტიტუტებს, სამოქალაქო საზოგადოებას, აკადემიურ ორგანიზაციებსა და ევროკავშირს შორის. „წიგნის პლატფორმა“ ორ-ნახევარი წლის მანძილზე წიგნის სექტორს სომხეთში, საქართველოსა და უკრაინაში იმ გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება, რომლის წინაშეც საგამომცემლო საქმიანობა, მწერლობა და მთარგმნელობითი საქმიანობა დგას, – ითქვა პრეზენტაციაზე.

# „თეატრალურის კვარტეტი“ ბოდიშს იხდის

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რიამ ქალაქის დასუფთავების მიზნით 2006 წელს დააფუძნა. უწყების მტკიცებით, გამოძიებით ამ დროისთვის დადგენილია, რომ 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფის“ იმჟამინდელმა გენერალურმა დირექტორმა გიორგი ხუჭუამ, მერიის დასუფთავების სამსახურის იმჟამინდელი უფროსის, ტარიელ ხიზანეიშვილის დავალებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, ამ სამსახურში ფორმალურად შექმნა „საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება,“ სადაც, 2 წლის განმავლობაში, ფიქტიურად დასაქმდა აღნიშნული პოლიტიკური პარტიის 764 აქტივისტი – ე.წ. პარტიული კოორდინატორი. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია, რადგან ისინი, როგორც წესი, უკვე დასაქმებულები იყვნენ სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში და პარალელურად პარტიულ საქმიანობასაც ეწეოდნენ, თუმცა დედაქალაქის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მათ ხელფასის სახით 5.245.945 ლარი დაერიცხათ. გამოძიებით ირკვევა, რომ 2010 წლის 6 აგვისტოს, „თბილსერვის ჯგუფის“ საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი დედაქალაქის მოქმედმა მერმა გიგი უგულავამ დაამტკიცა. რაც შეეხება დასუფთავების სამსახურის ყოფილ უფროსს, ტარიელ ხიზანეიშვილს, იგი ამჟამად ვიცე-მერის თანამდებობას იკავებს.

ამ საქმესთან დაკავშირებით, განმარტების გაკეთება მოუწია საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მამუკა ახვლედიანსაც. მისი თქმით, „თეატრალურის კვარტეტის“ წევრები შპს „თბილსერვისში“ დასუფთავების სამსახურში ნამდვილად იყვნენ გაფორმებულნი და თითოეულ მათგანს რეკომენდაცია მან თავად გაუწია. ამ კვარტეტის დამაარსებელმა და მუსიკალურმა ხელმძღვანელმა დათო არჩვაძემ განმარტა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ფლობს.

მომხდართან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება „თეატრალურმა კვარტეტმა“ სოციალური ქსელის „ფეისბუქი“ გვერდზე გაავრცელა და საზოგადოებას თხოვა, აღნიშნულს გაგებით მოეკიდონ.

– მოგესალმებით ყველას – ჩვენს ერთგულ მსმენელს და გულშემატკივარს,

გვსურს მოგაწოდოთ რამოდენიმე განმარტება: პირველ რიგში, გვსურს ბოდიში მოვუხადოთ საზოგადოებას მედიაში გავრცელებულ განცხადებებთან დაკავშირებით. მოგმართავთ თხოვნით, გაგებით მოეკიდოთ და გაიზიაროთ ჩვენი გულწრფელი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით. ვადასტურებთ, რომ კვარტეტის წევრები ნამდვილად ვიყავით გაფორმებულები დასუფთავების სამსახურში და ამ ფორმით ვიღებდით ანაზღაურებას სხვადასხვა ქალაქურ კონცერტებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის. გვსურს სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ „თეატრალური კვარტეტის“ წევრები არასოდეს არ ვყოფილვართ არც ერთ პარტიაში, მითუმეტეს, აქტივისტები. არც არანაირი „პარტიული“ დავალება არასოდეს შეგვისრულებია. ჩვენი წადილი და გულწრფელი მიზანი ყოველთვის იყო და იქნება ქართული სიმღერის სამსახური და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს მიღმა, რისთვისაც არასოდეს ვიშურებდით ენერგიას; ყოველთვის ვცდილობდით მაღალ დონეზე წარმოგვეჩინა ქართული სიმღერა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, მუდამ მზად ვართ ვემსახუროთ ქართულ სიმღერას და საქართველოს!!!, – ნათქვამია „თეატრალურის კვარტეტის“ მიერ „ფეისბუქში“ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

სპორტი

# მზადება ფუტსალის ოთხთა ფინალისთვის

გასული დღეების განმავლობაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ აპრილში გასამართი თბილისის ფუტსალის ოთხთა ფინალის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები უეფადან – კრისტოფ ფონ ვოტენვილი, კიმო ბელმანი, ლორან მორელი, დავით პეტრიაშვილი და ენდრიუ სკოტი.

ასევე, თბილისში იმყოფებოდნენ „ეუროსპორტის“ წარმომადგენლები. შეგახსენებთ, რომ ოთხთა ფინალის ჩვენების ექსკლუზიური უფლება, სწორედ, „ეუროსპორტს“ აქვს. პოპულარული სპორტული ტელეარხის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს თბილისის სპორტის სასახლე, ჩაატარეს წინასწარი სამუშაოები, შეხვდნენ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელებსა და ტექნიკურ ჯგუფს. აპრილამდე, ტელეარხის წარმომადგენლები კიდევ რამდენჯერმე ჩამოვლენ. ტურნირის დაწყებამდე თითქმის ერთი თვით ადრე კი, მათ ეთერში უკვე იტრიალებს არა მარტო ტურნირთან დაკავშირებული, არამედ გაცნობითი სახის სარეკლამო რგოლებიც, რომელიც ჩვენს ქვეყანას და ქალაქს გაუწევს პოპულარიზაციას.

რაც შეეხება უეფას ოფიციალურ წარმომადგენლებს, სფფ-ის საორგანიზაციო ჯგუფის წევრებთან ერთად, დაიგეგმა და დეტალურად გაიწერა შესასრულებელი სამუშაოების სრული ნუსხა. ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტის სასახლის, სასტუმროების, კვების ობიექტებისა და ზოგადად, ქალაქში არსებული და მათთვის საინტერესო ადგილების დათვალიერება-შესწავლა. ამ ვიზიტის საბოლოო, შემაჯამებელ შეხვედრაზე, რომელიც უეფას წარმომადგენლების თბილისიდან გამგზავრებამდე გაიმართა, სფფ-ის მხრიდან ტურნირის საორგანიზაციო ჯგუფმა მიიღო კონკრეტული დავალებები და უკვე დაწყებულია ყველა მიმართულებით ინტენსიური მუშაობა.

მარტის პირველ რიცხვებში, სფფ-ისა და უეფას საორგანიზაციო ჯგუფებს შორის გაიმართება მორიგი სამუშაო ვიდეოკონფერენცია.

მ. ჟ.

# სკანვორდი



1. სასწორის თეფში; 2. მედეა ჩახავას კინოროლი; 3. დამხმარე თეორემა; 4. სასმისი; 5. რასაც ყური აღიქვამს; 6. ნადავლი; 7. სანადირო თოფის წვრილი ტყვიები; 8. ჭამის სურვილი; 9. ზღვის ბრტყელი თევზი; 10. ზღვის წყალმარჩხი უბე; 11. ოფიცრის წოდებულება არმიაში; 12. ... კობზონი; 13. იაპონური ჭიდაობა; 14. მამრობითი სქესის ქათამი; 15. ბუნებრივი საღებავი; 16. ლენტი; 17. მდინარე, რომელშიც ქრისტე მოინათლა; 18. ციხესიმაგრე და საპყრობილე პარიზში (ძვ.); 19. სპორტული შეჯიბრების მსაჯი; 20. ... ფარულავა; 21. ხელოვნების დარგი; 22. სახელმწიფო აფრიკაში; 23. ჭამა ერთ ჯერობაზე; 24. ქურციკი; 25. ჰიგიენური დაწესებულება; 26. მსხვილი მახრჩობელა გველი; 27. ჩრდილოეთი; 28. სარტყმელი საკრავი; 29. სოფელი თელავის რაიონში; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. ფანი ...; 32. ციფრი; 33. გერმანული ავტომარკა; 34. ჰერას ქურუმი ქალი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ყამირი; 2. ოქტავა; 3. ლურჯი; 5. ბაკი; 6. ქარწბი; 8. ფრანკო; 11. ,,რქაწითელი“; 13. ვაუჩერი; 14. დარიალი; 15. ჰეფნერი; 19. პაბი.

**თარაზულად:** 1. ყარაჩოღელი; 4. თამბაქო; 7. ,,მერიოტი“; 9. ჯეირანი; 10. არავა; 12. ,,კინტრიში“; 16. ქობულაძე; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლომგული; 21. ფიცი; 22. ,,სარბიელი“.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. კარაკისი; 4. ჩაპალა; 5. მაღრაძე; 6. ფარვანა; 11. ანოდი; 13. წალკოტი; 14. ზეთისხილი; 15. ბუდაპეშტი; 17. თარაზო; 19. ზებუ.

**თარაზულად:** 7. დღეობა; 8. კაპაბლანკა; 9. ეგრისი; 10. ჯაბადარი; 12. სარწყუნისი; 14. ზნეობა; 16. ტაილანდი; 18. თეთნულდი; 20. ბრასი; 21. სპა; 22. პორტრეტი; 23. ვიში; 24. გუბაზოული.

## ლავროვი ამერიკის განცხადებით აღშფოთებულია

მიუნხენის უსაფრთხოების საერთაშორისო კონფერენციაზე რუსეთ-საქართველოს ომის თემაც განიხილეს. კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარე სხდომაზე აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც აშშ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს არ აღიარებს, რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, სერგეი ლავროვმა უპასუხა.

ლავროვის განცხადებით, ამ საკითხზე არც ოფიციალური მოსკოვის პოზიცია შეიცვლება.

„ამერიკული მხარე ამბობს, რომ რუსეთმა უკან უნდა წაიღოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარება, რაც აბსოლუტურად არარეალურია. მოგწონთ თუ არა ეს, ეს იყო რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომელსაც პარლამენტმაც დაუჭირა მხარი. მეორე საკითხი, ამერიკელები ითხოვდნენ, რომ ჩვენ შეგვენარჩუნებინა ლიმიტები ფლანგებზე, რაც ასევე მიუღებელია. მახსოვს პრეზიდენტმა ჰკითხა ბუშს, შეიძლებოდა თუ არა დამოუკიდებელი სახელმწიფოსთვის იმის მითითება, სად და რა რაოდენობის ჯარი განეთავსებინა საკუთარ ტერიტორიაზე. ბუშმა გაიკვირვა და თქვა, რომ ამის შესახებ არ უფიქრია. უნდა არსებობდეს გზები იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, ყველაა მშვიდად, მაგრამ ყოველგვარი ფლანგის ლიმიტების გარეშე. თუ ეს მდგომარეობა ამოღებული იქნება, ჩვენ შევძლებდით მოლაპარაკებების დაწყებას, მაგრამ ჩვენ დაველოდებით კარგ იდეებს ჩვენი პარტნიორებისგან და არანაირი ინიციატივით აღარ გამოვალთ", – განაცხადა ლავროვმა.

**მედიანიუსი**

## ისრაელმა სირიის ტერიტორიაზე საჰაერო დარტყმის შესახებ კომენტარი გააკეთა

ისრაელმა, რამდენიმე დღის წინ სირიის ტერიტორიაზე ქიმიურ ლაბორატორიაზე განხორციელებული საჰაერო დარტყმის შესახებ პირველი კომენტარი გააკეთა.

როგორც ისრაელის თავდაცვის მინისტრმა ეხუდ ბარაკმა განაცხადა, საჰაერო დარტყმა მიუთითებს მისი ქვეყნის სერიოზულ მიზნებზე, რომ არ დაუშვას სირიული იარაღის მეამბოხეებისთვის გადაცემა მეზობელ ლიბანში.

ამასთან, სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას ნებისმიერი აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია.

შეგახსენებთ, რომ ისრაელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სირიული ქიმიური იარაღი ,,ბოევიკების" ხელში აღმოჩნდებოდა, იერუსალიმს სამხედრო ძალის გამოყენება მოუწევდა.

სირიაში ანტისამთავრობო აჯანყება 2011 წლის მარტში დაიწყო. შეტაკებების შედეგად რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა.

**მედიანიუსი**

# ივანე ჯაფარიძე: „რაღა თერგი ან ხდისწყალი უნდა დასამარდეს მაინცდამაინც?

**„ეს მწვერვალია... მაშ, მიზანი მიღწეულია... აღსრულდა მრავალი წლის ოცნება. მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა! ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... შეშლილებივით ვაშას ვიძახდით, ვყვიროდით, ვიცინოდით..."**

როგორ აღვწერო ადამიანის სულიერი მდგომარეობა მიუწვდომელი მწვერვალის მიღწევის დროს. ეს ხომ სრულიად შეუძლებელია. ამას მხოლოდ ის გაიგებს, ვინც თვითონ ყოფილა ასეთ წუთებში. უძლეველი სიძლიერისა და სიამაყის გრძნობა მთელ არსებას იტაცებს", – ასე აღწერდა მყინვარწვერზე ასვლით გამოწვეულ უდიდეს განცდას ქართული ალპინიზმის ფუძემდებელი გიორგი ნიკოლაძე.

ამ ფაქტით იწყებს თავის წიგნს „მყინვარწვერიდან ევერესტამდე" ივანე ჯაფარიძე, რომლის აზრით: „მთამსვლელობას სპორტის სხვა სახეობებისგან ის განასხვავებს, რომ, იგი, უპირველეს ყოვლისა, უმაყურებლო სპორტია, მკაცრი, მაგრამ ამავე დროს კეთილშობილებითა და მშვენიერებით აღსავსე. ადამიანს ღრმად აცნობს, აყვარებს თავის ქვეყანას და არა მარტო ფიზიკურ, მორალურ სიმტკიცესაც ანიჭებს; უვითარებს ნებისყოფას, გამძლეობას, სიმამაცეს, აჩვევს თავდაჭერილობას, გამოუმუშავებს ექსტრემალურ სიტუაციაში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარს, თანამგზავრთა მიმართ ნდობისა და მეგობრობის გრძნობას, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე მიზნის მიღწევა".

არ ვიცი დადიან თუ არა მთაში ის ადამიანები, რომლებიც ქვეყანაში გადაწყვეტილებებს იღებენ, ალბათ არა, თორემ ცოტა ძვირფასი მაინც იქნებოდა მათთვის ეს ქვეყანა და განსაკუთრებით მისი მთა; მთის სიყვარულს რომ თავი დავანებოთ, მათ არც სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარი ექნებოდათ წართმეული. ქართველ ხელისუფალთ, როგორც ჩანს, საქართველოს კონსტიტუციაც არ წაუკითხავთ, რომლის 37-ე მუხლი ნათლად ამბობს, რომ „სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოსა დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას".

ივანე ჯაფარიძე სხვა ბევრი მთამსვლელისა თუ მეცნიერის მსგავსად აღშფოთებულია იმ მშენებლობებით, რომელიც ხევში მიმდინარეობს.

მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ესაუბრება მკვლევარი და ჟურნალისტი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ვიცე-სპიკერი, ქართული ალპინიზმის მემატიანე, ცნობილ მთამსვლელთა ოჯახის არანაკლებ ცნობილი წარმომადგენელი ივანე ჯაფარიძე.

***– ბატონო ივანე, რას ნიშნავს ქართული მთამსვლელობისთვის ყაზბეგის რაიონი და, კერძოდ, ხდის ხეობა?***

– ჩემთვის, როგორც ბუნებისმეტყველისა და მთამსვლელთა ოჯახში გაზრდილი ადამიანისათვის, ყაზბეგის რაიონი, დარიალის ხეობა, საქართველოს ერთ-ერთი უნიკალური კუთხე და ნამდვილი ნაკრძალია. ამიტომ შემთხვევით არ იყო, რომ 1976 წელს გეოგრაფიული ლანდშაფტების შენარჩუნების, ფლორისა და ფაუნის



უნიკალური სახეობების დაცვის, გამრავლებისა და განახლების მიზნით ყაზბეგის რაიონის 4300 ჰა ფართობი სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა. ესაა დიდი ესთეტიკური, სპორტული და კურორტოლოგიური მნიშვნელობის რაიონი, ამიტომ მისი ტერიტორიის ყოველ მტკაველს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

დარიალის ხეობა – მდ. თერგის ხეობის მონაკვეთია ყაზბეგის რაიონში (სიგრძე 11 კმ), რომელიც იწყება მდ. ჩხერის შესართავთან და მთავრდება ზემო ლარსთან. მდინარეების ყაბახისა და ხდის შესართავებს შორის მდებარე ნაწილი ყველაზე ვიწრო და კლდოვანია. ციცაბო ფლატეები დიდ ნაწილზე მოკლებულია ნიადაგს და ერთიან მცენარეულ საფარს. დარიალის ხეობაზე გადის საქართველოს სამხედრო გზა. სახელწოდება წარმოდგება სპარსული დარ-ი ალანისაგან (ალანთა კარი). ძველ ქართულ და უცხოურ წყაროებში იხსენიება როგორც დარიალანი.

რაც შეეხება ხდეს, ეს არის უნიკალური ხეობა და მთამსვლელებისათვის უსაყვარლესი ადგილი. ეს ხეობა თუ ჩაიკეტა, არა მარტო ადგილობრივ, არამედ მხოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ტურისტებსა და ალპინისტებს ვუსპობთ ხევის ულამაზეს და უმშვენიერეს მწვერვალებზე ასვლის შესაძლებლობას. რაღა მაინცდამაინც ასეთ აქტიურ ხეობებში ვიწყებთ მასშტაბურ მშენებლობებს?!

ვიდრე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დაირღვეოდა, საქართველოში 26 ათასამდე მდინარეს ითვლიდნენ და განა არ მოიძებნება მცირე ჰესების მშენებლობისათვის საჭირო ადგილი? რასაკვირველია, შეიძლება და რაღა თერგი ან ხდისწყალი უნდა დასამარდეს მაინცდამაინც. ბუნებას ასე არ უნდა ვეპყრობოდეთ!

ხევი, ყაზბეგის რაიონი ის უნიკალური კუთხეა, სადაც ქართული ალპინიზმის აკვანი დაირწა და უმაღლესი, ულამაზესი მწვერვალები აჯადოებს ხევში ჩამოსულ უცხოელ თუ ჩვენებურ სტუმარს, უნიკალური ბუნების ხელთუქმნელობა და პირველყოფილების სურნელი ანდამატივით იზიდავს ყველა ნორმალურ, სილამაზის მოყვარულ ადამიანს. რა თქმა უნდა ასეთ ადგილებში ჰესები არ უნდა შენდებოდეს.

დათვალა ვინმემ, რა სარგებელს მოგვცემს ჰესი ხდის ხეობაში? ან თუ დათვალა, შეადარა ეს მაჩვენებელი იმას, რა შემოსავალი შეიძლება მოიტანოს აქ ალპინიზმისა და ტურიზმის განვითარებამ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში სიმშვიდე, სტაბილურობა და წინსვლა გვექნება?! გააზრებულია ამ მშენებლობის დადებითი და უარყოფითი შედეგები? იცის ვინმემ როგორი იქნება ბუნებრივი წონასწორობის ბალანსი? შესწავლილი და გაანალიზებულია ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები ჰესის მშენებლობის შემთხვევაში? დათვალა ვინმემ ზიანი, რომელიც შეიძლება ხეობას მიადგეს?

***– ბატონო ივანე, იცნობს თუ არა გეოლოგიური საზოგადოება პროექტს?***

– ჩემს ირგვლივ მყოფი გეოლოგების დიდი ნაწილისათვის კი არა, ადგილობრივი მოსახლეობისათვისაც უცნობია მშენებლობის პროექტი. თითქმის ყველასათვის მოულოდნელად დაიწყეს მშენებლობა და ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. უცნობია, საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით ვინ იკვლევდა ამ უბანს და მშენებლობის ან ექსპლოატაციის პროცესში საშიშროებების გაჩენის შემთხვევაში ვინ იღებს პასუხისმგებლობას. რამდენადაც მახსოვს, ენგურჰესის მშენებლობისას ხარჯი გაიზარდა იმის გამო, რომ გეოლოგთა ზოგიერთი მოსაზრება და რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს. ვფიქრობ, ნებისმიერი მასშტაბური მშენებლობისას, პირველ ყოვლისა, ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ჰკითხო აზრი. ჰკითხა ვინმემ მოხევეებს რა ურჩევნიათ, ჰესი თუ უნიკალური ხეობის შენარჩუნება? ასეთი გამოკითხვის შესახებ არავის არაფერი სმენია. ყაზბეგის რაიონში, თუ არ ვცდები 56 კილომეტრზე გადის გაზსადენის მილი, რომელიც ისედაც საფრთხისშემცველია რაიონისათვის და ამას ახლა კიდევ ჰესსაც ვუმატებთ?

***– რა საშიშროების წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ?***

– ეს ყველაფერი წესით პროექტში უნდა იყოს ასახული. არ ვიცი, რა წერია დოკუმენტში, როგორია გეოლოგიური დასკვნები, ფართო საზოგადოებისთვის დოკუმენტი არ იყო ხელმისაწვდომი, მისი განხილვა არსად ჩატარებულა. ზოგადად კი, ვიწრო ხეობებში, სადაც დიდთოვლობა და ზვავებია დამახასიათებელი, დატბორვა და ჰესების მშენებლობა, ჩემი აზრით, დაუშვებელია. დღემდე აჟიოტაჟი არ ცხრება ხუდონჰესის მშენებლობასთნ დაკავშირებით და როგორც ბუნებისმეტყველს, მიმაჩნია, რომ ისეთ მცირემიწიან ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, გრანდიოზული ჰესების მშენებლობები უნდა შეწყდეს, მითუმეტეს, გვაქვს უნიკალური შესაძლებლობა გამოვიყენოთ ალტერნატიული მზისა და ქარის ენერგია, ჩვენ კი ისევ და ისევ მდინარეებს ვემტერებით. განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ ისეთ კუთხეებს, როგორიცაა ხევი, რაჭა-ლეჩხუმი, თუშეთი, ხევსურეთი, სვანეთი... როდესაც ბუნებაში ადამიანი უხეშად ერევა, სრულიად იცვლება გარემო: ჰესების მშენებლობა მნიშვნელოვნად ცვლის ბიომრავალფეროვნებას: მცენარეულ საფარს, ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს. გრანდიოზული მშენებლობები ცხოველთა დიდი მიგრაციასაც იწვევს. თუ გეოლოგიას დავუბრუნდებით, უნდა ვიკითხოთ, რატომ არ იყენებენ მსოფლიო მნიშვნელობის ქართული გეოლოგიური სკოლის წარმომადგენლების რესურს? მახსენდება, თბილისის აეროპორტის ახალი შენობის გახსნისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა, კითხვაზე, თუ ვინ გააკეთებდა ასაფრენი ბილიკის მდგრადობაზე გეოლოგიურ დასკვნას, უპასუხა, რომ ამას თურქი სპეციალისტები გააკეთებდნენ. თავში ხელი შემოვირტყი და მივხვდი, რომ ქართული გეოლოგიური სკოლა და საერთოდ, ქართული მეცნიერება განწირული იყო. თურქეთის გეოლოგია ქართველი კოლეგების დახმარებით შეიქმნა და იგი ქართულთან შედარებით გაცილებით სუსტია. ასეთი მიდგომების გამო იყო, რომ პირველივე ქარმა სახურავი გადახადა აეროპორტის ახალ შენობას და პირველივე წვიმისას დაიტბორა შიდა ინტერიერი. ასეთი შემთხვევები მხოლოდ თბილისში არ მომხდარა. ქუთაისის პარლამენტის შენობის წვიმის შემდგომი მდგომარეობაც არაერთხელ გვინახავს ტელეეკრანზე.

***– ახლა, ამ ეტაპზე, რა შეიძლება გავაკეთოთ, რომ ასეთ მშენებლობებს და პირველ ყოვლისა, ხდის ხეობაში ჰესის შენებას აღვუდგეთ წინ? რა უნდა გააკეთოს საზოგადოებამ?***

– ჩვენ, პირველ ყოვლისა, უნდა მოვითხოვოთ ახალი ხელისუფლებისაგან, გადახედოს ყველა ძველ ხელშეკრულებას, სპეციალისტების დახმარებით გაანალიზდეს, შეჯერდეს პროექტის ყველა ასპექტი, პარამეტრი და გამოვიდეს საზოგადოების სამსჯავროზე. ჩემი აზრით, ასეთი გრანდიოზული მშენებლობების საკითხი რეფერენდუმის გზით უნდა წყდებოდეს. ქვეყნის მოსახლეობა თავად უნდა წყვეტდეს, რა ურჩევნია საკუთარი თავისა და შვილებისთვის, დიდი ჰესები თუ უნიკალური ბუნების შენარჩუნება.

**თინათინ მოსიაშვილი**
**მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

## ერაყში აფეთქებას 30 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ერაყის ჩრდილოეთით, კირკუკში მდებარე პოლიციის განყოფილებაზე ,,ბოევიკების" თავდასხმას 30-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 70-მდე კი დაშავდა.

სამართალდამცავების ცნობით, შეიარაღებული პირი, რომელიც პოლიციის ფორმაში იყო გადაცმული, ასევე ავტომობილში მყოფი თვითმკვლელი ტერორისტი, პოლიციის განყოფილების ტერიტორიაზე შეღწევას უშედეგოდ შეეცადნენ.

რის შემდეგაც, თვითმკვლელმა ტერორისტმა ავტომობილში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა, პოლიციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აამოქმედა.

ამ დროისათვის ტერაქტზე პასუხისმგებლობა არცერთ დჯგუფებას საკუთარ თავზე არ აუღია.

**მედიანიუსი**

## სამგლოვიარო განცხადებები



### ხათუნა სამხარაძე

ადამიანი ბედნიერებაში ყოფნას ისე ვერ გრძნობს, როგორც მისი დაკარგვის შემდეგ. ყველგან და ყველასთან სიყვარულს თესავდი. ყოველთვის შემრიგებელი იყავი. ბედნიერი ხარ, რომ შენი შვილების გაუკუღმართებული ცხოვრების მოწმე და მხილველი არ გაგხადა უფალმა. მე კი უშენოდ უმწეოდ ვგრძნობ თავს. დრო ყველაფრის მკურნალიაო, ჩემთვის კი, პირიქით. მოუთმენლად ველი შენთან ყოფნას.

*შენი „მამაზია" თამაზი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**ორშაბათი 4 თებერვალი**

06.30 დ/ფ „ანატოლიის გარგარი" 07.30 „ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე" 10.30 „დილის საუბარი" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ „ადამიანი — პლანეტა" 17.00 „სპიკერი" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ"სისხლი და ვარდი" 21.00 ტ/სერ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 „ევერესტი — ორმაგი გასროლა" 00.00 „საფარი" 01.00 მხ/ფ „როკენროლა"

არხის პროფილაქტიკა 08.00-12.00 12.00 მხ/ფ „ველური ველური ვესტი" (უ.სმითი) 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები" . 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ"თანამედროვე იარაღი" 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები" მე-5 ს 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)






07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი" 12.20 დოკ.ფილმი: ჰოლივუდის წყვილები 1 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4" 14.40 სერ. „24 – 4" 15.40 სერ. „დამალული სიმართლე" 17.50 სერ. „თილისმა" 18.50 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 მხ/ფ „სულების სახლი" (ჯ.აირონსი) 01.00 სერ. „ღვინის გზა" 01.45 მხ/ფ „იტალიური ისტორია" (ა.ბონი) (ტიტ.) 04.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ. „ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „მგზნებარე გული" 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდა 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.20 დოკ/ფ „ველური ბუნება" 06.45 მხ/ფ „თვალი პატიოსანი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 22.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „იავნანა" 13.25 კონცერტი-პლაჩიდო დომინგო 14.50, 18.20, 22.30, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ბნელ ოთახში" 16.50 დოკ/ფ „ველური ბუნება" 17.15 დოკ/ფ „კვიპროსი,გზა იერუსალიმისკენ" 18.10 ტელეზღაპარი 18.25 დებიუტი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „უცხო" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სალვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ „სარფი მოლენა" I ნაწ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები" გად.III 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

**მაესტრო** 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 17.10, 18.40, 1.35, 2.35, 3.35, 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 11.30 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენეტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.15 ყოველდღიური აბები 0.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

4 თებერვალი


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,6571 |
| ევრო | —2,2638 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,6219 |
| რუსული რუბლი | — 0,0524 |

**ამინდის პროგნოზი 4 თებერვლისთვის**





## მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

# მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

## ტომი 1 ამერიკული ზღაპრები

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 1

ამერიკული ზღაპრები





ილია II

## მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

# ილია II

## ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი


## ფაჩულიას ტრავმამ მეორე მატჩი გამოატოვებინა



„ატლანტა ჰოუქსმა“ „ჩიკაგო ბულსს“ უმასპინძლა და 17 ქულის სხვაობით – 76:93 დამარცხდა. შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია ტრავმირებულ ზაზა ფაჩულიას, რომელსაც აქილევსის მყესი აწუხებს. ატლანტელთათვის ეს წაგება მეტად მტკივნეული იყო, რადგან „ჩიკაგო“ აღმოსავლეთ კონფერენციაში „ჰოუქსის“ ერთ-ერთი უშუალო კონკურენტია.

ორმაგი დუბლები გაიფორმეს ჯოშ სმიტმა და ალ ჰორფორდმა, მაგრამ ატლანტელები მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ. ჩიკაგოელებმა უფრო მეტი შედეგიანობა გამოიჩინეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

„ატლანტას“ 26 მოგება და 20 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზე იმყოფება. ჯერ უცნობია, ითამაშებს თუ არა ფაჩულია 5 თებერვალს, როცა „ატლანტა“ „ინდიანას“ შეხვდება.

მ. ჟ.

## თამაში, რომელმაც კითხვები დატოვა

**ბელგია – საქართველო 13:17**

**ბელგია:** 15. ალამ ვილიამსი, 14. ელიოტ ფან-ტრაპენი, 13. ტიბო ანდრე, 12. გიომ ბრებანი, 11. გიომ პირონი, 10. კარლოს ფიერო, 9. ჟიულიან ბერჟე; 1. ჟიულიან მასიმი, 2. ნორმან ვენდე, 3. მაქსიმ ჟადო, 4. მატიო ფერსხელდენი, 5. სირილ ნანა, 6. ტომას დე-მოლდერი, 7. ენდრიუ ნილი, 8. ჟულიან მორელი.

**მარქაფა:** 16. ალენ მირიალაკისი, 17. ალექსის კუფოლო, 18. რაფაელ ოლივი, 19. ბერტრან ბილი, 20. მიკა დე-მოლდერი, 21. ჩარლი ფურნო, 22. სებასტიან ჰუნსი, 23. კევინ დამსი.

**საქართველო:** 15. ბექა წიკლაური (22. ლაშა ხმალაძე 77), 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე; 1. მიხეილ ნარიაშვილი (17. დავით ხინჩაგიშვილი 58), 2. შალვა მამუკაშვილი (16. რევაზ ბელქანია 58), 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. გიორგი ჩხაიძე, 5. კონსტანტინე მიქაუტაძე (19. შალვა სუთიაშვილი 58), 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია (18. ლევან ჩილაჩავა 9).

**მარქაფა:** 20. ბექა ბიწაძე, 21. ვაჟა ხუციშვილი, 23. გიორგი ფრუიძე.

მართალია, ქართველთა გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მოლოდინი ნამდვილად უფრო დიდი იყო. იმედი ვიქონიოთ, რომ „ბორჯღალოსნები“ შეცდომებს გამოასწორებენ და უახლოეს მატჩებში ისევ ლაღად ათამაშდებიან. მომდევნო მატჩს კი ჩვენი ნაკრები 9 თებერვალს, თბილისში პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. ჩენების თამაშს საშუალოც კი არ ეთქმოდა. არადა, თითქოს ბელგიელები უნდა გაგვენადგურებია და სატურნირო ცხრილს სათავეში პრემიალური ქულით უნდა ჩავდგომოდით. თუმცა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ბელგიელ „ეშმაკებს“ ამბიცია ნამდვილად ჰქონიათ და რასაც ისინი სეზონის წინ აცხადებდნენ, ქართველებთან მატჩმა დაამტკიცა.

უკვე მე-2 წუთზე მოედანზე ისეთი ცემა-ტყეპა ატყდა, რომ მსაჯს მოედნიდან ორივე გუნდის თითო-თითო მორაგბის მატჩის ბოლომდე გაძევება მოუწია. ჩვენგან ასეთი დავით ქუბრიაშვილი გამოდგა. შესაძლოა, ქართველთა თამაშზე ამანაც იმოქმედა, რადგან მილტონ ჰეიგის გეგმები აირია – პირველხაზელის გარეშე დარჩენილს დიმიტრი ბაისლაიას ლევან ჩილაჩავათი ჩანაცვლება მოუწია. ჩხუბის მომენტში ძალიან აქტიური ჩანდა ვიტო კოლელიშვილიც, მაგრამ იტალიელმა რეფერიმ ამ შემთხვევაში დაგვინდო.



თავიდან, „ბორჯღალოსნებს“ ჯარიმის კარში დარტყმა არც უფიქრიათ, ბურ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

## ასტროპროგნოზი 4 თებერვლისთვის

**ვერძი** – ფულს შოულობთ, პრობლემა არ გაქვთ. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – საქმე წინ მიდის, მთავარია ტემპი არ შეანელოთ. **ლომი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** – ნუ გაფლანგავთ ფულს, ცოტა ხვალისთვის შემოინახეთ. **სასწორი** – ახალი საქმე გაამართლებს, თუმცა, მაინც დიდი ყურადღება გმართებთ. **ღრიანკალი** – მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, ბედს ეწევით. **მშვილდოსანი** – ფული გაქვთ, კიდევ იშოვით. **თხის რქა** – არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **მერწყული** – დიდ საქმეს შეეჭიდებით, მეგობრები გეხმარებიან. **თევზები** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, საქმე სარფიანი აღმოჩნდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ყარყატების ოჯახის ფრინველი; 7. ჭადრაკის პარტიის ბოლო სტადია; 8. ერთგვარი ძეხვი; 10. ხელის მტევნები, ჭურჭლის ფორმით მოხრილი; 11. მილიონერთა შვილების მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით; 13. ქუჩის სანათი; 16. ქალაქი შვეიცარიაში; 19. სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი მეთაური; 20. ყვავილების წნული.

**შვეულად:** 1. კლავესინის კლავიატურა; 2. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 3. სიმსივნეების მკურნალი; 4. დაგირავებული უძრავი ქონება; 5. აზოტმჟავას მარილები; 9. მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული; 12. ნავთობის გამოხდის თხევადი პროდუქტი; 14. საგნის მონახაზი; 15. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 17. სასწავლო დაწესებულება; 18. დიდი ზომის ანტილოპა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## „თეატრალურის კვარტეტი“ ბოდიშს იხდის

ეკა ირემაშვილი

ქართულ ესტრადაზე მოღვაწე ცნობილი ჯგუფი „თეატრალურის კვარტეტი“ ბოლო პერიოდში მათ გარშემო აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით საზოგადოებას ბოდიშს უხდის. გასულ კვირას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა „თბილსერვის ჯგუფში“ ფიქტიურად დასაქმებულებს შორის აღმოაჩინა „თეატრალურის კვარტეტის“ წევრები. გამომძიებლის ირაკლი შოთაძის თქმით, საქმეში გარკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ „თეატრალურის კვარტეტის“ წევრებმა ორი წლის განმავლობაში ხელფასის სახით 70.000 ლარი მიიღეს.



– არც მე და არც „თეატრალურის კვარტეტის“ სხვა წევრებს ისეთი სპეციფიკური სამუშაო, როგორიც არის ალპინისტი დამგველის, არ განგვიხორციელებია, შპს „თბილსერვის ჯგუფში“ ანსამბლის სხვა წევრებთან ერთად ალპინისტ დამგველად ვიყავი გაფორმებული და ხელფასს ვიღებდი, – განაცხადა კვარტეტის წევრმა და ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლაშა კერვალიძემ. ამის შესახებ ლაშა კერვალიძის მიერ გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, რომელიც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. მისი თქმით, „თბილსერვის ჯგუფში“ 2010 წელს ზემოხსენებული შპს-ს წარმომადგენლის, იაგო მამალაძის თხოვნით მივიდა და იქ მას გადასცეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თითქოსდა ისინი სპეც. ალპინისტ დამგველებად საქმდებოდნენ.

„ხელფასი სახელფასო ბარათზე გვერიცხებოდა 500 ლარის ოდენობით. როგორც მახსოვს, 2011 წლის ბოლოს გაგვიზარდეს ხელფასი და ანაზღაურების სახით გვერიცხებოდა დაახლოებით 550 ლარი. აქვე დავამატებ, რომ მე „თეატრალურის კვარტეტის“ სხვა წევრებთან ერთად „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ დაზღვეული ვიყავი „ტაოს სადაზღვევო კომპანიაში“. პრემია ჩაგვერიცხა მხოლოდ ერთხელ 100 ლარის ოდენობით. 2010 წლიდან დღემდე არც მე და არც „თეატრალურის კვარტეტის“ სხვა წევრებს აღნიშნულ საზოგადოებაში რეალურად არ გვიმუშავია და ისეთი სპეციფიკური სამუშაო როგორიც არის ალპინისტი დამგველის, არ განგვიხორციელებია, – აცხადებს ლაშა კერვალიძე და დასძენს, რომ კვარტეტს აღნიშნულ პერიოდში „თბილსერვისის“ დაკვეთით არც სხვა რაიმე სახის ღონისძიებაში, მათ შორის კონცერტში, არ მიუღია მონაწილეობა.

ლაშა კერვალიძისთვის უცნობია, თუ ვინ დაავალა „თბილსერვისის“ ისანი-სამგორის რაიონული განყოფილების სამსახურის უფროს იაგო მამალაძის მათი კომპანიაში დასაქმება. ამჟამად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმიანობას სწავლობს, რომელიც თბილისის მე-

გაგრძელება მე-10 გვერდზე